პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58
ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— გადადგა ოსმალეთის მთავრობა. — ახალი მთავრობის შედგენა ისმეტ-ფაშას დაევალა.
— ამერიკა ადიდებს საზღვაო და საჰაერო ფლოტს.
— საბჭ. სკოლის გამოფენამ რიგაში დიდი ინტერესი გამოიწვია.
— ინდოეთის მემაღაროები საყოველთაო გაფიცვით იმუქრებიან.
— მოსკოვში ჩავიდა ამხ. ბოროდინი.
— მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის მუშათა დელეგაცია.

ხუთშაბათი, 3 ნოემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 250 (1995)

შვიდი საათის სამუშაო დღე

უფრო იაფი და უკეთესი საქონლის წარმოება, ვიდრე კაპიტალისტი ამზადებდა, ადვილი ამოცანა არ არის, და ჩვენ ფრიად სერიოზული და მედგარი ბრძოლა დაგვჭირდება ამ ამოცანის გადასაჭრელად. ამ საკითხის გადაწყვეტით ჩვენ ვამაგრებთ პროლეტარიატის კავშირს გლეხობასთან და ამავე დროს ვქმნით მტკიცე წინასწარ პირობებს მუშათა რეალური ხელფასის გასადიდებლად.

სამუშაო დღის შემცირება, რაც ადიდებს მუშის დასასვენებელ დროს კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და ამასთანავე საშუალებას აძლევს მას მოკლე სამუშაო დღის განმავლობაში გაანვითაროს შრომის მეტი ინტენსივობა, წარმოადგენს ერთ-ერთ პირველსა და ძირითად ღონისძიებათაგანს მუშათა კლასის შრომის კულტურის ასამაღლებლად. ამიტომ ცაკის მანიფესტში 7 საათიანი სამუშაო დღის შესახებ საკითხის დასმა წარმოადგენდა სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების სწორი შეგნებისაგან და მრეწველობის რაციონალიზაციის საქმეში ჩვენ მიერ მიღწეულ შედეგებიდან გამომდინარე აუცილებელ დასკვნას. ჩვენ რომ უკეთესი და უფრო იაფი სამრეწველო საქონელი ვაკეთოთ, უნდა მოვახდინოთ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის რაციონალიზაცია. ეს კი ნიშნავს, პირველ ყოვლისა, სოციალისტური მრეწველობის ტეხნიკის უმაღლეს საფეხურზე აყვანას და მეორე მხრივ, მუშათა კლასის შრომის კულტურის უმაღლეს საფეხურზე აყვანას.

შრომის კულტურის ამაღლება—ეს არ ნიშნავს მხოლოდ შრომის ინტენსიობის ამაღლებას, არამედ ეს არის შრომის ხარისხის ამაღლება და უფრო გონივრული და მომჭირნეობით მუშაობის შეჩვევა, ყოველი ზედმეტი საათის დაზოგვა დასვენებისათვის და ძალღონის შენარჩუნება შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. ეს ამოცანა მთლიანად ვერ გადაწყდება, თუ საერთოდ არ ამაღლდა კულტურული დონე, და მხოლოდ ხალხს, რომელიც ძალიან დაშორებია აღმშენებლობას, შეუძლია შეაფასოს დადგენილება შვიდსაათიანი სამუშაო დღის შესახებ, როგორც რაღაც მოულოდნელი „მანევრი“, ანუ როგორც მუშებისათვის მიძღვნილი „საიუბილეო საჩუქარი“.

7 საათიანი სამუშაო დღის გატარების წინააღმდეგ გალაშქრებით ჩვენმა ოპოზიციამ გამოააშკარავა თავის მენშევიკური აზროვნების დამახასიათებელი აზრის კონსერვატიზმი და მენშევიკურ ელემენტების ტიპიური სენი—შიში რევოლიუციის დიდი და ახალი ამოცანების ფართედ დასმის წინაშე.

იმის დანახვაზე, თუ როგორ შეშინებული უხვევს ოპოზიცია გვერდს მანიფესტს, ძალაუნებურად გვაგონდება ის ოპორტიუნისტული შიში, რომელმაც შეიპყრო ოპოზიციის რამოდენიმე დღევანდელი ბელადთაგანი, როცა დღის წესრიგში დადგა უდიდესი გადატრიალება ისტორიაში—ოქტომბრის რევოლიუცია.

როგორც მაშინ, ისე ეხლაც, ოპოზიციის „მყვირალა პესიმისტები“,—როგორც მათ ეძახდა ლენინი,—ნამდვილად აღმოჩნდენ რევოლიუციის მტრების ბანაკში,—გამოხატავდენ რა უმნიშვნელო, ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ფენების განწყობილებას და რყევას და თავისი ცეხური განსაზღვრულობის გამო ვერ ხედავდენ საერთო კლასიურ ამოცანებს.

ეს არის ოპოზიციის ტიპიური,—ტრედიუნიონისტური ოპორტიუნიზმი.

ოპოზიცია ცდილობს სპეკულიაცია გასწიოს წმინდა „საკუთარი“ ტყავის მოტივებით, როცა მენშევიკური გესლიანობით გაჰყვირის: „7 საათის შემოღების შემდეგ იმდენს ამუშავებენ, რომ მუშები წელსაც ვერ გამართავენო“. ეს ძალიან ცუდი „არგუმენტაციაა“ და, თუ მას მიმართავენ ოპოზიციონერები, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უკვე დაქანდენ იმ დონემდე, რომ აღარ შეუძლიან გაარჩიონ სოციალისტური რაციონალიზაცია, რომელიც ტარდება მუშათა მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესების და შრომის პირობების შემსუბუქების საფუძველზე, იმ კაპიტალისტური რაციონალიზაციისაგან, რომელიც ემყარება მუშების ყოველმხრივ ექსპლოატაციას და შევიწროებას.

ეს არის ბურჟუაზიულ ცილისმწამებელთა საბუთები. ეს არის ტრედიუნიონისტული სიბეცე. ასეთ საბუთს არა თუ პარტიული, არამედ საბჭოთა კავშირის უპარტიო მუშაც მხოლოდ თითს უჩვენებს და ზიზღით გვერდს აუხვევს.

ოპოზიცია სცდილობს ყველაზე ჩამორჩენილ მუშების გული მოიგოს, როცა ამბობს სამუშაო დღის შემცირების მაგივრად უმჯობესია ხელფასი გაგვედიდებიათო. სამუშაო დღის ხელფასის საკითხთან ასეთი დაპირისპირება უაზრო და დემოგოგიურია. განა ჩვენ ხელს ვიღებთ ხელფასის გადიდების პოლიტიკაზე? განა 7 საათ. სამუშაო დღეზე გადასვლა ბოლოს და ბოლოს არ მიგვიყვანს ხელფასის გადიდებაზე? რევოლიუციამდი ჩვენ გვქონდა 10—11 საათიანი სამუშაო დღე, ეხლა ჩვენ გვაქვს 8 საათიანი. განა ეს აფერხებს, განა ჩვენ ეს ხელს გვიშლის—მუშათა ხელფასი გაუთანასწოროთ ომის წინანდელ დონეს?

ისე საკითხის დასმა, როგორც მას სვამს ოპოზიცია, ნიშნავს ტრედიუნიონისტულად სპეკულიაციის გაწევას ცეხურ ჩამორჩენილობაზე, ნიშნავს მუშებისათვის თვალების ამოფისვას, რომ ვეღარ დაინახონ სოციალისტური მშენებლობისათვის წარმოებული კლასიური ბრძოლის ფართო ჰორიზონტები.

— ოპოზიცია გვეუბნება—თქვენ ვერ ხედავთ, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს 7 საათიანი სამუშაო დღის გატარება ჩამორჩენილ ტეხნიკის პირობებშიო. სიძნელეებს პარტია ხედავს, მაგრამ იგი შეჩვეია სიძნელეებთან ბრძოლას და მათ დაძლევას და მისთვის უცხოა წუწუნი და ქედის მოხრა ამ სიძნელეთა წინაშე, პარტიასა და მუშათა კლასს მოელის უდიდესი სამეურნეო ორგანიზაციული და საპროფკავშირო მუშაობა.

ჩვენ ყოველგვარი საშუალება უნდა გამოვნახოთ წარმოების სარაციონალიზაციოდ, გადავახალისოთ სამუშაო დღე წარმოებებში, დავსძლიოთ ახალი წყების შემოღებით გამოწვეული სიძნელეები, შევცვალოთ გაცვეთილი მოწყობილობა ახალით და სხვ. მაგრამ 7 საათიანი სამუშაო დღის შემოღების ამოცანა უნდა დავსვათ და, როცა იგი დაისვას, ის მის გადასაწყვეტად ყოველი ძალღონით უნდა ვიბრძოლოთ და არა ქედი მოვიხაროთ სიძნელეების წინაშე.

პირდაპირ განცვიფრებას ეძლევი, როცა იგივე ოპოზიცია, რომელიც გაჰყვირის სიძნელეებზე, კიდევ გეუბნება, რომ მანიფესტი მეტად გაურკვევლად სვამს საკითხს 7 საათიანი სამუშაო დღის შესახებო. ეს—თანდათანობითი გატარებაო, უახლოესი წლების განმავლობაშიო, მომავალი წლიდანო, წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით და სხვა. ჩვენს პირობებში სხვაგვარად როგორ შეიძლება გატარდეს ისეთი უდიდესი გარდაქმნა, როგორიც 7 საათიან სამუშაო დღეა, რომელიც ეხება ჩვენ წარმოებაში ჩაბმულ მილიონიან მასებს. ჩვენ გავატარებთ 7 საათიან სამუშაო დღეს, რასაკვირველია, არა ერთი დაკვრით. სწორედ პარტიის ფრთხილი პრაქტიკული მისვლა ამ საკითხთან ამტკიცებს, რომ პარტია ამ საკითხს სადემაგოგიოთ კი არ აყენებს, არამედ მუშათა კლასის წინაშე სერიოზულად სვამს სერიოზულ ამოცანას. პარტიის დავალებით, სათანადო-სამეურნეო ორგანოებმა უკვე ჩაატარეს დიდი წინასწარი მუშაობა ამ საკითხის შესასწავლად და, სწორედ წინასწარი შესწავლის შემდეგ გამოირკვა ამ სერიოზული ღონისძიების გატარების რეალური შესაძლებლობა. დემაგოგები და მავნე მოლაყბენი მორიგ მყვირალა პესიმიზმით შეპყრობილი აფურთხებენ ამ მნიშვნელოვან საქმეს, რომელიც დაწყებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ფართო მშრომელთ მასების სასარგებლოდ.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ მანიფესტის შეფასების დროს ოპოზიციამ სავსებით თეთრგვარდიელთა კილოზე დაიწყო ლაპარაკი...

მილიუკოვის „პოსლედნიე ნოვოსტი“-ს 16 ოქტომბრის ნომრის მოწინავეში, რომელსაც სათაურად აქვს „საიუბილეო დაპირებანი“, მანიფესტის შესახებ სწერია შემდეგი: „ზოგიერთ ამ მოწყალებას პირდაპირ არაკეთილსინდისიერი ხასიათი აქვს. ასეთია ზღაპარი 7 ს. საუშაო დღის შესახებ. სოციალური კანონმდებლობის ეს გაუგონარი პროგრესი არის ნამდვილად უტიფარი ტყუილი იმ მიზნით, რომ დაამშვიდონ სასურსათო კრიზისით აღელვებული მუშები და ამით ბანზე აიგდონ მუშათა მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ“.

წერილის ავტორი გესლს ანთხევს „ამ გაურკვეველი ფორმით მოცემულ დაპირებებზე“, „განზრახ ბუნდოვან ფრაზების ერთი წლის, უახლოესი წლის განმავლობაში“ და სხვ. გამო.

ავტორი მანიფესტის მიზანს ხედავს პარტიის სურვილში „სცადოს ამ ნიადაგზე შექმნას განწყობილება, რომელიც ხელს შეუწყობს ოპოზიციასთან ბრძოლას“. ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივად ეთანხმება ერთი - მეორეს ოპოზიციონერებისა და მილიუკოვის მიერ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების „გაგება“.

მაგრამ ჩვენ გვაქვს სხვა, არა მილიუკოვის და არა ოპოზიციონერების განწყობილებაც. ეს არის მუშათა ფართო მასსების და ჩვენი პარტიის განწყობილება. იგი მშვენიერად გამოხატა, მაგალითად, მუშა - ქალმა ამხ. სოლგანმა, რომელიც გამოვიდა ბაუმანის რაიონის პარტკონფერენციაზე და განაცხადა შემდეგი: „მე ვარ მუშა დაზგიდან. მე მოგახსენებთ, თუ როგორ გამოეხმაურენ ჩვენი მუშები მანიფესტს 7 საათიანი სამუშაო დღის შესახებ. მუშებმა შეაფასეს ეს მანიფესტი არა, როგორც საჩუქარი. როცა ოპოზიცია ამას ამბობს, იგი ცილს წამებს მუშათა კლასს. ამ მანიფესტში მუშებმა დაინახეს, რომ პარტია სცდილობს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. 7 საათიანი სამუშაო დღე ჩვენ საშუალებას მოგვცემს ხელი მოვჰკიდოთ თვითგანვითარებას და საზოგადოებრივ მუშაობას. თუ ოპოზიცია მანიფესტის წინააღმდეგია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ სწამს მუშათა კლასის ძალა. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვმუშაობდით არა 8 საათს, არამედ მხოლოდ 7 ნახ. საათს. ეს გატარებულ იქნა ჩვენი ფაბრიკის რაციონალიზაციის შემდეგ. ამით ჩვენი ხელფასი სრულიადაც არ შემცირებულა, პირიქით, გადიდდა 75 პროც.-ით. მე ვფიქრობ, 7 საათის მუშაობა ჩვენ დიდხანს არ მოგვიხდება. მალე ჩვენ კიდევ უფრო ნაკლები დროს სამუშაოზე გადავალთ. მე ვფიქრობ, რომ ცეკას მიერ წამოყენებული საკითხი 7 საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ, სწორია და ჩვენ ყველა მუშები ვსცნობთ, რომ ეს აუცილებელია დღევანდელ პირობებში. ჩვენ ხელს შეუწყობთ 7 საათიანი სამუშაო დღის ლოზუნგის გატარებას და აქეთკენ მივმართავთ მთელს ჩვენს ძალ-ღონეს“.

იმ დროს, როცა ზოგიერთებს სხვა საქმე არა აქვთ, გარდა იმისა, რომ ქედი მოიხარონ სიძნელეების წინაშე და ცილი სწამონ მუშათა კლასს, მეორენი (ეს მეორენი კი არიან მუშები და პარტიის მასსიური მუშაკნი) გამოხატავენ მტკიცე გადაწყვეტილებას პრაქტიკულად იბრძოლონ 7 საათიანი სამუშაო დღის გატარებისათვის.

და სრულიადაც საჭირო არ არის იყო გულთმისანი, რომ იწინასწარმეტყველო მათი აუცილებელი გამარჯვება ამ ბრძოლაში წინააღმდეგ ცილისწამებლების და კაპიტულიანტების მტკიცებისა.

„პრავდა“, 2 ნოემბერი.

განხეთქილება რუსეთის ფრანგ მევალეთა ბანაკში

მევალეთა უმრავლესობა მოითხოვს კავშირის გაწყვეტას სპეკულიანტების ჯგუფთან

ინგლისის მუშათა პარტიის გამარჯვება საქალაქო არჩევნებში

უთანხმოება რუსეთის ფრანგ მევალეთა ბანაკში

პარიზი, 1 ნოემბერი. 31 ოქტომბერს შესდგა რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა კონგრესი, რომელიც მოიწვია „რუსეთის ფრანგ კრედიტორთა ასოციაციამ“. კონგრესს დაესწრო აგრეთვე „რუსეთის ფასიან ქაღალდების ინდივიდუალურ მეპატრონეთა ასოციაციის“ დელეგაცია **შარპანტიეს** მეთაურობით. შარპანტიემ კონგრესს გააცნო თავისი ასოციაციის თვალსაზრისი საბჭოთა კავშირის იმ წინადადებათა შესახებ, რომლებიც შეეხება მეფის ვალების მოწესრიგების საკითხს.

ფრანგ კრედიტორების ასოციაციის სახელით ილაპარაკა **ფილიპმა**. მთავარი განსხვავება ამ ორ ასოციაციის შეხედულებებს შორის გამოიხატება შემდეგში: შარპანტიე თანახმა ვალების საკითხი დაუკავშიროს კრედიტების საკითხს და აგრეთვე ღებულობს მთავრობის შუამავლობას ორივე საკითხის მოწესრიგებაში.

ფილიპი, პირიქით, მიუხედავათ იმ განცხადებისა, რომელიც მან მისცა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს, მოითხოვა, რათა ვალების გადახდა სწარმოებდეს ყოველგვარ პირობების გარეშე.

კამათის დამთავრების შემდეგ კონგრესმა მიიღო რამოდენიმე რეზოლიუცია. პირველი რეზოლიუციის თანახმად მოლაპარაკება უშუალოდ უნდა აწარმოონ ფასიანი ქაღალდების მეპატრონეებმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთან და აგრეთვე იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, რომელნიც აღმოცენდენ ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

მეორე რეზოლიუცია ავალებს საგანგებოთ არჩეულ კომისიას შეუთანხმდეს პოლიტიკურ პარტიებს და სამეურნეო ჯგუფებს ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა ინტერესების დამცველ მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით.

მესამე რეზოლიუცია აღგენს გასწყვიტოს ყოველგვარი კავშირი სპეკულიანტურ ჯგუფებთან, რომელთაც მხოლოდ ზიანი მოაქვთ ფასიან ქაღალდების მეპატრონეთა ინტერესებისათვის.

დაბოლოს, მეოთხე რეზოლიუცია **დემონზის კომისიას ბრალს სდებს იმაში, რომ „ის აწარმოებს უსირცხვილო სპეკულიაციას და არავითარი რწმუნებები არა აქვს მიღებული ფასიან ქაღალდების მეპატრონეთაგან“.** (ადს).

მუნიციპალური არჩევნები ინგლისში

ლონდონი, 1 ნოემბერი. 1 ნოემბერს, მთელს ინგლისში, ლონდონის ოლქის გამოკლებით, შესდგა მუნიციპალურ საბჭოების არჩევნები წევრების იმ მესამედის შესავსებად, რომელიც გავიდა საბჭოებიდან. უკანასკნელი არაოფიციალური ცნობები მუნიციპალური არჩევნების შედეგების შესახებ მოწმობს, რომ **მუშათა პარტიამ მოიმატა 8 ადგილი, კონსერვატიულმა პარტიამ დაჰკარგა — 63, ლიბერალებმა დაჰკარგეს — 21, დამოუკიდებლებმა — 9 ადგილი.** (ადს).

ავსტრიელ მენშევიკების ყრილობა

ბაუერი მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის შესახებ

ვენა, 1 ნოემბერი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობაზე ბაუერმა მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის შესახებ განაცხადა, რომ თუ საბჭოთა კავშირში მუშათა და გლეხთა კავშირი გამარჯვებით დაგვირგვინდა სწორედ დიქტატურის წყალობით, შეიძლება ითქვას, რომ „ავსტრიაში მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის განმტკიცება შეიძლება მხოლოდ დემოკრატიის საფუძველზე“.

აღნიშნა რა, რომ ფაშისტებს სურთ ახალი შეტაკებების გამოწვევა, ბაუერმა გაილაშქრა ყოველგვარ დემონსტრაციების წინააღმდეგ, თუ ამას აშკარად არ მოითხოვს მუშათა კლასი. მან გაილაშქრა აგრეთვე წარმოებებში გაფიცვების გამოცხადების წინააღმდეგ, თუ ამის შესახებ არ არის შეთანხმება მიღწეული ყველა პროფკავშირებს შორის. (ადს).

საბჭოთა სკოლის გამოფენა რიგაში

რიგა, 1 ნოემბერი. შრომის სკოლის გამოფენის ხელმძღვანელმა შტეინგაუზმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ გამოფენა რიგაში გაცილებით უფრო წარმატებით ჩატარდა, ვიდრე დანიაში და გერმანიაში. გამოფენაზე დამსწრეთა რიცხვს არსად არ მიუღწევია იმ რაოდენობამდე (1.500 კაცი დღეში), როგორც რიგაში.

რიგის საგანმანათლებლო წრეებში წარმოიშვა აზრი, რომ რიგაში მოეწყოს საბჭოთა გამოფენა ბავშვობისა და დედობის დაცვის დარგში. (ადს).

ინდოეთის რკინისგზელთა ფედერაციის ყრილობა

ლონდონი, 1 ნოემბერი. ხარაკპურში (ინდოეთი) შესდგა სრულიად ინდოეთის რკინის-გზელთა ფედერაციის საგანგებო კონფერენცია, რომელმაც ფედერაციის გენერალურ საბჭოს მიმართა თხოვნით ორი კვირის შემდეგ ინდოეთის რკინის-გზებზე გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა, რამაც ხელი უნდა შეუშალოს რკინის-გზელთა მასიურ დათხოვნას. რკინის-გზელების დათხოვნა ადმინისტრაციას განზრახული აქვს ბენგალ-ნაპურის რკ.-გზაზე გამოცხადებულ ლოკაუტთან დაკავშირებით. (ადს).

რადო ვუიოვიჩმა სიმშილობა გამოაცხადა

ვენა, 1 ნოემბერი. რამდენიმე თვის წინ დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს სამხრეთ - სლავიელი რევოლიუციონერი **რადო ვუიოვიჩი**. ვუიოვიჩი ამჟამად გადაიყვანეს საპოლიციო ციხეში და მოათავსეს განცალკევებულ კამერაში მიწის ქვეშ, ორმოში, რომელიც წყალით არის დაფარული. ვუიოვიჩმა **გამოაცხადა სიმშილობა. უკანასკნელ დღეებში დაპატიმრებულები, რომელთაც კომპარტიის წევრობაში სდებენ ბრალს, მიწის ქვეშ კამერებში მოათავსეს.** მათ უღიერად ეპყრობიან პოლიციელები. (ადს).

ამერიკის საზღვაო პროგრამა

ლონდონი, 1 ნოემბერი. „დეილი ნიუზ“ აქვეყნებს თავის კორესპონდენტის წერილს, რომელიც შეეხება ინგლის-ამერიკის მეტოქეობას საზღვაო-სამხედრო შეიარაღების დარგში.

კორესპონდენტის სიტყვით, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესის სესიას, რომელიც დეკემბერში შესდგება, წარედგინება დასამტკიცებლად სამხედრო-საზღვაო მშენებლობის ახალი ხუთ წლიანი პროგრამა. პროგრამის მიხედვით აგებულ უნდა იქნეს 12 ახალი კრეისერი; თვითეულ კრეისერის წყალწყვა იქნება 10.000 ტონა. თვითეული კრეისერი შეიარაღებული იქნება 10 რვა დიუმიანი ზარბაზნით. გარდა ამისა, ამჟამად შენდება 8 კრეისერი ასეთივე წყალწყვით. ამ კრეისერების აგების შემდეგ ამერიკის ფლოტის საოკეანო კრეისერების რიცხვი აყვანილ იქნება 13-დე. ამრიგად, მძიმე კრეისერების მხრივ ინგლისი და ამერიკა ერთმანეთს გაუთანასწორდებიან, მაგრამ ინგლისს დარჩება საგრძნობი უპირატესობა მსუბუქი კრეისერების.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს სამხედრო ჰაეროპლანების გაძლიერებულ მშენებლობას ჩრ. ამ. შ. შტატებში. ემყარება რა ოფიციალურ ცნობებს, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ წელს დაკვეთილია 146 ახალი სამხედრო ჰაეროპლანი; ამასთანავე ამერიკა მიზნად ისახავს, რომ თითეულ სამხედრო გემზე იყოს რამდენიმე ჰაეროპლანი. ყველა ჯავშნოსნებზე და კრეისერებზე ამჟამად მოიპოვება ჰაეროპლანები. თვით ზოგიერთ ნაღმოსნებზე და წყალ-ქვეშა ნავებზედაც არის პატარა მჭვერავი თვითმფრინავები. ამავე დროს ზომებს ღებულობენ, რომ სამხედრო გემები დაცულ იქნენ ჰაეროპლანების თავდასხმისაგან.

ყოველ ჯავშნოსანზე მოწყობილია 3 5 დიუმიანი ზარბაზანი. (ადს).

პირდაპირი მიმოსვლა

რიგა, 1 ნოემბერი. საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს რიგაში პირდაპირი სარკინისგზო მიმოსვლის დასამყარებლად ევროპასა და აზიას შორის, საბჭოთა დელეგაციის წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1928 წლის 15 მაისამდე დაიწყოს სამგზავრო მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა ევროპა-აზიის რკინისგზის მთელ ხაზზე; პირდაპირი მიმოსვლის ბილეთები უნდა გაიყიდოს მთელ ხაზზე გამგზავრების პუნქტიდან მისასვლელ პუნქტამდე. (ადს).

ახალი კაბინეტი

ოსმალეთში

ანგორა, 1 ნოემბერი. ანატოლიის სააგენტო იტყობინება, რომ პრემიერმა ისმეტ - ფაშამ ჩააბარა რესპუბლიკის პრეზიდენტს თხოვნა მთავრობის გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა მიიღო გადადგომა და დაავალა ისმეტ - ფაშას შეადგინოს ახალი კაბინეტი. წინანდელი მთავრობა აასრულებს თავის მოვალეობას ახალი მთავრობის შედგენამდე. (ადს).

ჩინეთის მუშათა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 2 ნოემბერი. მოსკოვში ჩამოსულ ჩინელ მუშათა დელეგაციას გაუმართეს განსაკუთრებული საზეიმო შეხვედრა

სადგურის წინ მოედანზე გამართულ მიტინგზე დელეგაციას მხურვალედ მიესალმენ მოსკოვის პროფსაბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და აგრეთვე გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის და ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციების წარმომადგენლები.

თავის პასუხში ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა:

„ჩინეთის რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ ცოცხალია. ჩინელი რევოლიუციონერები ხელიდან არ უშვებენ წითელ დროშას“.

მის სიტყვას და აგრეთვე ჩინეთის ახალგაზრდობის წარმომადგენელ-ქალის, დელეგაციის წევრის გამოსვლას დამსწრე ხალხი „ვაშას“ ძახილით მიეგება. (ადს).

მ. გორკის წერილი

მოსკოვი, 2 ნოემბერი. ამ დღეებში სახელგამის გამგემ ამხ. ხალატოვმა **მ. გორკისაგან** სორენტოდან მიიღო წერილი, რომელშიაც გორკი გამოსთქვამს თავის მოსაზრებებს სახკომსაბჭოსთან არსებულ მეცნიერთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ ცენტრალურ კომისიის უახლოესი მუშაობის შესახებ და იძლევა ამ კომისიის მუშაობის შეფასებას.

ამ კომისიის მოწყობაში გორკი იღებდა უშუალო აქტიურ მონაწილეობას.

— მეცნიერთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი ცენტრ. კომისია,— სწერს გორკი, — საბჭოთა ხელისუფლების ერთი ისეთი დაწესებულებათაგანია, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლებას უსათუოდ შეუძლია იამაყოს „კულტურული“ ევროპის წინაშე. საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს უჩვენოს მაგალითისათვის თავისი მზრუნველობა მეცნიერების მუშაკების მიმართ, მის მიერ მათი შრომის დაფასება, რომელიც რასაკვირველია, ღირსია ასეთი დაფასების. ვფიქრობ, რომ მეცნიერების დიდმა უმრავლესობამ უნდა აღიაროს, რომ მხოლოდ ხელისუფლების ასეთი მზრუნველობის გამო, ხელისუფლებისა და თვით მეცნიერების მუშაკებისათვის მძიმე წლებში მათ შესძლეს ასეთი ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობის წარმოება“.

— „მე ვათავებ, — ნათქვამია წერილში, — „სამგინის“ მეორე ტომს. მე სურვილი მაქვს დავსწერო წიგნი ახალ რუსეთზე. მე უკვე შევაგროვე საამისოდ დიდძალი საინტერესო მასალა კლუბების, სოფლების, სკოლების, ლუდხანების, სოციალურად მავნე ბავშვთა კოლონიების, მუშკორების, გლეხკორების და სხვების შესახებ.

ეს მეტად სერიოზული საქმეა. როცა მე ამის შესახებ ვფიქრობ, მღელვარებისაგან თმა ყალყზე მიდგება. მეტისმეტად ამაღელვებელ, განსაცვიფრებლად საინტერესო წერილებს მიგზავნიან ახალი ცხოვრების პატარა მშენებელნი ჩვენი ქვეყნის მიყრუებულ კუთხეებიდან. (ადს).

ხანძარი ბალის მაღაროებში

ანგორა, 1 ნოემბერი. ბალიის მაღაროებიდან, სადაც ხანძარი გაჩნდა, შესაძლებელი გახდა ინჟინერის და 8 მუშის ამოყვანა, რომლებიც ჩასული იყვნენ მაღაროებში რამოდენიმე დღის წინ ხანძრის გაჩენამდე. ოთხი მუშა მოკვდა. კატასტროფამ გამოიწვია პროდუქციის დაცემა 80 პროცენტით, რის გამო, საზოგადოება, რომელსაც აღებული აქვს მაღაროები, 800 მუშას ხსნის სამუშაოდან. (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს - აირეს, 1 ნოემბერი. კაპაბლანკა - ალიოხინის მატჩის მე-23 პარტია გადაიდო მე-40 სვლის შემდეგ. (ადს).

ღამის ცნობები

ბოროდინი მოსკოვში

მოსკოვი, 2 ნოემბერი. 1 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა **ბოროდინა**. მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოში ჩინეთის ხელისუფლებამ ნანკინში დააპატიმრა ბოროდინა გემზე „ლენინის ხსოვნა“. შემდეგ, პეკინის სასამართლოს დადგენილებით, ის გაანთავისუფლეს. (ადს).

გლეხინტერნის წევრი უკრაინაში

ხარკოვი, 2 ნოემბერი. 1 ნოემბერს ხარკოვში ჩამოვიდა გლეხინტერნის გენერალური მდივანი **დომბალი** და გლეხინტერნის პრეზიდიუმის წევრი **მეშჩერიაკოვი**, რომლებიც გაჰყვებიან საბჭოთა კავშირში ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად ჩამოსულ გლეხთა დელეგაციებს უკრაინაში მოგზაურობის დროს. (ადს).

მოლდავიის ცაკის საიუბილეო სესია

ტირასპოლი, 2 ნოემბერი. 1 ნოემბერს ტირასპოლში ჩამოვიდნენ მოლდავიის ცაკის წევრები და მთავრობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ცაკის საიუბილეო სესიაში. ეს სესია ჯამს გაუკეთებს ავტონომიურ მოლდავიის 3 წლის არსებობის მანძილზე ჩატარებულ მუშაობას. (ადს).

ექიმ ლვოვიჩის საქმე

მოსკოვი, 2 ნოემბერი. ბელორუსის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა მინსკის საოლქო სასამართლოს განაჩენი ექ. ლვოვიჩის საქმეზე. საქმე ხელახლა გაირჩევა 4 ნოემბერს უზენაეს სასამართლოში (ადს).

სპარსეთის დელეგაცია ბაქოში

ბაქო, 2 ნოემბერი. 2 ნოემბერს საღამოთი ჩამოვიდა სპარსეთის დელეგაცია, რომელიც გაემგზავრება მოსკოვში ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად (ადს).

დელეგაციების ჩამოსვლა

მოსკოვი, 2 ნოემბერი, მოსკოვში ჩამოვიდა ანტიიმპერიალისტური ლიგის, ჩეხო - სლოვაკიის მუშათა, ჩეხო - სლოვაკიის ახალგაზრდობის, ჩეხო - სლოვაკიის და მექსიკის გლეხობის და მონღოლეთის სახალხო რევოლიუციური პარტიის დელეგაციები (ადს).

სამხრეთ-ოსეთის სამთამადნო სიმდიდრე

ცხინვალი, 31 ოქტომბერი. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ინჟ. ვლორინსკიმ კუდარის რაიონში (სამხრეთ-ოსეთი) წარმოებულ გამოკვლევების შედეგების შესახებ განაცხადა:

„ზემო კვაისში აღმოჩენილია ტყვიაკრიალას ბუდობი 1 არშინის სიღრმეზე; მისი სიგრძე [illegible] საჟ. უდრის. მადანი შეიცავს 25—40 პროც. ტყვიას.

იქვე აღმოჩენილია ტყვიის მადანის 4 ბუდობი, მადანის ფენების სისქე უდრის 1,5, 0,8, 0.46 საჟ. ამათ გარდა არის კიდევ რამდენიმე პატარა ბუდობი. ტყვიის შემადგენლობა 20 პროც. აღწევს. სკატში ტყვიის მადანის სისქე უდრის 11 ვერშ., სიგრძე კი—55 საჟ., ტყვიის შემადგენლობა 50 პროც. რაზდარანში აღმოჩენილია ტყვიის მდიდარი ბუდობი, მაგრამ ტყვიის აღება შავისა და ნიადაგის უხვი წყლების გამო შეუძლებელი გახდა. ლაბირტაში, სოფ. ართაჯინის მახლობლად არის ტყვია-პირიტის მადანი. დეტალური გამოკვლევა მოითხოვს ორ თვეს და როგორც სჩანს, მეტად საინტერესო შედეგებია მოსალოდნელი.

ლენინის ორი წერილი

ლენინის ინსტიტუტის წინასიტყვაობა პირველ წერილზე

ლენინის ქვემოდ-დაბეჭდილი წერილი დაწერილია მის მიერ, როგორც ეს ტექსტიდან სჩანს სრული ერთი კვირით წინ ოქტომბრის გადატრიალებამდე.

გარემოებები, რომლებიც წინუძღოდა წერილის დაწერას, მოკლედ ასეთია:

10 (23) ოქტომბერს ვლადიმერ ილიჩი, თუმცა მას მოელოდა საფრთხე; რომ ხელში ჩავარდნოდა კერენსკის კონტრდაზვერვას, ჩამოვიდა პეტროგრადში და რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) ცეკას სხდომაზე გააკეთა მოხსენება აჯანყების აუცილებლობისა და მისი ტეხნიკურად მომზადების საჭიროების შესახებ. ცეკამ ორი ხმის (კამენევისა და ზინოვიევის) წინააღმდეგ მიიღო ვლადიმერ ილიჩის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც აღიარებს, რომ რუსეთის რევოლიუციის, როგორც საერთაშორისო ისე შინაგანი მდგომარეობა „დღის წესრიგში აყენებს შეიარაღებულ აჯანყებას“.

„სცნობს რა ამრიგად, რომ შეიარაღებული აჯანყება აუცილებელი და სავსებით მომწიფებულია, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციებს იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით საკითხები (ჩრდილოეთ ოლქის ყრილობის, პიტერიდან ჯარების გაყვანის, მოსკოველებისა და მინსკელების გამოსვლის საკითხები და სხვ.)“

მეორე დღეს 11 (24) ოქტომბერს ზინოვიევმა და კამენევმა, რომლებიც უმცირესობაში დარჩენ, მიმართეს უდიდეს პარტიულ ორგანიზაციებს ცნობილი წერილით—ფურცლით „მიმდინარე მომენტის შესახებ“. ამ დოკუმენტში მათ, მიუხედავად ცეკას დადგენილებისა, გადაჭრით გაილაშქრეს აჯანყების წინააღმდეგ. ამავე დროს კი აჯანყების საკითხს სულ უფრო და უფრო აქტუალური მნიშვნელობა ეძლეოდა.

16 (29) ოქტომბერს შესდგა რ. ს.-დ. მ. პ. (ბ) ცეკას თათბირი პარტიის პასუხისმგებელ მუშაკებთან, რომელზედაც ისევ კამენევისა და ზინოვიევის ხმების წინააღმდეგ მიღებულ იქნა ვლადიმერ ილიჩის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ „კრება სავსებით ესალმება და მთლიანად იზიარებს ცეკას რეზოლიუციას; კრება მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს, ყველა მუშებსა და ჯარისკაცებს შეიარაღებულ აჯანყების ყოველმხრივი გაძლიერებული მზადებისათვის იმ ცენტრის დახმარებით, რომელიც ამისათვის იქმნება ცენტრალური კომიტეტის მიერ; კრება გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ ცეკა და საბჭოები თავის დროზე გვიჩვენებენ გამოსვლის ხელსაყრელ მომენტს და მიზანშეწონილ საშუალებებს“.

პრაქტიკული ცენტრი აჯანყების სახელმძღვანელოდ არჩეულ იქნა ამხ. სვერდლოვის, სტალინის, ძერჟინსკის, ბუბნოვისა და ურიცკის შემადგენლობით.

იმავე დღეს პეტროგრადის საბჭოსთან დაარსებულ იქნა სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი. აჯანყებისათვის ამ გადამწყვეტ დღეებში „ნოვაია ჟიზნ“-ის 17 ოქტომბრის (30 ოქტომბრის) ნომერში დაიბეჭდა ბაზაროვის წერილი რომელშიაც მოთხრობილი იყო „ორ თვალსაჩინო ბოლშევიკის“ აჯანყების წინააღმდეგ მიმართულ წერილის-ფურცლის შინაარსი, 18 (31) ოქტომბერს კი იმავე გაზეთში დაიბეჭდა შენიშვნა: „კამენევი „გამოსვლის“ შესახებ“. ამ შენიშვნაში კამენევმა თავის და ზინოვიევის სახელით განაცხადა, რომ ისინი ვალდებული არიან „არსებულ გარემოებაში გაილაშქრონ ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იქნება შეიარაღებულ აჯანყების ინიციატივის აღებად, ვინაიდან ეს აჯანყება განწირული იქნებოდა დასამარცხებლად და გამოიწვევდა დამღუპველ შედეგებს პარტიისა, პროლეტარიატისა და რევოლიუციის ბედისათვის. ამ რისკის გაწევა იქნებოდა სასოწარკვეთილების ნაბიჯის გადადგმა“. კამენევის და ზინოვიევის ამ გამოსვლას „ნოვაია ჟიზნ“-ში, პასუხად მოჰყვა ლენინის წერილი პარტიის წევრებისადმი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა, წერილი დაწერილია შავი მელნით ოთხ გვერდზე წვრილი ტექსტით თითქმის შეუსწორებლად.

ლენინის ინსტიტუტი.

წერილი ბოლშევიკური პარტიის წევრებისადმი

ამხანაგებო! მე ჯერ არ მქონია შესაძლებლობა მიმეღო პიტერის ოთხშაბათის 18 ოქტომბრის გაზეთები. როცა მე ტელეფონით გადმომცეს სრული ტექსტი კამენევის და ზინოვიევის გამოსვლისა უპარტიო გაზეთში „ნოვაია ჟიზნ“-ში, მე ეს არ დავიჯერე. მაგრამ ეჭვის შეტანა შეუძლებელი აღმოჩნდა და მე იძულებული ვარ ვისარგებლო შემთხვევით, რომ მივაწვდინო ეს წერილი პარტიის წევრებს ხუთშაბათს საღამოს, ან პარასკევს დილით, ვინაიდან დუმილი ასეთი გაუგონარი შტრეიკბრეხერობის ფაქტის წინაშე დიდი დანაშაული იქნებოდა.

რამდენათ უფრო სერიოზულია პრაქტიკული საკითხი, რამდენათ უფრო პასუხისმგებელი და „გამოჩენილია“ ხალხი, რომელთაც ჩაიდინეს შტრეიკბრეხერობა, მით უფრო საშიშოა ის, მით უფრო გადაჭრით უნდა გავაძევოთ ჩვენი რიგებიდან შტრეიკბრეხერები, მით უფრო დიდი დანაშაული იქნებოდა მერყეობა, თუნდაც მათი წარსული „დამსახურების“ გამო.

აბა წარმოიდგინეთ! პარტიულ წრეებში იციან, რომ პარტია სექტემბრიდან იხილავს საკითხს აჯანყების შესახებ. არც ერთი დასახელებული პირის არც ერთი წერილი არავის არსად არ უნახავს! ეხლა, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ყრილობის წინ ორი გამოჩენილი ბოლშევიკი გამოდის უმრავლესობის წინააღმდეგ და, თავის თავად ცხადია, ცეკას წინააღმდეგ. ეს არ თქმულა პირდაპირ, და ამას კიდევ მეტი ზიანი მოაქვს საქმისათვის, ვინაიდან გადაკრულათ ლაპარაკი კიდევ უფრო საშიშოა.

კამენევის და ზინოვიევის განცხადების ტექსტიდან აშკარად სჩანს, რომ ისინი წავიდნენ ცეკას წინააღმდეგ, ვინაიდან უამისოდ მათი განცხადება უაზროა, მაგრამ სახელდობრ ცეკას რომელი დადგენილების წინააღმდეგ გაილაშქრეს მათ,—არ არის ნათქვამი.

რატომ?

აშკარაა: იმიტომ, რომ ის არ გამოაქვეყნა ცეკამ.

რას ნიშნავს ეს?

უმნიშვნელოვანეს საკითხში, კრიტიკული დღის 20 ოქტომბერს წინ, ორი „გამოჩენილი ბოლშევიკი“ უპარტიო პრესაში, სწორედ ისეთ გაზეთში, რომელიც ამ საკითხში მხარს უჭერს ბურჟუაზიას მუშათა კლასის წინააღმდეგ, ასეთ გაზეთში ილაშქრებენ პარტიის ცენტრის გამოუქვეყნებელ გადაწყვეტილების წინააღმდეგ!

ეს ხომ ათასჯერ უფრო საზიზღარი და მილიონჯერ უფრო საზიანოა თუ გინდ პლეხანოვის ყველა იმ გამოსვლებისა უპარტიო პრესაში 1906 -07 წ. წ., რომლებსაც ასე სასტიკათ ჰგმობდა პარტია! მაშინ ხომ ლაპარაკი იყო მხოლოდ არჩევნებზე, ეხლა კი საქმე ეხება აჯანყებას ძალაუფლების დასაპყრობათ!

და ასეთ საკითხში, ცენტრის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ამ გამოუქვეყნებელ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გალაშქრება როძიანკოსა და კერენსკის წინაშე უპარტიო გაზეთში—განა შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს უფრო მოღალატური, უფრო შტრეიკბრეხერული საქციელი?

მე სამარცხვინოდ ჩავსთვლიდი ჩემთვის, ამ ყოფილ ამხანაგებთან წინანდელი მეგობრობის გამო რომ გამომეჩინა მერყეობა მათ დაგმობაში. მე ვლაპარაკობ პირდაპირ, რომ მათ ამიერიდან ამხანაგებათ აღარ ვსთვლი და მთელი ჩემი ძალღონით შევეცდები ცეკასა და ყრილობის წინაშე, რომ ისინი გამორიცხულ იქნენ პარტიიდან.

ვინაიდან მუშათა პარტია, რომელსაც ცხოვრება ხშირათ აყენებს პირისპირ აჯანყებასთან ვერ გადასჭრის ამ ძნელ ამოცანას, თუ ცენტრის გამოუქვეყნებელ დადგენილებათა წინააღმდეგ, მათი მიღების შემდეგ, ილაშქრებენ უპარტიო პრესაში და მებრძოლთა რიგებში შეაქვთ მერყეობა და არევ-დარევა.

დეე ბატონ ზინოვიევმა და კამენევმა დაარსონ თავისი პარტია რამოდენიმე ათეულ დაბნეულ ხალხთან, დამფუძნებელ კრების კანდიდატებთან ერთად. მუშები ასეთ პარტიაში არ წავლენ, ვინაიდან მისი პირველი ლოზუნგი იქნება:

„ცეკისტებს, რომელნიც დამარცხდენ ცეკას კრებაზე საკითხში გადამწყვეტ ბრძოლის შესახებ, უფლება ეძლევათ წავიდნენ უპარტიო პრესაში პარტიის გამოუქვეყნებელ დადგენილების წინააღმდეგ გასალაშქრებლად“.

დეე აშენონ მათ ასეთი პარტია; ჩვენი ბოლშევიკური მუშათა პარტია ამით მხოლოდ მოიგებს.

როცა გამოქვეყნდება ყველა დოკუმენტები, ზინოვიევის და კამენევის შტრეიკბრეხერობა კიდევ უფრო ნათელი გახდება. ჯერ-ჯერობით კი დეე მუშების წინაშე დაისვას კითხვა:

„დაუშვათ, რომ სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა ხმების 80 პროცენტის უმრავლესობით, რომ მომზადებულ უნდა იქნეს გაფიცვა, მაგრამ არც ვადა და არც სხვა რამე ჯერ არ უნდა იქნეს გამოქვეყნებული. დაუშვათ, რომ ორმა წევრმა, ამოეფარენ რა „განსაკუთრებულ შეხედულებას“, გადაწყვეტილების შემდეგ არამც თუ დაიწყეს ადგილობრივ ჯგუფებისადმი მიმართვა გადაწყვეტილების გადათვალიერების შესახებ არამედ გამოაქვეყნეს კიდეც თავისი წერილები უპარტიო გაზეთებში. დაუშვათ, რომ, დაბოლოს, მათ თვით გაილაშქრეს უპარტიო გაზეთებში გადაწყვეტილების წინააღმდეგ, თუმცა უკანასკნელი ჯერ არ ყოფილა გამოქვეყნებული და კაპიტალისტების წინაშე გინება დაუწყეს გაფიცვას.

„ისმება კითხვა, გამოიჩენენ თუ არა მუშები მერყეობას თავისი რიგებიდან ასეთი შტრეიკბრეხერების გამორიცხვის საკითხში“?

რაც შეეხება იმას, თუ რა მდგომარეობაშია საკითხი აჯანყების შესახებ ეხლა, 20 ოქტომბრის წინ, მე შორიდან არ შემიძლია ვიქონიო სწორი წარმოდგენა, თუ რამდენათ გააფუჭა საქმე შტრეიკბრეხერების გამოსვლამ უპარტიო პრესაში. ეჭვს გარეშეა, რომ პრაქტიკული ზიანი დიდია. საქმის გამოსწორებისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა აღდგენილ იქნეს ბოლშევიკური ფრონტის მთლიანობა შტრეიკბრეხერების გამორიცხვით.

აჯანყების წინააღმდეგ წამოყენებულ იდეურ არგუმენტების სისუსტე მით უფრო ნათელი იქნება, რამდენადაც მეტს გამოვიტანთ მათ მზის სინათლეზე. მე ამ დღეებში გავგზავნე ამის შესახებ წერილი „რაბოჩი პუტ“-ში, და თუ რედაქცია შესაძლოთ ვერ სცნობს მის მოთავსებას, პარტიის წევრები, ალბათ, გაეცნობიან მას ხელთნაწერით.

ეს „იდეური“, უკაცრავად პასუხია, არგუმენტები ორნაირია: პირველი, დამფუძნებელი კრების „მოლოდინი“. მოვიცადოთ, შეიძლება მივაღწიოთ—აი, მთელი არგუმენტი. შეიძლება სიმშილით, ნგრევით, ჯარისკაცთა მოთმინების დაკარგვით, როძიანკოს ნაბიჯებით პიტერის გერმანელებისათვის გადაცემით, ლოკაუტებით, შეიძლება კიდევ მივაღწიოთ.

მეორე, მყვირალა პესიმიზმი. ბურჟუაზიას და კერენსკის ყველაფერი კარგათ აქვს, ჩვენ კი ცუდათ. კაპიტალისტებს ყველაფერი მშვენივრათ მომზადებული აქვთ, მუშებს კი ყველაფერი ცუდათ. „პესიმისტები“ საქმის სამხედრო მხარის შესახებ გაჰკივიან რაც ძალი და ღონე აქვთ, ხოლო „ოპტიმისტები“ სდუმან, ვინაიდან როძიანკოს და კერენსკის წინაშე საიდუმლოების გამხელა მხოლოდ შტრეიკბრეხერებისათვის არის სასიამოვნო.

მძიმე დროა. მძიმეა ამოცანა. მძიმეა ღალატი.

და მაინც ამოცანა გადაჭრილ იქნება, მუშები გაერთიანდებიან, გლეხთა აჯანყება და ჯარისკაცთა მოუთმენლობა ფრონტზე გააკეთებს თავის საქმეს! მედგრათ შევამჭიდროვოთ რიგები,—პროლეტარიატმა უნდა გაიმარჯვოს.

ნ. ლენინი.

ლენინის მეორე წერილის წინასიტყვაობა

ვლადიმერ ილიჩის ეს წერილი დაწერილია მის მიერ ზემოთმოყვანილ წერილის შემდეგ ან 18 (31) ოქტომბერს საღამოს (ამ დღეს მოხდა პეტროგრადის საბჭოს სხდომა, რომელზედაც გამოვიდა კამენევი და რომელიც მოხსენებულია წერილში) ან 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს). წერილი იბეჭდება 1917 წლის ასლის მიხედვით, რომელიც დაცული იყო ოქტომბრის რევოლიუციის არქივში და გადაეცა ლენინის ინსტიტუტს. წერილი დაწერილია ძველი მართლწერით, მასში ბევრია დაბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომები, რაც აიხსნება როგორც ჩვენი მაშინდელი ტეხნიკური აპარატის სისუსტით და სიღარიბით, ისე ოქტომბრის დღეების საერთო მშფოთვარე ატმოსფერით. აშკარა შეცდომები ჩვენ მიერ გასწორებულია. დანარჩენში კი ინსტიტუტმა საჭიროდ ჩასთვალა გადმოებეჭდა ტექსტი იმ სახით, როგორც მან ჩვენამდე მოაღწია, და არ შეუტანია მასში რაიმე სტილისტური შესწორებანი.

ლენინის ინსტიტუტი.

შემდეგ ამას მიჰყვება მეორე წერილის ტექსტი უსათაუროდ:

ძვირფასო ამხანაგებო!

პარტია, რომელიც პატივსა სცემს თავს, ვერ მოითმენს თავის წრეში შტრეიკბრეხერობასა და შტრეიკბრეხერებს. ეს—თვალსაჩინოა. რამდენადაც უფრო უფიქრდები ზინოვიევისა და კამენევის გამოსვლებს უპარტიო პრესაში, მით უფრო უდავო ხდება, რომ მათი საქციელი წარმოადგენს სრულ შტრეიკბრეხერობას. კამენევის ცდა, რომ თავი დაეძვრინა პასუხისმგებლობისაგან პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე, პირდაპირ სამარცხვინო რამ არის: თურმე ნუ იტყვით, ის სავსებით ეთანხმება ტროცკის. მაგრამ ნუ თუ ძნელია იმის გაგება, რომ ტროცკის არ შეეძლო, არ ჰქონდა უფლება, არ უნდა ეთქვა მტრების წინაშე იმაზე მეტი, რაც მან სთქვა. ნუ თუ ძნელია იმის გაგება, რომ პარტია, რომელიც ფარავს მტრისაგან თავის გადაწყვეტილებას (შეიარაღებულ აჯანყების საჭიროების შესახებ, იმის შესახებ, რომ ეს აჯანყება მომწიფებულია, ამ აჯანყების ყოველმხრივ მზადების შესახებ და სხვ.), ვალდებულია, ეს გადაწყვეტილება ავალებს მის წევრებს, რომ საჯარო გამოსვლების დროს არა თუ დანაშაული, არამედ თაოსნობაც გადააბრალონ მოწინააღმდეგეს. მხოლოდ ბავშვი თუ ვერ გაიგებდა ამას. კამენევის თავის გამართლება არის უბრალო ჟულიკობა. იგივე უნდა ითქვას, ზინოვიევის თავის გამართლებაზეც ყოველშემთხვევაში მისი „თავის გასამართლებელი“ წერილი (მგონი ცენტრალურ ორგანოში), წერილი, რომელიც მე მხოლოდ ახლა ვნახე (ვინაიდან განსაკუთრებული აზრი, ვითომდა განსაკუთრებული აზრი, რომელზედაც გაჰკივის ბურჟუაზიული პრესა, მე, ცეკას წევრს, ჯერ არ მინახავს). ზინოვიევის ერთ-ერთი „არგუმენტია“: ლენინი გზავნიდა თავის წერილებს „რაიმე გადაწყვეტილებების მიღებამდე“ და თქვენ პროტესტი არ განგიცხადებიათ. სიტყვა სიტყვით ასე სწერს ზინოვიევი და თითონ უსვამს ოთხ ხაზს სიტყვას „მიღებამდე“. ნუ თუ ძნელია იმის გაგება, რომ სანამ ცენტრი გადაწყვეტს საკითხს გაფიცვის შესახებ, შეიძლება აგიტაციის გაწევა როგორც გაფიცვის სასარგებლოდ, ისე მის წინააღმდეგ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიღებულია გადაწყვეტილება გაფიცვის სასარგებლოდ (და მიღებულია დამატებითი გადაწყვეტილება, რომ ყოველივე ეს დაიმალოს მტრისაგან), ამის შემდეგ გაფიცვის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა არის შტრეიკბრეხერობა. ყოველი მუშა გაიგებს ამას. საკითხი შეიარაღებულ აჯანყების შესახებ ირჩეოდა ცენტრში, სექტემბრიდან, აი როდის შეეძლო ზინოვიევსა და კამენევს გამოსულიყვნენ და უნდა გამოსულიყვნენ კიდეც წერილობით, რომ ყველას დაენახა მათი არგუმენტები და შესძლებოდა მათი დაბნეულობის შეფასება. თავის შეხედულებათა დაფარვა პარტიისაგან მთელი თვის განმავლობაში და განსაკუთრებული აზრის დაგზავნა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არის შტრეიკბრეხერობა.

ზინოვიევი თავს გვაჩვენებს ისე, თითქოს მას არ ესმოდეს ეს განსხვავება, არ ესმოდეს ის, რომ გაფიცვის შესახებ გადაწყვეტილების, ცენტრის გადაწყვეტილების შემდეგ მხოლოდ შტრეიკბრეხერებს შეუძლიათ აგიტაციის გაწევა დაბალი ინსტანციების წინაშე ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამას ყოველი მუშა მიხვდება. აი, სწორედ ზინოვიევი ეწეოდა აგიტაციას ცენტრის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ და სცდილობდა ამ გადაწყვეტილებების ჩაშლას როგორც საკვირაო კრებაზე, სადაც მან და კამენევმა ვერც ერთი ხმა ვერ მიიღეს, ისე თავის ეხლანდელ წერილშიც. ვინაიდან ზინოვიევს მისწევს უსინდისობა ილაპარაკოს, რომ „პარტიისაგან არ არის მიღებული დასტური“ და რომ ასეთ საკითხებს „სწყვეტს ათი კაცი“. თქვენ წარმოიდგინეთ! ყველა ცეკისტებმა იციან, რომ გადამწყვეტ კრებას დაესწრო ათზე მეტი კაცი—ცეკას წევრი, რომ დაესწრო პლენუმის უმრავლესობა, რომ თვით კამენევმა ამ კრებაზე განაცხადა: „ეს კრება გადამწყვეტია“, რომ კრებაზე დაუსწრებელ ცეკას წევრების შესახებ ცნობილი იყო, რომ მათი უმრავლესობა არ ეთანხმება ზინოვიევსა და კამენევს. და აი ცეკას გადაწყვეტილების შემდეგ კრებაზე, რომელიც კამენევმა გადამწყვეტად აღიარა, ცეკას წევრს ჰყოფნის თავხედობა დასწეროს: „პარტიას არ დაუდასტურებია ეს გადაწყვეტილება“, „ასეთ საკითხებს ათი კაცი არ უნდა სწყვეტდეს“—ეს არის ნამდვილი შტრეიკბრეხერობა. პარტიის ყრილობამდე ცეკა სწყვეტს. ცეკამ გადასწყვიტა. კამენევი და ზინოვიევი, რომლებიც წერილობით არ გამოსულან გადაწყვეტილების მიღებამდე, გამოვიდენ ცეკას გადაწყვეტილების წინააღმდეგ იმის შემდეგ, როდესაც ის უკვე მიღებული იყო. ეს არის ნამდვილი შტრეიკბრეხერობა. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუშვებელია რაიმე დავა, როდესაც საქმე შეეხება დაუყოვნებლივ საიდუმლო მზადებას გაფიცვისათვის. ეხლა ზინოვიევს ჰყოფნის გამბედაობა დაგვაბრალოს „მოწინააღმდეგის გაფრთხილება“. სადაა უტიფრობის საზღვარი? ნამდვილად ვინ გააფუჭა საქმე და ჩაშალა გაფიცვა „მოწინააღმდეგების გაფრთხილებით“, თუ არა იმ ხალხმა, რომლებიც გამოვიდენ არაპარტიულ პრესაში, გაზეთში, რომელიც ამ საკითხში მთელ ბურჟუაზიასთან ერთად გამოდიან პარტიის „გადამწყვეტი“ დადგენილების წინააღმდეგ. „განსაკუთრებული აზრი“ უწოდო იმას გაიგებს და დაბეჭდავს არაპარტიულ გაზეთში ბაზაროვი, ნიშნავს პარტიის გამასხარავებას.

კამენევისა და ზინოვიევის გამოსვლა არაპარტიულ გაზეთში განსაკუთრებით სამარცხვინოა კიდევ იმით, რომ პარტიას არ შეუძლია აშკარად უარყოს მათი გაიძვერული სიცრუე; ჩემთვის უცნობია გადაწყვეტილება ვადის შესახებ—სწერს და აქვეყნებს თავისი და ზინოვიევის სახელით კამენევი (ზინოვიევი მთლიანადაა პასუხისმგებელი მთელი მოქცევისა და გამოსვლისათვის ასეთი განცხადების შემდეგ). რაგაირად უარყოფს ამას ცეკა? კაპიტალისტების წინაშე ჩვენ ვერ ვიტყვით სიმართლეს, სახელდობრ იმას, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ გაფიცვა და გადავწყვიტეთ დავმალოთ მისთვის შერჩეული მომენტი. ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ ზინოვიევისა და კამენევის გაიძვერული სიცრუე, რადგან ამით კიდევ უფრო მეტ ზიანს მივაყენებთ საქმეს. ამ ორი პირის უსაზღვრო სისაძაგლე და ნამდვილი მოღალატეობა მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალისტების წინაშე მათ გადაშალეს გაფიცულთა გეგმა. როდესაც ჩვენ ვსდუმთ პრესაში, ყველა მიხვდება, თუ როგორია საქმე. კამენევმა და ზინოვიევმა როძიანკოს და კერენსკის გადასცეს თავის პარტიის ცეკას გადაწყვეტილება საიდუმლო აჯანყებისა და ამ აჯანყებისათვის ვადის შერჩევის შესახებ. ეს - ფაქტია. არავითარი მტკიცებით არ შეიძლება ამ ფაქტების უარყოფა. ცეკას ორმა წევრმა გაიძვერული სიცრუით კაპიტალისტების წინაშე გადასცეს მათ მუშების გადაწყვეტილება. ამაზე შეიძლება და უნდა იყოს კიდეც მხოლოდ ერთი პასუხი: ცეკას დაუყოვნებლივი განცხადება:

„ზინოვიევისა და კამენევის გამოსვლაში არაპარტიულ პრესაში ცეკა ხედავს სრულ შტრეიკბრეხერობას და ამიტომ ორივეს რიცხავს პარტიიდან“.

ჩემთვის ადვილი არ არის ამის წერა ახლობელ ამხანაგების შესახებ, მაგრამ მერყეობას მე ჩავთვლიდი აქ დანაშაულად, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, რევოლიუციონერების პარტია, რომელიც არ სჯის შტრეიკბრეხერებს, დაღუპულია. საკითხი სამხედრო აჯანყების შესახებ, კიდევაც რომ დიდი ხნით გადასდონ ის შტრეიკბრეხერებმა, რომლებმაც როძიანკოს და კერენსკის გაუმჟღავნეს საქმე, კიდევ არ არის მოხსნილი, არ არის მოხსნილი პარტიის მიერ. მაგრამ როგორ შეიძლება სამხედრო აჯანყებისათვის მზადება და ამავე დროს თავის წრეში მოვითმინოთ ასეთი „თვალსაჩინო“ შტრეიკბრეხერები? რაც უფრო თვალსაჩინოა, მით უფრო საშიშია, მით უფრო არასაკადრისია „პატიება“—ამბობენ ფრანგები. მოღალატედ შეიძლება გახდეს მხოლოდ შინაური კაცი.

რაც უფრო „თვალსაჩინო“ არიან შტრეიკბრეხერები, მით უფრო სავალდებულოა მათი დაუყოვნებლივ გამორიცხვა.

მხოლოდ ასე შეიძლება მუშათა პარტიის გაჯანსაღება, მისი გაწმენდა უხასიათო ინტელიგენტებისაგან და მხოლოდ რევოლიუციონერთა რიგების შემჭიდროებით შეიძლება წავლა დიდ, უდიდეს სიძნელეების წინააღმდეგ, წავლა რევოლიუციონურ მუშებთან ერთად.

ჩვენ არ შეგვიძლია სიმართლის დაბეჭდვა: არ შეგვიძლია ამის დაბეჭდვა რომ ცეკას გადამწყვეტი სხდომის შემდეგ ზინოვიევსა და კამენევს ეყო უტიფრობა მოეთხოვათ საკითხის გადასინჯვა კვირის სხდომაზე, რომ კამენევი უსირცხვილოდ გაიძახოდა: „ცეკა დამარცხდა, ვინაიდან ერთი კვირის განმავლობაში არაფერი არ გაუკეთებია“ (პასუხის გაცემა მე არ შემეძლო, ვინაიდან იმის თქმა, თუ რა გაკეთდა არ შეიძლება), ზინოვიევმა კი გულუბრყვილო გამომეტყველებით წარმოადგინა კრების მიერ უარყოფილი რეზოლიუცია: „არ მოვახდინოთ გამოსვლა იმ ბოლშევიკებთან თათბირამდე), რომლებიც 20-ისთვის უნდა ჩამოვიდენ საბჭოებას ყრილობაზე“.

აბა იფიქრეთ: მას შემდეგ, რაც ცენტრმა გადასწყვიტა საკითხი გაფიცვის შესახებ, ქვედა საფეხურის ორგანიზაციების კრებას ეძლევა წინადადება გადასდონ ეს საკითხი და გადასცენ (20-ის ყრილობისათვის, ყრილობა გადასდევს, იმიტომ, რომ... ზინოვიევებს სჯერათ ლიბერდანების), გადასცენ ისეთ კოლეგიას, რომელიც პარტიის წესდებას არ იცნობს, რომელიც ცეკას მიმართ უფლებებით არ არის აღჭურვილი და, რომელიც პიტერს არ იცნობს.

და ყოველივე ამის შემდეგ ზინოვიევს ჰყოფნის უტიფრობა სწეროს: „ასე არავინ ამტკიცებს პარტიის მთლიანობას“.

რა გნებავთ უწოდოთ ამას, თუ არა გათიშვის მუქარა.

მე ასეთ მუქარაზე ვუპასუხებ, რომ ბოლომდე წავალ, მოვიპოვებ სიტყვის თავისუფლებას მუშების წინაშე, რათაც არ უნდა დამიჯდეს და ვამხილებ შტრეიკბრეხერ ზინოვიევს როგორც შტრეიკბრეხერს. გათიშვის მუქარაზე მე ვუპასუხებ ომის გამოცხადებით ბოლომდე—ორივე შტრეიკბრეხერის გამოსარიცხავად პარტიიდან.

პროფესიონალური კავშირის გამგეობამ კამათის შემდეგ გადასწყვიტა: გაფიცვა აუცილებელია, ვადა მომწიფდა, დავუმალოთ ეს წარმოების პატრონს. ამის შემდეგ გამგეობის ორ წევრს, დავა გადაწყვეტილების შესახებ გადააქვს ქვედა ფენებში და აქ ისინი მარცხდებიან. შემდეგ ამ ორ სდავა გადააქვს პრესაში და კაპიტალისტების წინაშე ამჟღავნებენ გაიძვერული სიცრუით გამგეობის გადაწყვეტილებას. ამით ისინი სანახევროდ შლიან გაფიცვას, ან სდებენ მას უფრო ცუდ ვადამდე, აფრთხილებენ მტერს.

აი ნამდვილი შტრეიკბრეხერობა. აი რატომ მოვითხოვ მე ორივე შტრეიკბრეხერის გამორიცხვას და ვიტოვებ უფლებას (ვინაიდან ისინი გათიშვით იმუქრებიან) ყველაფერი გამოვაქვეყნო, როცა შესაძლებელი იქნება გამოქვეყნება“.

(მეორე წერილის დასასრული).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ოქტომბრის გადაწყვეტილებათა შესახებ

ამხ. მოლოტოვის მოხსენება მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე

შვიდი საათის სამუშაო დღე და ოპოზიცია

სოციალისტურ მშენებლობის პერსპექტივები

მოსკოვი, 1 ნოემბერი. პლენუმის გადაწყვეტილებანი ხუთწლიანი გეგმისა და სოფლად მუშაობის შესახებ მეტად დამახასიათებელი არის იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც პარტია ატარებს. ეს გადაწყვეტილებანი გვიჩვენებენ, თუ როგორი პერსპექტივებით უახლოვდება პარტია მე-15 ყრილობას. განა დამახასიათებელი არ არის, რომ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელი ორგანოები ემზადებიან ეხლავე დაამთავრონ მუშაობა ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. თვით ფაქტი იმისა, რომ დამთავრდა ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის საქმიანი დამუშავება მოწმობს უდიდეს წარმატებას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. განა პარტიისა და საბჭოების ცაკის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მრეწველობაში უკვე მომავალი წლიდან იქნას შემოღებული შვიდი საათის სამუშაო დღე, ნათლად არ უმტკიცებს ყველა ქვეყნების მუშებს სოციალისტური მშენებლობის წარმატებას? მიუმატეთ ამას კიდევ ის ახალი ამოცანები, რომელთაც პარტია აყენებს სოფლად მუშაობის დარგში, და რომელთა აზრი მდგომარეობს იმაში, რომ სოფელი რაც შეიძლება მეტად იქნას ჩაბმული სოციალისტური მშენებლობის საერთო სისტემაში.

ამგვარად, ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა, შვიდი საათის სამუშაო დღე და ახალი ამოცანები სოფლად, — აი, რომელ საკითხებზე მუშაობს ეხლა პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, აი, რა განსაზღვრავს ჩვენი პარტიის ხაზს, განსაკუთრებით სამეურნეო მშენებლობის დარგში, აი, ის ძირითადი რამ, რაც განსაზღვრავს სოციალიზმის მშენებლობის პერსპექტივებს მე-15 ყრილობის წინ.

ამ პერსპექტივებისა და ამით მუშათა კლასის ახალი ამოცანების შეგნებას პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ იდეური ბრძოლის შეფასებისათვის, რომელსაც პარტია აწარმოებს ოპოზიციის წინააღმდეგ.

ოპოზიციამ ნიღაბი აიხადა

ზემოაღნიშნულის შემდეგ აუცილებელია ცალკე შევჩერდეთ შვიდი საათის სამუშაო დღის საკითხზე და ოპოზიციის დამოკიდებულებაზე ამ საკითხისადმი. ოპოზიცია ყოველგვარი საშუალებით სცდილობდა გაეკეთებია თავისთვის რეკლამა, რომ იგი არის პროლეტარული ინტერესების „დამცველი". თავის პლატფორმაში იგი დემაგოგიურად სცდილობდა გამოეყენებია ის მრავალი ნაკლულოვანებანი, რომელთაც ადგილი აქვს მუშათა მასების ყოფა-ცხოვრებაში. ოპოზიცია ყოველგვარი საშუალებით სცდილობდა გამოეყენებია მუშათა ჩამორჩენილი მასების სულისკვეთება, დემაგოგიურად ამჟღავნებდა მხოლოდ ცუდ მხარეებს, მთელი ყურადღებას მიმართავდა მხოლოდ უარყოფით მომენტებზე და ამასთანავე იგი თავის პლატფორმაში სრულიად გაურბოდა ეთქვა სიმართლე მუშათა მდგომარეობის ნამდვილად გაუმჯობესებისა და იმის შესახებ, რომ პარტია სისტემატიურად და მტკიცედ მუშაობს. ამისათვის ოპოზიცია ყოველ საქმეში საწინააღმდეგო ხაზით მოქმედობდა და მოქმედობს. თავისი ბრძოლაც კი პარტიასთან და მუშური სახელმწიფოს პოლიტიკასთან მას სურს დაფაროს პროლეტარული ინტერესების „დაცვის" საფარით.

ოპოზიცია თავის ნაწერებში და გამოსვლებში პარტიას და მუშურ სახელმწიფოს განსაკუთრებით ბევრ ცილს სწამებდა იმისათვის, რომ ვითომც იგი არღვევდა ჩვენს ქვეყანაში დაწესებულ 8 საათის სამუშაო დღეს. და აი, ოპოზიცია სრულიად მოულოდნელი ფაქტის წინაშე დადგა. ცენტრალურმა კომიტეტმა ცაკის საიუბილეო სესიაზე შეიტანა მანიფესტი საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის აღსანიშნავად. ამ მანიფესტში პარტიამ პირველ პუნქტად წამოაყენა შვიდი საათის სამუშაო დღის დაწესება. სწორედ ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებამ უცებ გამოაშკარავა ოპოზიციონერთა დემაგოგია. ოპოზიციამ ცაკის ფრაქციაში, სადაც იხილავდენ მანიფესტს, ნათლად გამოაშკარავა თავისი ნამდვილი სახე, უკუაგდო ყოველგვარი ნიღაბი. ოპოზიცია აქ მანიფესტის მტერთა, შვიდი საათის სამუშაო დღის მტერთა ბანაკში მოექცა. არავის არ შეუძლია მიაფუჩეჩოს ამ ფაქტის მნიშვნელობა ყველა მუშების თვალში. მუშათა კლასის უდიდესმა ნაბიჯმა წინ უცებ გვიჩვენა, რომ ოპოზიცია უკან ეწევა და რომ ოპოზიციის სული საბჭოთა კავშირში პირდაპირ რეაქციონური არის.

შვიდი საათის სამუშაო დღე

პარტია შვიდი საათის სამუშაო დღის საკითხს მიუდგა, როგორც ამ პერიოდის სამეურნეო მშენებლობის ძირითად ამოცანას. პარტია თავის გადაწყვეტილებას ამ საკითხის შესახებ უკავშირებს მრეწველობის რაციონალიზაციის ძირითად ამოცანებს. პარტიისათვის, რომელიც მიუხედავათ ოპოზიციის სისტემატიური დემაგოგიისა რაციონალიზაციის წინააღმდეგ, მტკიცედ ატარებს ამ ამოცანას პირველსავე თვეში, მრეწველობის რაციონალიზაციის საქმე არის რაციონალისტური სამეურნეო მშენებლობის უმთავრესი ამოცანა. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი ამოცანა არის არა მხოლოდ მრეწველობის რაციონალიზაცია, არამედ სოციალისტური რაციონალიზაცია, სწორედ ამიტომ მრეწველობის რაციონალიზაცია ჩვენთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული შვიდი საათის სამუშაო დღის განხორციელებასთან.

შვიდი საათის სამუშაო დღე არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ საიუბილეო საჩუქარი. დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოსა და მუშებს შორის ჩვენში ისეთი არ არის, რომ სამეურნეო ცხოვრების ძირითადი საკითხები გადავსწყვიტოთ ისეთი თვალსაზრისით, თითქოს წარმოების მეპატრონე საჩუქარს აძლევს მუშას, მებატონე — დაქირავებულს. სრულიადაც არა. შვიდი საათის სამუშაო დღე რაციონალიზაციის ეხლანდელ პირობებში არის უდიდესი იარაღი ჩვენი მრეწველობის სოციალისტური რაციონალიზაციის განხორციელებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდი საათის სამუშაო დღის გატარება დაკავშირებულია იმასთან, რომ მთელი პარტია, ყველა სამეურნეო ორგანოები, ყველა პროფესიონალური ორგანიზაციები და მთელი მუშათა კლასი მთელ თავის ძალღონეს ანდომებენ ჩვენი მრეწველობის მუშაობის საფუძვლიანად გაუმჯობესებას და მის ნამდვილ ყოველმხრივ რაციონალიზაციას.

ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეს ჩვენ გავატარებთ ისე, რომ შევამოწმებთ ჩვენი სამეურნეო აპარატის ყოველ ნაწილს, დაუკვირდებით ყოველ სუსტ ადგილს, მოვაწესრიგებთ მთელ საწარმოო მუშაობას, გავაუმჯობესებთ შრომის დისციპლინას, გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას. შვიდი საათის სამუშაო დღე ჩვენ უნდა გავატაროთ პროლეტარული სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გავატაროთ იმგვარად, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა გახდეს მრეწველობის სოციალისტური რაციონალიზაციის და მთელი სახელმწიფოს და სამეურნეო მუშაობის ბერკეტად. გასაგებია, რომ დაბრკოლებებმა, რომელნიც გადაეღობება შვიდი საათის სამუშაო დღის განხორციელებას, აიძულა პარტია და უმაღლესი საბჭოთა ორგანოები ერთი წლით განესაზღვრა მისი ცხოვრებაში გატარება. აქ სჩანს არა მარტო სიფრთხილე, არამედ მიღებული გადაწყვეტილების სერიოზულობაც.

ზედმეტია ლაპარაკი იმ მნიშვნელობაზე, როგორიც აქვს გადასვლას შვიდი საათის სამუშაო დღეზე მუშათა მასების კულტურული დონის ამაღლებისა, მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მუშების აქტივობის გაძლიერებისა და მუშათა კლასის ცხოვრების მატერიალურ პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. პარტიის მიერ წარმოდგენილი შვიდი საათის სამუშაო დღის პროგრამის განხორციელება საუკეთესოდ გამოხატავს ჩვენს რწმენას პროლეტარიატის ძლიერებისადმი, საკ. კომ. პარ. (ბ) მტკიცე რწმენას სოციალიზმის გამარჯვებისადმი. შვიდი საათის სამუშაო დღე არის სოციალიზმის გამარჯვებისაკენ მიმავალ პროლეტარიატის დროშა.

ოპოზიცია „ფორვერტსის" გზით

რა რიგ საბრალო როლი უნდა ითამაშოს ჩვენმა ოპოზიციამ პარტიის ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების დროს. ამას განსაკუთრებით თვალსაჩინოთ მოწმობს ზინოვიევის გამოსვლა ცაკის ფრაქციაში ოქტომბრის მანიფესტის განხილვის დროს. ზინოვიევმა, პირველ ყოვლისა, განაცხადა, რომ მისთვის სრულიად მოულოდნელია წინადადება შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ და რომ ოპოზიციას არ ჰქონდა გათვალისწინებული თავის პლატფორმაში ასეთი წინადადება. (სიცილი). გამოდის, რომ ცეკა ყოფილა დამნაშავე, თუ ოპოზიციას გამოჰპარვია სამეურნეო მშენებლობის ძირითადი პრობლემა და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი საკითხი. მე საჭიროდ მიმაჩნია აქ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო ზინოვიევის სიტყვა, რომლითაც ის გამოვიდა ოქტომბრის მანიფესტის, კერძოთ შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ. ზინოვიევმა, მანიფესტის ცუდი მომზადებისათვის გალანძღა ცეკა და შემდეგნაირად შეეხო მის შინაარსს. აი რამდენიმე ადგილი მისი სიტყვიდან შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ.

„რაც შეეხება საქმის არსებით შინაარსს, მე მგონია, რომ ეს არ არის სწორი წინადადება. მე უკვე ვთქვი, რომ კომუნისტებს შორის არ შეიძლება იყოს პრინციპიალური დავა. ჩვენ პერსპექტივაში უნდა გვქონდეს სამუშაო დღის შემცირება, მაგრამ თუ ჩვენ ავიღებთ სახელმწიფოს მისი რესურსებით და მუშათა კლასის დღევანდელი მდგომარეობით, მაშინ უნდა შევეკითხოთ ჩვენს თავს: დღეს-დღეობით ყველაზე უფრო რა აწუხებს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს?"

შემდეგ ამხანაგი ზინოვიევი აცხადებს: „ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს 1927 წ. ყველაზე მეტად აწუხებდა არა საკითხი სამუშაო დღის შესახებ". ამის შემდეგ ამხ. ზინოვიევი სცდილობს დაუპირდაპიროს შვიდი საათის სამუშაო დღეს სამუშაო ხელფასის, საბინაო მშენებლობის და სხ. საკითხები. ასეთი დაპირდაპირების უვარგისობა აშკარაა, ვინაიდან პარტია სისტემატიურად მუშაობდა და მუშაობს მუშათა საბინაო მშენებლობის გაფართოებაზე, სამუშაო ხელფასის გადიდებაზე და სხ. ეს საკითხები თავის თავად ასევე მნიშვნელოვან საკითხებად დარჩება პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ამხ. ზინოვიევს არ ესმის ეს და ცეკას გადაწყვეტილებაზე შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ სხვა უკეთესი რამის თქმას ვეღარ ახერხებს, გარდა იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება დემაგოგიად მონათლოს. საბოლოოდ დაბნეული ამხ. ზინოვიევი ამბობს:

„თქვენ კარგად იცით, რომ ბევრჯერ გიცდიათ გესაყვედურნათ ჩვენთვის დემაგოგია. მე ვამტკიცებ, რომ უფრო დემაგოგიური და ავანტიურისტული წინადადება, ვიდრე წინადადება შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ, არ ახსოვს ჩვენი პარტიის ისტორიას" (დარბაზში აღშფოთება).

კარგი დემოგოგიაა—7 საათის სამუშაო დღის დაკანონება, რომელიც განსაზღვრულ დროს მტკიცედ უნდა გატარდეს ცხოვრებაში. გზააბნეული დემაგოგი ვეღარ მიხვედრილა, რომ არსებობს ძირითადი განსხვავება უპასუხისმგებლო ოპოზიციის ცარიელ დემაგოგიურ დაპირებებსა და მუშათა მთავრობის გაბედულ ნაბიჯებს შორის.

დაბოლოს ამხ. ზინოვიევი აცხადებს: „მე წინადადებას ვიძლევი, რომ საკითხი შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ, მუშებთან ასეთი დემაგოგიური და უპასუხისმგებლო თამაშის ფორმით მოიხსნას, რათა ამით ჩირქი არ მოეცხოს ჩვენს პარტიას".

ეხლა ყველა მუშები დაიხსომებენ, თუ როგორ მოეკიდა ოპოზიცია შვიდი საათის სამუშაო დღეს. ცაკის ფრაქციაზე ოპოზიციამ ხმა მისცა მანიფესტის, კერძოთ შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ოპოზიციის ყველა წევრებმა ასევე გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ ცეკას პლენუმზე. ამით ოპოზიციამ სამუდამოთ შეირცხვინა თავი. ეს ხმის მიცემა წარუხოცავ ლაქად დარჩება ოპოზიციის პოლიტიკურ სინდისზე.

რით განირჩევა ოპოზიციის ეს დამოკიდებულება 7 საათის სამუშაო დღისადმი, იმისაგან, რასაც „ფორვერტსი" სწერს მანიფესტის შესახებ? ცნობილია, რომ „ფორვერტსმა" წერილში სათაურით „მოსკოვის საიუბილეო საჩუქრები" შვიდი საათის სამუშაო დღეზე გამოსთქვა ისეთივე აზრები, როგორიც ჩვენმა ოპოზიციამ. „ფორვერტსი" 18 ოქტომბრის ნომერში სწერდა:

„დაპირება სამრეწველო მუშებისათვის 8 საათის სამუშაო დღიდან 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ მოატყუებს მხოლოდ იმათ, ვინც რუსეთის პროფკავშირების მრავალ ანგარიშებიდან არ იცის, რომ 8 საათის სამუშაო დღე საბჭოთა კავშირში არსებობს მხოლოდ ქაღალდზე და რომ მრეწველობის ყველა იმ დარგებში, რომლებიც იმყოფებიან ხელსაყრელ საკონიუნქტურო პირობებში, სახელმწიფო ამუშავებს მუშებს მრავალი ზედმეტი საათების განმავლობაში".

მაგრამ „ფორვერტსი" „ფორვერტსიც" იმიტომ არის, რომ ემსახუროს ბურჟუაზიას.

მანიფესტის წინააღმდეგ, კერძოთ 7 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ კამპანიას ეწევა მთელი საზღვარგარეთელი ბურჟუაზიული პრესა. ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები კი ცდილობენ სავსებით მიჩქმალონ ცაკის საიუბილეო სესიის მნიშვნელოვანი დადგენილება.

ამ რიგად, ოპოზიცია პროლეტარების ინტერესების დაცვის საბაბით მიმართავდა ყოველგვარ დემაგოგიას. მაგრამ რევოლიუციონურმა მანიფესტმა 7 საათის სამუშაო დღის შესახებ, სავსებით გამოაშკარავა ოპოზიციის პოლიტიკის ნამდვილი ბუნება. ეს პოლიტიკა დღეს უკვე სავსებით გამოაშკარავებულია, როგორც გამოაშკარავებულია ის პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო მუშათა ჩამორჩენილი ფენების გულის მოგება და ის პოლიტიკა, რომელიც მიზნათ ისახავდა ვიწრო — სამომხმარებლო სულისკვეთების გაღვივებას და სხვ. მაგრამ ამასთანავე ოპოზიციამ დაგვანახვა, რომ მას შეუძლია, მხოლოდ უკან გაუწიოს ჩამორჩენილი ფენების სულისკვეთებას, რომ ის ცდილობს დააბრუნოს პარტია უკან და რომ მისთვის სრულებით უცხოა პროლეტარული სახელმწიფოს ახალი ძირითადი ამოცანების გაგება. სწორედ ამიტომ გაჰკივის დღეს ოპოზიცია მანიფესტის მოულოდნელობაზე, მის მოუმზადებლობაზე და სხვ. ეს-კი იმის მაჩვენებელია, რომ ოპოზიცია აქაც, როგორც საკითხში სოფლის შესახებ, აშკარათ ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ამოცანების ზრდას და იმ ახალ პრობლემებს, რომელსაც სწყვეტს ამჟამად საბჭოთა სახელმწიფო.

„თერმიდორიანული პოლიტიკა" და ჩვენი სინამდვილე

პროლეტარული სახელმწიფო მიდის წინ თავისი გზით ახალ მიღწევებისაკენ, და ეს უფრო აძლიერებს რწმენას სოციალიზმის და მუშათა კლასის გამარჯვებისადმი. სხვათა შორის, მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ განწყობილებამ შვა განსახიერება მუშათა ახალგაზრდობის ინიციატივაში, რომლის თანახმად ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად ეწყობა საკავშირო შაბათობა. ასე პოულობს თავის გამოხატულებას სხვადასხვა ფორმებში სოციალისტური მშენებლობის ზრდა და მუშაობის რწმენა თავის გამარჯვებისადმი. როგორ დაშორებულია ყველაფერი ეს ჩვენი ოპოზიციის პესიმისტურ განწყობილებიდან, იმ ოპოზიციის, რომელიც დაუსრულებლივ გაჰკივის, რომ მუშათა კლასში იზრდება „რეაქციონური", „ცენტრისტული" და სხვაგვარი განწყობილება.

ოპოზიცია მაინც კვლავ უყენებს პარტიას ცილისწამებით ალსავსე ბრალდებას თერმიდორიანული პოლიტიკის შესახებ. ტროცკი, ზინოვიევი და სხვ. ცეკას პლენუმზე ხმას აძლევდენ მანიფესტის წინააღმდეგ, კერძოთ 7 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ და ამავე დროს ამავე პლენუმზე ბრალს სდებდენ პარტიას თერმიდორიანობაში. ამ ცილისწამების აზრი დღეს უკვე ნათელია და ის არ თხოულობს განმარტებას. საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ ის, რასაც ამას წინად ამბობდა თვითონ ტროცკი ასეთივე ბრალდებების შესახებ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ და რაც აღნიშნული იქნა პლენუმზე ამხ. სტალინის მიერ. აი რას სწერდა ამხ. ტროცკი, თავის „ახალ კურს"-ში (1924 წელს) საფრანგეთში ტერმიდორიანული გადატრიალებისა (ე. ი. იაკობინელების დამხობის) და ჩვენი რევოლიუციის ანალოგიის შესახებ:

„ისტორიული ანალოგია საფრანგეთის დიდ რევოლიუციასთან (იაკობინელების დამარცხება), რომლითაც იკვებება და ინუგეშებს თავს ლიბერალიზმი და მენშევიზმი, ზერელე და უსუსურია.

დღეს კი ტროცკის მომხრეები და თვით ტროცკიც „იკვებება და ინუგეშებს თავს" სწორედ იმით, რითაც „იკვებებოდა და ნუგეშობდა" „ლიბერალიზმი და მენშევიზმი". მგონია, ამის შემდეგ ძნელი არ არის ოპოზიციის დღევანდელი ბრალდებების სწორი შეფასება, იმ ბრალდებების, რომელიც პარტიას ტერმიდორიანობას სწამებს. ამხ. ტროცკი თვითონ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეს ბრალდებები ოპოზიციამ ისესხა ლიბერალებისა და მენშევიკებისაგან. მაგრამ განა საჭიროა დიდხანს შევჩერდეთ ამ ლიბერალურ - მენშევიკურ ლაყბობაზე პარტიის ტერმიდორიანობის შესახებ, იმ პარტიის, რომელიც ცხოვრებაში ატარებს 7 საათის სამუშაო დღეს, მიუხედავათ მისი მოწინააღმდეგების [illegible].

ოპოზიცია მე-15 პარტყრილობის წინ

დისკუსიის ხასიათი და მნიშვნელობა

გადავსდგეთ ახლა დისკუსიაზე, რომელიც გაიმართება ყრილობის წინ. მთელი პარტია ამ პერიოდში ჯამს გაუკეთებს ოპოზიციასთან იდეურ ბრძოლის იმ შედეგებს, რომლებიც მიღებული იქნება მე-15 ყრილობისათვის. ოპოზიციამ ბევრჯერ მოინდომა თავზე მოეხვია პარტიისათვის დისკუსია. რაც დრო გადის მით უფრო და უფრო კარგავს ის იმედს ამ მხრივ მიაღწიოს მიზანს. ახლა, ყრილობის წინა პერიოდში, ოპოზიციას სრული საშუალება ეძლევა გააკრიტიკოს ცენტრალური კომიტეტის მთელი მუშაობა და გამოსთქვას თავისი აზრი ყრილობის ყველა საკითხების შესახებ. ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის პლენუმმა გამოიჩინა გარკვეული დადგენილება დისკუსიის წარმოების პირობების შესახებ. ამ დადგენილებით ოპოზიციას უფლება ეძლევა წამოაყენოს კონტრ - თეზისები ყრილობის დღის წესრიგის სათანადო მუხლების შესახებ და მიიღოს ფართე მონაწილეობა პარტიის პოლიტიკის ყველა საკითხების განხილვაში პარტიულ კრებებზე და პრესაში. ოპოზიციას შეუძლია აწარმოოს ფართე დისკუსია პარტიის პოლიტიკის შესახებ, გააკრიტიკოს ის, დაიცვას მთელი პარტიის წინაშე თავისი ხაზი. პლენუმმა მიიღო სათანადო ზომები იმისათვის, რომ შექმნილიყო დისკუსიის საწარმოებლათ უაღრესად საღი, მაქსიმალურად ობიექტიური პირობები. და ამასთანავე ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ და სრულებით დამშვიდებული ეშვება დისკუსიაში. ცეკას ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ პარტიის და მისი ცეკას პოლიტიკას სავსებით მოიწონებს დიდი უმრავლესობა. (მხურვალე ტაში).

მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა უარჰყო ოპოზიციის წინადადება, ოპოზიციის პლატფორმის გამოქვეყნების შესახებ. თავის პლატფორმაში ოპოზიცია პარტიის ხაზს ყველა საკითხებში უპირდაპირებს თავის საკუთარ ხაზს. ცეკა ფიქრობს, რომ სწორი არ არის ასეთი პრეტენზია პლატფორმის გამოქვეყნების შესახებ, ვისაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის.

ცნობილია, რომ ლენინმა მე-10 ყრილობაზე აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ პირობებში დასაშვებია პლატფორმის გამოქვეყნება მხოლოდ ერთ საკითხზე და რეზოლიუციაში „პარტიის მთლიანობის" შესახებ, რომელიც ლენინის წინადადებით მიიღო მე-10 ყრილობამ და რომელიც დაწერილია თვით ლენინის მიერ, გადაჭრით აკრძალულია ყოველგვარი ფრაქციულობა, რომელიც შენდება რომელიმე პლატფორმაზე.

ლენინის რეზოლიუცია მე-10 პარტყრილობაზე პარტიის მთლიანობის შესახებ იყო და კვლავ დარჩება ლენინის ერთ-ერთ უმთავრეს ანდერძად, რომლის დარღვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნას დაშვებული. ოპოზიციონური პლატფორმა, რომელშიაც საკუთარი თვალსაზრისია გატარებული პარტიის პოლიტიკის ყველა საკითხებში, წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების ყოვლად დაუშვებელ დარღვევას, და ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა უარჰყო ოპოზიციის ცდა მოეხდინა ამ პლატფორმის ლეგალიზაცია. ოპოზიციას შეუძლია გამოაქვეყნოს თავისი კონტრ - თეზისები ცეკას თეზისების წინააღმდეგ. ოპოზიციას აქვს საშუალება გამოვიდეს პარტკრებებზე და პრესაში ცეკას მოქმედების კრიტიკით, ცეკას ყოველი გადაწყვეტილების კრიტიკით, მაგრამ ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო და არ შეუძლია დაუშვას პარტიის დაშლა და განხეთქილება; ოპოზიცია კი სწორედ ამ გზას დაადგა და სცდილობს გამთიშავი პლატფორმის ლეგალიზაციას.

დისკუსია ყრილობის წინ ოპოზიციას აძლევს საშუალებას მაქსიმალურად ფართოდ გამოიყენოს ეს პერიოდი ცეკას ხაზის კრიტიკისათვის, მაგრამ ცეკა თავის მხრივ ეცდება მიაღწიოს, გამოაშკარავოს ლენინიზმის იდეური ღალატი ოპოზიციის მხრივ. დისკუსიამ ამ მხრივ დახმარება უნდა გაუწიოს ჩამორჩენილ ამხანაგებსაც.

სმირნოვ-საპრონოვის ჯგუფი

ოპოზიციის შეხედულებანი არ წარმოადგენს საიდუმლოებას პარტიისათვის. საკმაოა მოვიგონოთ წარსული ყრილობის და კონფერენციების ოქმებისა და აგრეთვე ცეკას ვრცელი სტენოგრამების მნიშვნელობა. ეს შეხედულებანი დისკუსიამდეც არა ერთხელ იქნა განხილული ყოველი უჯრედის მიერ. ყრილობის წინაშე მხოლოდ უფრო ნათელი გახდება ის, რომ ოპოზიცია ჩამოშორდა ლენინიზმს და მან სავსებით გასწყვიტა იდეური კავშირი პარტიასთან.

ამ მხრივ უფრო ღირსაცნობია ოპოზიციის „მემარცხენე" ფრთის ევოლიუცია ვ. სმირნოვისა და საპრონოვის ჯგუფის სახით. მე იძულებული ვარ მოვიყვანო რამდენიმე ამონაწერი ამ ჯგუფის უკანასკნელი განცხადებიდან, მიუხედავად იმისა, რომ საზიზღარია მისი შინაარსი და ტონი. ცეკას პლენუმმა მიიღო განცხადება 12-ის ხელის მოწერით (წინედ განცხადებას ხელს აწერდა 15 კაცი). ამ განცხადებაში ვ. სმირნოვმა და სხვებმა შემდგომი ნაბიჯი გადასდგეს პარტიიდან ჩამოშორების მიმართულებით. 12 „ყველაზე უფრო მემარცხენე" ოპოზიციონერი ამ განცხადებაში პირდაპირ ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა ენით ლაპარაკობს. აი, რაში მდგომარეობს ძირითადი აზრი:

„რეპრესიები ოპოზიციის წინააღმდეგ ყრილობის წინ ნიშნავს იმას, რომ პარტიის ყოველ წევრს, რომელიც ყრილობის მოსამზადებელი კამპანიის დროს გაბედავს ცეკას ოპორტუნისტული ხაზის გაკრიტიკებას, ელის პარტიიდან გამორიცხვა, გაჩრეკა და დაპატიმრება. ცეკა, რომელმაც ყრილობაზე პარტიას უნდა ჩააბაროს ანგარიში თავისი ხაზის შესახებ, ყრილობის წინ მთელ პარტიას აყენებს ცენტრ. საკონ. კომისიის და სახელმწ. პოლიტსამმართველოს აშკარა თუ საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ. პარტიისა და მისი უმაღლესი ორგანოს — ყრილობის მიმართ ეს გაუგონარი დაცინვა მშვენივრად ამტკიცებს იმას, რომ სახელმწიფო გადატრიალების გზა, რომელზედაც შესდგა ცეკა, არის ამავე დროს პარტიის ლიკვიდაციის გზა". (დამსწრეთა შორის ისმის აღშფოთების ხმები).

შემდეგ, „12"-ის ჯგუფი მიმართავს რა ცეკას პლენუმს, აცხადებს:

„დეე მან (ცეკას პლენუმმა) მისცეს ანგარიში თავის თავს იმაში, რომ დაწყებული სახელმწიფო გადატრიალება არის გზა კონტრ - რევოლიუციისაკენ".

სურათის სისრულისათვის ჩვენ გვრჩება ვსთქვათ, რომ „12"-ის ეს განცხადება პარტიის ცეკას და საბჭოების ცაკის გადაწყვეტილებას შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ, უწოდებს „ტაქტიკურ მანევრს", „ცარიელ დაპირებას", და დაბოლოს პირდაპირ ამბობს: „ამ ცარიელი დაპირებით ცეკას სურს იყიდოს მუშათა კლასის გაჩუმება მაშინ, როცა ცეკა გაუსწორდება იმათ, ვინც იცავს პარტიის პროლეტარულ ხაზს და მუშათა ინტერესებს".

საჭირო არ არის ცალკე გავარჩიოთ ვ. სმირნოვის და კამპ. ეს სისაძაგლე (ხმები: „ზინოვიევი იმიჯნება ამ პლატფორმიდან?") არა არც ერთ ოპოზიციონერს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს „12"-ის ამ განცხადების წინააღმდეგ,— ცხადია, რომ ისინი ეთანხმებიან ამ განცხადების ავტორებს. მაგრამ ჩვენთვის ყველასათვის სავსებით აშკარაა, რომ დაუშვებელია ასეთი შეხედულებების მქონე პირთა ყოფნა ჩვენს პარტიაში (ხმები: „მართალია!" ხანგრძლივი ტაში).

მე-10 პარტყრილობაზე ლენინმა განსაკუთრებული რეზოლიუცია შეიტანა „მუშათა ოპოზიციის" შეხედულებათა შესახებ. ამ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ „მუშათა ოპოზიციის" იდეების ქადაგება ყრილობის შემდეგ შეუთავსებელია საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან. არავითარი ეჭვი არ შეიძლება იქნას შეტანილი იმაში, რომ ყველა პარტიული ორგანიზაციები ყრილობის წინ და დაბოლოს თვით მე-15 ყრილობა ერთსულოვნად იტყვის, რომ სმირნოვებისა და საპრონოვების ეხლანდელი იდეების პროპაგანდა სავსებით შეუთავსებელია ბოლშევიკური პარტიის წევრობასთან (ტაში).

„12"-ის განცხადება გვიჩვენებს აგრეთვე, თუ რამდენად უბადრუკია იმ პირთა როლი, რომელნიც ეხლა გაჰკივიან კონტრ - რევოლიუციონური გადატრიალებისა და პარტიის ლიკვიდაციის შესახებ. ისინი თავისი ლაყბობით ამტკიცებენ მხოლოდ თავის იდეურ უსუსურობას, თავის იდეურ სიკოტრეს. „12"-ის დოკუმენტი მოწმობს ამ ჯგუფის სულიერ სიღატაკეს და იმას, რომ იგი სავსებით მოსწყდება მუშათა კლასს, მან სრულიად დაჰკარგა ყოველგვარი კომუნისტური სახე. ეს დოკუმენტი ამტკიცებს, რომ მისი ავტორების თავში მოხდა „გადატრიალება", რის გამოც ისინი გახდენ ბოლშევიკური პარტიის მტრები.

ზოგი ამხანაგი გვეკითხება: ცენტრალურმა კომიტეტმა რატომ დღემდე არ გამორიცხა პარტიიდან ვ. სმირნოვის მთელი ჯგუფი? რატომ ამდენი მოუთმინა ამ ჯგუფს, მიუხედავათ იმისა, რომ მისი პირველივე განცხადება („15-ის განცხადება") აძლევდა საფუძველს დაუყოვნებლივ გამორიცხვა იგი პარტიიდან. მე ამ საკითხის დასმას სავსებით კანონიერად ვსთვლი. მაგრამ ამ საკითხზე სწორი პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ნათლად გავითვალისწინებთ იმ უმთავრესი საფრთხის მნიშვნელობას, რომელიც ამჟამად გველის ოპოზიციის მხრივ. უეჭველია, რომ სმირნოვ - საპრონოვის ჯგუფი არის ძირითადი ოპოზიციონური ჯგუფის მხოლოდ ერთ-ერთი ფრთა, რომ იგი არის მისი „დამატება", ამიტომ ტროცკისტული ოპოზიციის სწორედ ეს „ძირითადი" ჯგუფი წარმოადგენს ამჟამად უმთავრეს საფრთხეს პარტიისათვის. სწორედ ტროცკისტული ოპოზიცია არის პარტიის წინააღმდეგ გამთიშავი ბრძოლის ცენტრი და შესაკრები პუნქტი ყველა მათი მომხრეებისათვის (მათ შორის „სმირნოვის მომხრეთათვის"). გასაგებია, რომ პარტიამ და მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი ბრძოლა მიმართა ამ ძირითადი ანტილენინური ოპოზიციონური ჯგუფის— ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ. ამიტომ, მხოლოდ ამიტომ, საკითხი ვ. სმირნოვის ანტილენინური ჯგუფის შესახებ მეორე რიგში დადგა. უმთავრესი საკითხი პარტიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის არის და იყო საკითხი ტროცკისტული ოპოზიციის ძლევის შესახებ. ყრილობის მოსამზადებელ პერიოდში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საკითხს ტროცკიზმის ძლევისა და პარტიის მთლიანობის შენარჩუნების შესახებ. ყრილობა იტყვის თავის საბოლოო სიტყვას მთელი ოპოზიციისა და ყველა ოპოზიციონური ჯგუფების შესახებ, და მათ შორის სმირნოვ - საპრონოვის ანტიპარტიული, დახავსებული, თავიდან ბოლომდე გახრწნილი, ჯგუფის შესახებ.

ოპოზიცია ახალ პარტიის შექმნის გზაზე

შინაპარტიული მდგომარეობა მე-15 ყრილობის დროისათვის მნიშვნელოვნად შეიცვალა მე-14 ყრილობის პერიოდთან შედარებით. მოკლედ რომ ვსთქვათ, ახალი რამ შინაპარტიულ მდგომარეობაში არის ის, რომ ოპოზიცია აშკარად დაადგა ახალი პარტიის შექმნის გზას. ოპოზიციონური პლატფორმის შექმნა, რომელიც ოპოზიციის შეხედულებებს უპირდაპირებს პარტიის შეხედულებებს ყველა საკითხებში, წარმოადგენს ახალი პარტიის პროგრამის გამოცხადებას. ტროცკისტულ ოპოზიციამ, გამოვიდა რა ის თავისი პლატფორმით, რომლითაც თავისი ხაზი დაუპირდაპირა პარტიის ხაზს ყველა საკითხებში, პირდაპირი ნაბიჯი გადადგა თავისი ტროცკისტული პარტიის შექმნისაკენ. სხვაგვარი აზრი არ შეიძლება ექნეს ასეთი პლატფორმის შედგენას, არც ერთ ოპოზიციონერს არ შეუძლია, რომ თავისი პლატფორმის გამართლებისათვის დაეყრდნოს რომელიმე პრეცედენტს ჩვენი პარტიის ისტორიაში. პარტიაში შესაძლოა და სავსებით შესაძლოა მომავალშიც უთანხმოებანი ცალკე საკითხებში, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ისეთი მდგომარეობა, რომ ესა თუ ის ჯგუფი პარტიის წინააღმდეგ გამოვიდეს განსაკუთრებული პლატფორმით პარტიული პოლიტიკის ყველა საკითხებში. ამიტომ ოპოზიციონური პლატფორმის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ნიშნავს ანტილენინური პარტიის, ტროცკიზმის პარტიის შექმნას. ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიას სწორედ ასე უნდა შეეფასებია ტროცკისტული პლატფორმის შედგენა, და ამიტომ პლენუმს არ შეეძლო მიეღო ოპოზიციის წინადადება ამ პლატფორმის ლეგალიზაციის შესახებ. პლატფორმა აშკარად არის მიმართული პარტიის წინააღმდეგ. პლატფორმა არის პარტიის პირდაპირი გათიშვის იარაღი. პლატფორმა არის საფუძველი ახალი პარტიისათვის, რომელიც ეწინააღმდეგება ბოლშევიზმს. ჩვენი პასუხი ასეთი პლატფორმის შედგენაზე მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: გამოაშკარავება იმისა, რომ იგი იდეურად ეწინააღმდეგება ლენინიზმს და გადამჭრელი ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც სცდილობს პლატფორმის ნიადაგზე შექმნას თავისი ანტიპროლეტარული პარტია.

ჩვენს წინაშე არის ოპოზიციის არა მარტო განსაკუთრებული პლატფორმა, რომელსაც არალეგალურად ავრცელებენ პარტიაში და უპარტიოებს შორის. ამ პლატფორმასთან დაკავშირებულია ტროცკისტების ბევრი სხვა ანტიპარტიული მოქმედება. ყველა იცნობს განსაკუთრებული ტროცკისტული ცენტრების მრავალრიცხოვან ფაქტებს და სხვ. ოპოზიცია უკანასკნელ ხანებში შეუდგა განსაკუთრებული არალეგალური სტამბების მოწყობას. ყველასათვის ცნობილი გახდა სტამბის მოწყობა მრაჩკოვსკის მეთაურობით, პრეობრაჟენსკის, სერებრიაკოვისა და შაროვის ხელმძღვანელობით. მეორე მაგალითი არის საბჭოთა სტამბის არალეგალური გზით გამოყენება გუშინდელი მენშევიკის ფომილევის ხელმძღვანელობით. ოპოზიციამ გადალახა პარტიული კანონიერების ყველა ფარგლები. ოპოზიცია არალეგალობის გზაზე იმდენად დაქანდა, რომ მან კავშირი დაიჭირა ბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან და უპარტიოები გამოიყენა მოკავშირეებად პარტიასთან ბრძოლაში.

ოპოზიცია კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს უკავშირდება

საქმე იქამდე მივიდა, რომ სახელმწიფო გაერთიანებული პოლიტსამმართველო, ერთ სამხედრო შეთქმულების გამოძიების დროს, წააწყდა მრაჩკოვსკის სტამბას, რადგან ოპოზიციონურ არალეგალურ მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ ზოგიერთი ისეთი ბურჟუაზიული ინტელიგენტები, რომლებსაც თავის მხრივ კავშირი ჰქონდათ გაბმული აშკარა თეთრგვარდიელ ელემენტებთან. ანტიპარტიული არალეგალური მუშაობის ლოღიკა ოპოზიციას აქანებს მოღალატეობის გზით. პრეობრაჟენსკი, სერებრიაკოვი და შაროვი, რომლებიც იცავდენ არალეგალური სტამბის ხელმძღვანელ თავის ოპოზიციონურ მეგობრებს, მოითხოვდენ არალეგალურ სტამბის მონაწილეთა—ბურჟუაზიულ ინტელიგენტების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ისინი უფრო მეტად ენდობიან ბურჟუაზიის პირმშო შვილებს, ვიდრე სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს, რომელიც პროლეტარულ დიქტატურას იცავს თეთრგვარდიელებისაკენ. აი ასე გათახსირდა ტროცკისტული ოპოზიცია. ფაქტები, რომლებიც სახელმწიფო გაერთიანებულმა პოლიტსამმართველომ წარუდგინა ცეკას პლენუმს, მთლიანად მოწმობენ, რომ სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს პირვანდელი ცნობები თეთრგვარდიელთა ზრახვების შესახებ, იმის შესახებ, რომ კონტრ-რევოლიუციონერების ჯგუფი აწყობდა სამხედრო შეთქმულებას, რომ თეთრგვარდიელები პარტიის ზოგიერთ მოღალატეებთან ერთად სცდილობდენ ომის შემთხვევაში შესაძლებელ სიძნელეების გამოყენებას—ყველა ეს ცნობები სავსებით მართალი აღმოჩნდა. მაგრამ ამ ფაქტებმა, რომლებმაც თავი მოიყარეს გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე ჩვენ პირველად ვფიქრობდით, ოპოზიციის, სამწუხაროდ დაამტკიცეს, რომ ოპოზიციონურმა არალეგალურმა ჯგუფმა არა მარტო გადალახა ყოველგვარი საზღვარი, არამედ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენლების საშუალებით დაუკავშირდა რევოლიუციის პირდაპირ მტრებს. მართლდება ის, რასაც ლენინი ამბობდა მე-10 ყრილობაზე.

„მესამე ძალა" სარგებლობს იმ შესაძლებლობებით, რომლებსაც აძლევს მას ოპოზიციის არალეგალური მუშაობა ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ ფაქტებს კიდევ ერთი უნდა დაემატოს. საიდუმლო სტამბის აღმოჩენა და მთელ რიგ იმ თეთრგვარდ. დაპატიმრების შემდეგ, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ოპოზიციონურ სტამბაში მომუშავე უპარტიოებთან, ოპოზიციის ლიდერებმა ორი სიტყვაც კი ვერ იპოვეს, რომ გამოეთქვათ თავისი აღშფოთება სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს მოქმედებით, და თავისი დანაშაულებრივი მუშაობის აღიარების მაგიერ, დაიწყეს ცეკას ლანძღვა. ამავე დროს ოპოზიციონური ლიდერები ყველა საშუალებას ხმარობდენ, რათა გაეცნობოდენ სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს მასალებს ამ საქმეზე. მათ ერთ დროს მიეცათ ეს საშუალება. ამის შედეგად მათ მასლოვის რენეგატულ ორგანოში გერმანიაში მოათავსეს დაწვრილებითი ცნობები სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს იმ მასალების შესახებ, რომელიც შეგროვილია სამხედრო შეთქმულების გარშემო. ამნაირად სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს საიდუმლო მუშაობა, მიმართული თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, ოპოზიციამ მუშათა კლასის მტრების გასახარებლად გამოააშკარავა მასლოვის კონტრ-რევოლიუციონურ ორგანოში. თეთრგვარდიელები პირდაპირ დახმარებას იღებენ მასლოვის ორგანოდან. მასლოვი არა მარტო ოპოზიციის მეგობარია, არამედ რუს თეთრგვარდიელების დამხმარეც. ამ მხრივ მასლოვი ეხმარება ოპოზიციას. აი რა გათახსირებამდი მივიდა ტროცკისტული ოპოზიცია.

ჩვენი ოპოზიციის გამთიშავი მუშაობა არ განისაზღვრება მარტო საკ. კომ. პარ. (ბ) ფარგლებით. ეხლა უკვე აშკარაა, რომ ოპოზიცია მთელ თავის მუშაობას მიმართავს არა მარტო საკავშირო კომპარტიის (ბ), არამედ კომინტერნის დაშლისაკენ.

კომუნიზმის რენეგატების შესახებ

კომინტერნის დაშლის „მოწინავე" პოსტზე დგას მასლოვის ორგანო. კომუნიზმის რენეგატებს—მასლოვს, რუტ ფიშერს, ურბანსს და კომპანიას გერმანიაში აქვთ თავისი საკუთარი ორგანო გერმანიის კომპარტიის, საკ. კომ. პარ. (ბ) და მთელი კომინტერნის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს ორგანო, რომელსაც მხარს უჭერს ჩვენი ოპოზიცია,—არის ახალი ინტერნაციონალის კომუნიზმის რენეგატთა ინტერნაციონალის ორგანო.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ამხ. ტროცკი, ზინოვიევი და სხ. ყოველნაირად სცდილობდენ მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფის გათეთრებას. ისინი საქმეს ისე სახავდნენ, რომ თითქოს ეს „ჭეშმარიტი" კომუნისტები თავგამოდებით იცავდენ თავის „რევოლიუციონურ სამოსის სიწმინდეს.

ამის მტკიცების დროს ამხ. ტროცკი და ზინოვიევი განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ, რომ მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფს არაფერი საერთო აქვს რა კორშთან, კაცთან და კომპანიასთან. ეს უკანასკნელნი—კორში და კაცი ჩვენმა ოპოზიციონერებმა (ტროცკიმ და ზინოვიევმა) აშკარა კონტრ-რევოლიუციონერებათ, თეთრგვარდიელებათ და რენეგატებათ გამოაცხადეს, ხოლო მასლოვს, ურბანს და ფიშერს სახავდენ, როგორც ნამდვილ რევოლიუციონერებს. ჩვენი პარტიის ცეკამ მიუთითა ოპოზიციას მთელ რიგ ფაქტებზე, რომლებიც გადაჭრით უარყოფენ, რომ მასლოვი და რუტ ფიშერი წარმოადგენენ განცალკევებულ პრინციპიალურ ჯგუფს, რომელსაც არავითარი პოლიტიკური კავშირი არა აქვს არც კორშთან და არც კაცთან. გერმანიის რეიხსტაგში ყველა ამ რენეგატების მთლიანი ფრაქციის არსებობის ფაქტი სავსებით უარჰყოფს ცდას მათი დაყოფისა „კარგ" და „ცუდ" რენეგატებად.

ეხლა საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას აქვს ცნობები, რომლებიც მთლიანად ადასტურებენ იმ შეფასებას, რომელსაც აძლევდა ჩვენი ოპოზიცია ამ რენეგატულ ჯგუფებს. სულ უკანასკნელ დროს საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ მიიღო კომინტერნის აღმასკომის ორი წევრის—ერკოლის და ემბერდროს განცხადება, სადაც ისინი, ემყარებიან რა უდავო ფაქტებს გვაუწყებენ შემდეგს: „მიუხედავათ საკ. კომ. პარ. (ბ) პოლიტბიუროსათვის ტროცკისა და ზინოვიევის მიერ მიცემული განცხადებისა, რომლებშიაც ისინი უარს ამბობენ სოლიდარობაზე კორშის პოლიტიკურ ხაზსთან და აცხადებენ, რომ ოპოზიციასა და კორშის აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფს შორის არავითარი კავშირი არ არის რა, ჩვენ მაინც გვაქვს საბუთები, რომლებიც მოწმობენ, რომ რუსულ ოპოზიციას და მის რწმუნებულთ საფრანგეთსა და იტალიაში კავშირი აქვთ გაბმული კორშის ემისარებთან და შეადგენენ მათთან ერთიან ფრონტს".

მოდი ეხლა და გამოარკვიე პატიოსნად როგორ ამართლებს ოპოზიცია თავის მტკიცებას: როდესაც კორშსა და კაცს ის კონტრ-რევოლიუციონერებს უწოდებს, თუ მაშინ, როდესაც ის შეთანხმებას სდებს მათთან?

შეტევაზე გადასვლა

ოპოზიციის ლიდერების საქციელი უკანასკნელ ხანებში მოწმობს, რომ ტროცკისტელები ამასხარავებენ ბოლშევიკურ პარტიას. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ამხ. ტროცკის ევოლიუცია. ჯერ კიდევ მე-13 ყრილობაზე, როდესაც პარტიამ ტროცკიზმი აღიარა წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრად, ტროცკი გამოვიდა ყრილობის ტრიბუნაზე და განაცხადა: „ქედს ვიხრი პარტიის წინაშე". ეხლა კი ამხ. ტროცკი სულ სხვანაირად იქცევა, ის გამხნევებულია კავშირით ზინოვიევთან და კამენევთან. ამხ. ტროცკი გააფთრებულ იერიშზე გადავიდა პარტიის წინააღმდეგ. ეხლა ის აღარც ფიქრობს უსიტყვოდ დაემორჩილოს პარტიას და ქედი მოიხაროს მის წინაშე. ოპოზიციის ლიდერებისათვის არ არსებობს პარტიის კანონები. ოპოზიცია ფეხქვეშ თელავს მათ. ამიტომაც ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვა ცეკას შემადგენლობიდან ამჟამად წარმოადგენს მინიმუმს იმისას, რის გაკეთებაც შეეძლო ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. (ხმები: „სწორეა". ტაში).

თავდასხმა პარტიის ხელმძღვანელებზე

საჭიროდ ვთვლი შევჩერდე კიდევ ერთ მომენტზე. თავის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ ოპოზიციას ეხლა განსაკუთრებული იერიში მიაქვს ცალკე ხელმძღვანელების—ამხ. სტალინის, ბუხარინის, რიკოვის და სხ. წინააღმდეგ. განსაკუთრებით ძლიერია ეს იერიშები ამხ. სტალინის წინააღმდეგ. ამ თავდასხმამ ეხლა იმდენად მახინჯი სახე, იმდენად აღმაშფოთებელი ანტიპარტიული ხასიათი მიიღო, რომ პარტიული ორგანიზაციები გულგრილად ვეღარ უყურებენ ამას და ამიტომ საჭიროა ბოლო მოეღოს მას. (ხმები: „სწორეა". ტაში).

თუ რა აზრი აქვს თავდასხმას ცალკე ამხანაგებზე, განსაკუთრებით ამხ. სტალინზე—გასაგებია. დამახასიათებელია ის, რომ ოპოზიცია, ემყარება რა ლენინის კრიტიკულ შენიშვნებს ამხ. სტალინის ხასიათის შესახებ, ნამდვილად ილაშქრებს არა ამხ. სტალინის ხასიათის წინააღმდეგ, არამედ იმ პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ, რომელიც მიღებულია პარტიისა და მისი უპირველესი წარმომადგენლის—ამხ. სტალინის მიერ. ამხ. სტალინის წინააღმდეგ გალაშქრებით ოპოზიცია სცდილობს დაფაროს გალაშქრება ცეკასა და პარტიის წინააღმდეგ. ოპოზიცია ყოველთვის სცდილობს საქმე ისე შეატრიალოს, რომ თითქოს ჩვენში სრულიადაც არ არსებობს პარტია, რომ ჩვენში არიან მხოლოდ ესა თუ ის ჯგუფები ანდა ჯგუფები ამა თუ იმ ამხანაგებით—სათავეში. ასეთი მეთოდით ოპოზიციას გახრწნა შემოაქვს პარტიაში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ის გავლენით სარგებლობს პარტიის მეტად უმნიშვნელო ნაწილზე. რასაკვირველია, ასეთ მეთოდს არაფერი საერთო არა აქვს რა პოლიტიკური ბრძოლის ლენინის მეთოდებთან. ასეთი მეთოდი მხოლოდ გამოხატავს ოპოზიციონერების პოლიტიკურ ლაჩრობას და უპრინციპობას. ასეთი მეთოდი დამახასიათებელია არა ბოლშევიზმის, არამედ ბოლშევიკური პარტიის მტრებისათვის. მხოლოდ მათ, ვისთვისაც არაა ძვირფასი ბოლშევიკური პარტიის წევრობა, თავისი ოპოზიციონური დაბრმავებით შეუძლიათ საქმე ისე დასახონ, რომ თითქოს ჩვენი პარტია შესდგება ურთიერთშორის მებრძოლ ჯგუფებისა და ლიდერებისაგან. ამაში მოსჩანს ობივატელური, მეშჩანური წარმოდგენა ჩვენი პარტიის შესახებ.



ამხ. მოლოტოვი

მაგრამ დღევანდელ პირობებში, როდესაც ოპოზიციის წრეში იმყოფებიან ისეთები, რომლებისთვისაც არაა ძვირფასი პარტიის წევრობა და რომლებიც უკიდურესად გაბრაზებული არიან პარტიის წინააღმდეგ, ფრაქციული ბრძოლის გამწვავება პარტიის ცალკე ხელმძღვანელებისა, კერძოთ ამხ. სტალინის წინააღმდეგ იღებს აშკარა დანაშაულობრივ ხასიათს. ოპოზიცია თავის წრეში ზრდის ზოგიერთ ისეთ ელემენტებს, რომლებიც მზად არიან მიმართონ ყოველგვარ საშუალებას პარტიის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ამიტომ ბრძოლის გამწვავება ცალკე პირთა წინააღმდეგ აღვივებს ტერორისტულ განწყობილებას პარტიის ლიდერების წინააღმდეგ. (ხმები: „მართალია").

ოპოზიციაში არიან ადამიანები, რომელთაც სრულიად დაჰკარგვიათ თავი, დაბრმავებულან ფრაქციულობით და გააფთრებული არიან სრული დამარცხებით. ბრძოლის გამწვავება პარტიის ცალკე გამოჩენილ ხელმძღვანელების წინააღმდეგ პირდაპირ ბოროტმოქმედურ განწყობილებას აღვივებს ამ ჯგუფებში. უნდა ითქვას, რომ ასეთი განწყობილება უკვე სუფევს ზოგიერთ ადგილას. ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ პარტია იმ უდიდესი პასუხისმგებლობისაგან, რომელსაც კისრულობენ თავის თავზე ოპოზიციის ლიდერები, როდესაც ეს უკანასკნელნი პარტიის საწინააღმდეგო ბრძოლაში მიმართავენ გალაშქრებას ცალკე პირების წინააღმდეგ. პარტიამ მტკიცედ და გადაჭრით უნდა განუცხადოს ოპოზიციის ლიდერებს, რომ ასეთი მოქმედება ყოვლად დაუშვებელია.

ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას ბოლო მოეღება

პარტია გაიზარდა

მიუხედავათ ოპოზიციის თავდასხმებისა, პარტია მაინც შემჭიდროებული ბოლშევიკური რიგებით მიდის მე-15 ყრილობისაკენ. პარტიამ, რომელსაც უკვე აქვს პროლეტარული რევოლიუციის ათი წლის გამოცდილება, ეხლა უფრო, ვიდრე ოდესმე, იცის, რომ ლენინიზმი არის მისი სახელოვანი, ერთგული დროშა. მხოლოდ პარტიისაგან, მუშათა კლასისაგან მოწყვეტილ ოპოზიციონერებს შეუძლიათ დაუსრულებლად ივარჯიშონ ცილისწამებითი ბრალდებებით ის პარტიის მიმართ, რომელიც „დაჩრჩობილია" (ტროცკის სიტყვები), რომელსაც „წართმეული" აქვს უფლებები (ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ყველა ოპოზიციონერ წევრების განცხადება) და რომელიც დგა „ლიკვიდაციის გზაზე" (სმირნოვ-საპრონოვის ჯგუფის განცხადებიდან). ეს უნიადაგო გამოსვლები პარტიის წინააღმდეგ პირდაპირ შეურაცხმყოფელია და უღირსი ბოლშევიკებისათვის. ხოლო ოქტომბრის მეათე წლის თავზე ისინი იმდენად ეხამუშებიან ყურს, რომ მათ მუშები შეაფასებენ მხოლოდ როგორც უცხო კლასების ფესის ხმაზე აყოლას.

ოპოზიციონერებს უყვართ პარტიის ეხლანდელი მდგომარეობის შედარება 1918—21 წ. პერიოდთან. მაშინ დისკუსიის „ბედნიერი ხანა" იყოვო.

გამოდის, რომ პარტია მხოლოდ მაშინ სუნთქავდა იდეური ჰაერით. ოპოზიცია თავს არ იწუხებს იმის ფიქრით, რომ ეხლა რო ჩვენს წინაშე იდგეს ისეთი მძიმე საკითხი, როგორიც იყო 1918 წლის პერიოდში (ბრესტის წინ) არსებულ უთანხმოებათა მთავარი საკითხი, მისი გადაჭრა პარტიისათვის ეხლა გაცილებით უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე მაშინ და ეს გარემოება კი ხომ მოწმობს პარტიის უდიდეს, პირველ ყოვლისა იდეურ ზრდას. ამასთან ერთად ოპოზიცია ივიწყებს, რომ მაშინდელ „ბედნიერ" ხანაში დისკუსიებს მივყავდით პირდაპირ საფრთხემდე რევოლიუციისათვის. იყო მომენტები, როდესაც დისკუსიის გაგრძელება უდრიდა რევოლიუციისათვის თავის წაწყვეტას. საკმარისია მოვიგონოთ მარტო ის, რომ ამ პერიოდში ლენინი იძულებული გახდა ულტიმატიურად მოეთხოვა მაშინდელ ოპოზიციისაგან: ან დამორჩილებოდა ცეკას ან არა და ლენინი შესწყვეტდა მუშაობას ცენტრალურ კომიტეტში. რაც შეეხება 1921 წლის დისკუსიას, ლენინმა მე-10 ყრილობაზე უკვე განაცხადა, რომ პროლეტარული რევოლიუციისათვის ეს იყო „ფუფუნება", რომ დისკუსია იყო „შეცდომა". ამის შემდეგ განა გაბედავს კიდევ ოპოზიცია დაეყრდნოს ლენინს, როდესაც ეხლა ის ოცნებობს 1918—21 წლ. „ბედნიერ" ხანის დაბრუნებაზე, სადისკუსიო ციებ-ცხელების დაბრუნებაზე?

იმ ხანებიდან პარტიამ საგრძნობლად წაიწია წინ.

მისი შემადგენლობა მნიშვნელოვნად გამოცვლილია. პარტიას მიემატა ასობით ათასი მოწინავე პროლეტარი. ამავე დროის მანძილზე თვით პროლეტარიატი საგრძნობლად გასცილდა დეკლასირებულ მდგომარეობას და თავის წრიდან უხვად აწვდის პარტიას ახალ და უფრო მოწინავე ელემენტებს.

შეგვიძლია მოვიყვანოთ უამრავი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ პარტიული მასის აქტივობის ზრდას. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში უჯრედების ცხოვრება ეხლა და 5—6 წლის წინად არც კი შეედარება ერთი მეორეს. ჯანსაღი პარტიული დემოკრატიზმის განვითარება—თვალსაჩინო ფაქტია მუშებისათვის. პარტიული მასა ბევრად უფრო ცოცხლად და ხალხით მონაწილეობს პარტიის მრავალფეროვან საქმიანობაში. გამოცოცხლდენ აგრეთვე დანარჩენი პროლეტარული ორგანიზაციებიც.

ყველაფერი ეს მჭიდროთაა დაკავშირებული იმასთან, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა პარტიის იდეური დონე. საკმარისია მოვიგონოთ მარტო ის თუ რა უდიდესი მუშაობა ჩავატარეთ უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით მუშებში პოლიტიკური განათლების განვითარებისათვის. აქვე დავუმატებ, რომ ლენინის თხზულებათა გამოცემა ფაქტიურად დაიწყო მხოლოდ 1921 წლის დისკუსიის შემდეგ (1920 წელში გამოვიდა მარტო ერთი ტომი), ხოლო ეხლა კი ლენინის თხზულებებზე და ახალ პარტიულ ლიტერატურაზე, რომლებიც ამუშავებენ ლენინიზმის საკითხებს, იზრდებიან მუშათა ფართე კადრები.

შემდეგ, ყველამ იცის, რომ მშენებლობის მიღწევები—არის პარტიისა და მუშათა კლასის საქმე, მაგრამ ამ მიღწევებმა თავის მხრივ უზრუნველყვეს ნიადაგის განმტკიცება თვით პარტიის განვითარებისათვის. ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას აქვს პროლეტარული რევოლიუციის ათი წლის გამოცდილება, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა მისი იდეური განვითარება; ჩვენი პარტია ემყარება ზრდის გზაზე მდგომ სოციალისტური მშენებლობის მტკიცე ბაზას. განა ყველაფერი ეს არ წარმოადგენს ჩვენი პარტიის ყოველმხრივი ზრდის საუკეთესო საბუთს?

რასაკვირველია, პარტიას საკმაოდ აქვს ნაკლულოვანებები. პარტიის შემადგენლობის მხრივ ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით არსებული მდგომარეობით. ჩვენს წინაშე ეხლა წამოჭრილია პარტიაში მუშების შემდგომი და ამასთან ფართოდ მოზიდვის ამოცანა. ამასთან დაკავშირებით ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ უახლოეს ორ წელში პარტიის შემადგენლობის ბირთვი პრაქტიკულ [illegible] შეადგენდენ მუშებიდან. ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი არა გვაქვს გაკეთებული. ამ გადაწყვეტილების გატარება ცხოვრებაში უდავოა, იქნება ნამდვილ კომუნისტური [illegible] უმნიშვნელოვანესი ამოცანა. პარტიული განათლების, პოლიტიკური დონის ამაღლების და იდეური მუშაობის გაღრმავების საქმე—აი ის დარგები, სადაც უნდა გაიშალოს პარტიულ ორგანიზაციების აქტივობა. პროლეტარიატის ამოცანების ზრდა მოითხოვს სოციალიზმის მშენებელთა ფართე კადრების იდეური დონის ამაღლებას. შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარება, პარტორგანიზაციების მუშაობის გაცხოველება, პარტიული მასების ინიციატივის განვითარება—ყველაფერ ამაზე ჩვენ შემდეგშიც დაგვჭირდება ენერგიული მუშაობა. ბრძოლა ბიუროკრატიულ ელემენტების წინააღმდეგ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა როგორც პარტიულ, ისე ყოველგვარ სხვა მუშათა მასიურ ორგანიზაციებში. თვითმოქმედების გაძლიერება მუშათა მასიურ ორგანიზაციებში—აქ წინ უფრო ფართე პერსპექტივებია გადაშლილი ჩვენს წინაშე, ვიდრე ის, რასაც დღემდე მივაღწიეთ. პარტია დაუღალავად მუშაობს ყველა ამ ამოცანებზე. ამასთან ბრძოლა ნაკლულოვანებებთან ყოველთვის მოქცეულია ჩვენი ამოცანების ცენტრში.

ფუჭი ოცნება

მაგრამ ოპოზიციონერების ოცნება „ბედნიერი" ხანის, მაგალითად 1918 და 1921 წ. დისკუსიის დაბრუნებაზე, არ ხორციელდება. ეს ხანა სრულიადაც არ იყო ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდა ეთქმულიყო, რომ ის არის პროლეტარული დემოკრატიზმის გაფურჩქვნის პერიოდი. ყველამ იცის, რომ ლენინი მაშინდელ ოპოზიციას უწოდებდა „მემარცხენე ბავშვობას" და „წვრილბურჟუაზიულობას". ეჭვის მიტანა აღარ შეიძლება იმაში, რომ მუშები ეხლა გაცილებით უფრო აქტიურად და უფრო ფართე კადრებით მონაწილეობენ პარტიულ ცხოვრებაში. პარტია გაცილებით უფრო აქტიურად, ვიდრე ოდესმე, იღებს მონაწილეობას პარტიული პოლიტიკის ყველა საკითხების განხილვაში, ისე, როგორც არასოდეს, სერიოზულად ერკვევა იდეურ უთანხმოებათა საკითხებში. აი სწორედ ეს ხდის შეუძლებლად დაბრუნებას თითქოს „ბედნიერ" ხანისაკენ, და ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დისკუსიას ყრილობის წინ დღევანდელ პერიოდში ექნება, ყოველ შემთხვევაში, პარტიულად ჯანსაღი ხასიათი, ვიდრე ეს იყო 7—8 წლის წინად და 1923 წელშიაც. უნდა ვეცადოთ, რომ დისკუსიამ ყრილობის წინ გამოაშკარავოს ყველა ნაკლი პარტიის მუშაობაში და ამასთან ერთად ხელი შეუწყოს უფრო ჩამორჩენილ ელემენტების მოზიდვას პარტიის აქტიურ ცხოვრებაში. პარტიას არ აშინებს ფართე და ყოველმხრივი კრიტიკა, პირიქით, პარტიის პოლიტიკის ყველა საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომა და თავისუფალი განხილვა საშუალებას მისცემენ პარტიას უკეთესად გაერკვეს განვლილ გზასა და ახალ ამოცანებში.

დისკუსიას ყრილობის წინ ოპოზიცია უდგება საკუთარი ამოცანებით, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ რა პარტიისა და ცეკას პოლიტიკის საქმიან განხილვასთან. მისი სადისკუსიო პროგრამა მდგომარეობს იმაში, რათა გაღუნოს პარტიის კურსი. მაგრამ ეს აშკარად უტოპისტური პროგრამაა. პარტია იმდენად შედუღებულია მუშათა კლასთან, ხოლო ოპოზიცია იმდენად ჩამოშორებულია მისგან, რომ ამ დისკუსიაში ოპოზიციას ემუქრება სრული დამარცხება, თუ ის ღრმად შესტოპავს სადისკუსიო ბრძოლაში.

გარდატეხის მომენტები

მიუხედავათ ამისა, ოპოზიცია მაინც რჩება საგრძნობ ფაქტად ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე. მაშ რაშია საქმე? თუ მივმართავთ ჩვენი პარტიის ისტორიას, მაშინ ბევრად გასაგები გახდება დღევანდელი ოპოზიციის მნიშვნელობა. და მართლაც ქვეყნის განვითარებას უდიდესი გარდატეხის მომენტებში პარტიაში უთანხმოება იყო პარტიის ხაზის გარშემო და ხშირად პირდაპირ გადადიოდენ რენეგატების ბანაკში. საკმარისია მოვიგონოთ 1905 წლის შემდეგი პერიოდი, რომ მსგავსი ფაქტები მრავლად წამოჭრენ ჩვენს წინაშე. 1905 და 1906 წ. შემდეგ მენშევიკებსაც და ჩვენც ჩამოგვშორდენ მთელი ჯგუფები, რომლებიც იწევდენ რა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ—ბოლოს და ბოლოს მეტ წილად ზოგჯერ დროებით გადიოდენ პარტიიდან. ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითს ჩვენი პარტიისათვის ამ პერიოდში წარმოადგენს ა. ბოგდანოვის მაგალითი. რამდენი მოღვაწე გავიდა მაშინ პარტიიდან? ასევე მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება და 1914 წლის ომთან დაკავშირებით (თუ არც კი მივიღებთ მხედველობაში გ. ვ. პლეხანოვს). დაბოლოს ყველასთვის ცნობილია ბოლშევიკების ნაწილის მერყეობა ოქტომბრის შემდეგ და პერიოდში ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინ. იბადება კითხვა: მაშ რომელ ეტაპზე გადადის ეხლა ჩვენი რევოლუცია, თუ კი მის ყოფილ ხელმძღვანელებს შორის შემჩნეულია ასეთი ძლიერი მერყეობა და იდეური დაშორება პარტიისაგან? არ შეიძლება დავა იმის გარშემო, რომ იმ ღრმა საფუძვლებს გარეშე, რომლებიც დაკავშირებულ იარიან განსაზღვრულ ღრმა გარდატეხასთან ჩვენი რევოლუციის განვითარებაში, შეუძლებელია უკიდურეს ოპოზიციონურ განწყობილების წარმოება, რომლის ეხლანდელი გამომხატველიც არის პარტიის ჩამორჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი, რომლებსაც წარსულში მიუძღვით დამსახურება. ის, რომ ჩვენში გახანგრძლივდა ოპოზიციონური ავადმყოფობა, რომ ის შედარებით ხანგრძლივ პერიოდში გადის თავის ეტაპებზე—ეს მხოლოდ გამოხატავს ჩვენი რევოლუციის განვითარებაში არსებულ იმ მიღწევების ღრმა მნიშვნელობას რომლებისთვისაც მთელ რიგ წლების მანძილზე შეიძლება დაგროვდენ ძალები ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებაში.

ყველაზე უფრო დამახასიათებელი რამ ოპოზიციისათვის არის ის, რომ მას არ სწამს სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში. სწორედ ამ პერიოდში, როცა სოციალისტური მშენებლობის ენთუზიაზმი სულ უფრო და უფრო იტაცებს მუშათა კლასს, და მასთან ერთად სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან მშრომელი გლეხობის ფართო მასები, სწორედ ამ პერიოდში თავი იჩინა პარტიის განსაზღვრულმა ფენამ, რომლისათვისაც უცხო და გაუგებარია მშრომელთა ავანგარდის ეს სოციალისტური ენთუზიაზმი. რწმენის უქონლობა, მერყეობა ძირითად საკითხში—გამარჯვების შესაძლებლობის საკითხში, ადგილი არ აქვს მუშათა კლასის ფართო მასებში. პირიქით, მუშები ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს ხვდებიან უდიდესი რწმენით აღჭურვილნი. უკანასკნელ წლებში მოხდა მუშათა კლასის ძლიერი კონსოლიდაცია. ეს ნათლად იჩენს თავს საკავშირო კომპარტიის (ბ) განმტკიცებაში. მაგრამ პარტიაში მაინც აღმოჩნდენ განსაზღვრული ჯგუფები, რომელნიც აშკარად დგანან ღრმა ეჭვისა და სოციალიზმის გამარჯვებისადმი რწმენის უქონლობის დროშის ქვეშ. პარტიის ამ ნაწილის ზოგიერთი ფენები უკვე სავსებით გადაგვარდენ იდეურად ზოგი კი შეიძლება თავის დროზე ჩამოშორდეს ოპოზიციას, გარდა ამისა არ შეიძლება დავივიწყოთ რომ ამ ჯგუფებს გარდა, რომელნიც აშკარად გამოხატავენ რწმენის უქონლობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისადმი, არის კიდევ პარტიის გარკვეული, თუმცა უმნიშვნელო ფენა, რომელიც მალავს თავის ეჭვებს და რწმენის უქონლობას ჩვენი სოციალისტური მშენებლობისადმი.

განა შეიძლება სხვაგვარად გახდეს? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ გარდამავალ ეპოქაში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის დროს არ იჩინოს თავი ჩვენს წრეში ძველი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენამ? ამ გავლენისაგან არ შეუძლია განთავისუფლდეს რევოლიუციონერთა ნაწილსაც კი. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ეს გავლენა, და ამასთანავე წვრილბურჟუაზიული მენშევიკური უიმედობა სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი, განსაკუთრებით იჩენს თავს რევოლიუციის ერთი ეტაპიდან მეორე, უმაღლეს ეტაპზე გადასვლის დროს.

აი, ამიტომ ეხლა, როცა ჩვენ გადავდივართ მშენებლობის ახალ ეტაპზე, რომელსაც, როგორც ეს სჩანს წარსულიდან, ახასიათებს სოციალისტური ამოცანების არაჩვეულებრივი ზრდა, განსაკუთრებით რთულ და ძნელ საერთაშორისო პირობებში, ჩვენი პარტიის ერთ ნაწილში ადგილი აქვს იმავე მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინედაც დიდი ისტორიულ გარდატეხათა დროს. ისინი, ვისაც არ სწამს სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში ისინი ახლა, სოციალიზმის არაჩვეულებრივად აღორძინების ხანაში, რომელიც მზადდებოდა მთელი რიგი წლების განმავლობაში, განიცდიან ოპოზიციონურ ავადმყოფობას. ეს ელემენტები [illegible] პარტიაში ეხლა გააფთრებით იბრძვიან პარტიის წინააღმდეგ, რომელიც სოციალიზმის მშენებლობას ხელმძღვანელობს.

ვის ემყარება ოპოზიცია

ოპოზიცია ნაკლებს, ვიდრე ოდესმე, გამოხმაურებას პოულობს მუშათა წრეში. მხოლოდ ცალკე, ამასთანავე სრულიად უმნიშვნელო ჯგუფებს ნახულობს ოპოზიცია მუშებს შორის. მაგრამ ხომ არიან აგრეთვე ისეთი მუშებიც, რომელნიც დღემდე მენშევიკებს ემხრობიან. ნამდვილად კი მუშათა კლასში არ არის ის სულისკვეთება, რომელიც ოპოზიციას ასულდგმულებს. ოპოზიციას უპირველეს ყოვლისა ემხრობა წვრილბურჟუაზიული ტიპის კვალიფიციურ ინტელიგენციის განსაზღვრული ნაწილი. ამ წრეში, განსაკუთრებით, სახელმწიფო აპარატის ზოგიერთ ელემენტებს შორის ოპოზიციას მაინც შეუძლია რაიმე თანაგრძნობის მოპოვება. ოპოზიცია იმედს ამყარებს კიდევ ახალგაზრდობის ერთ ნაწილზე, რომელიც ვერ გარკვეულა ოპოზიციურ ილიუზიებში. მაგრამ ეხლა ოპოზიციის გავლენა შეიძლება გავრცელდეს ახალგაზრდათა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილზე, ვინაიდან ლენინიზმს ამ წრეში დიდი ხანია სწავლობენ თვით ლენინის ნაწერების მიხედვით. უფრო მტკიცე „ნიადაგი" ოპოზიციური სულისკვეთების არის ის ელემენტები, რომელთაც დაამტკიცეს, რომ ისინი ვერ ეგუებიან პროლეტარული პარტიის მუშაობის პირობებს ან რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით გამო ნაწყენები არიან. მაგრამ თუ ყველა ამათ, ვისი იმედიც აქვს ოპოზიციას, თუ ოპოზიციის ყველა ამ სხვადასხვა ნამსხვრევებს ავიღებთ ერთად, მაშინაც ეს შეადგენს ჩვენი პარტიის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს. ამასთან ერთად უეჭველია, რომ ახსნა-განმარტებითი პარტიული მუშაობა ოპოზიციას ჩამოაშორებს ყველა იმ ელემენტებს, რომელნიც ახლო დგანან მუშათა კლასთან. ოპოზიციონური ელემენტების სოციალური ხასიათი შეეფერება ოპოზიციის წვრილბურჟუაზიულ უიმედობას.

ოპოზიცია შესდგა თავისი განვითარების ახალ ფაზაში. იგი შეუდგა თავისი პარტიის შექმნას. ეს მხოლოდ მაჩვენებელია იმისა, რომ ოპოზიციას დასაყრდენი არ აქვს ჩვენს პროლეტარულ პარტიაში. ოპოზიციონური განვითარების ეს ახალი ეტაპი, საკუთარი პარტიის შექმნის გზაზე დადგომა ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ოპოზიციონური ელემენტები სულ უფრო უცხონი ხდებიან ბოლშევიკური წრისათვის. მათ პარტიაში „სული ეხუთებათ"; სხვათა შორის ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ბოლშევიკურ პარტიაში მალე მართლაც სრულიად აღარ იქნება ჰაერი ახალი ტიპის მენშევიკებისათვის; არამედ ამ ტიპის მენშევიკებად ყალიბდება ოპოზიციონერთა სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი.

ოპოზიცია შესდგა საკუთარი ანტილენინური პარტიის შექმნის გზაზე, მაგრამ ეს ეხლა სავსებით უიმედო საქმეა. ოპოზიციას არავითარი ნიადაგი არ აქვს მუშათა კლასში, იგი ეყრდნობა მხოლოდ ზოგიერთ სოციალურ ნამსხვრევებს ჩვენი პარტიის შიგნით და მახლობლად. მაგრამ ამ ნაწილებისა და ნამსხვრევების შეერთებით შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ „ნამსხვრევების პარტია". სწორედ ამიტომ ხდება ის, რომ ოპოზიცია, რომელიც შესდგა ტროცკისტული პარტიის შექმნის პრაქტიკულ გზაზე, დღემდე სიტყვით უარჰყოფს იმას, რომ აკეთებს ამ უიმედო საქმეს — სხვადასხვა ნამსხვრევების შეკოწიწებას, შეერთებას ერთ მთლიან ნაწილად. დიახ, ახალი პარტიის შექმნის საქმე სავსებით უიმედო საქმეა. ამის საუკეთესო მაჩვენებელია მენშევიკების ბედი, რომელნიც ფაქტიურად უკვე მივიდენ პოლიტიკურ არარაობამდე.

ოპოზიციის ცდამ ახალი პარტიის შექმნისათვის შეძლება გამოაცოცხლოს ჩვენი პარტიის ზოგიერთი მტრების ესა თუ ის იმედები, მაგრამ ეს მაინც ცარიელი იმედებია. მენშევიკების დროშა საბოლოოდ დაფლეთილია, არავინ გაჰყვება ახალ დროშასაც ნახევრად მენშევიკების დროშასაც (ტაში).

დანი—ტროცკი

ოპოზიცია იდეოლოგიურად უკვე დაექანა მენშევიზმამდე. იგი ეხლა ხშირად ლაპარაკობს პირდაპირ მენშევიკური პროზით. მენშევიკებისა და ოპოზიციის ენა სულ უფრო და უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს, სულ უფრო და უფრო ემსგავსება ერთი მეორეს. მოვიყვან მხოლოდ ერთ, სულ უკანასკნელ მაგალითს. აი, ამონაწერი უკანასკნელი წერილიდან. მოთავსებულია „სოციალისტურ ვესტნიკ"-ში.

„15 ოქტომბერს გაიხსნება საბჭოთა ცაკის სესია. 7 ნოემბერს იწყება ბოლშევიკური დიქტატურის ათი წლის თავის დღესასწაული. ახლოს არის მე-15 პარტიული ყრილობაც... ბრძოლა მთლიანი მონოლიტური საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით, პლენუმის შემდეგაც გრძელდებოდა განუწყვეტლივ.

ამ ბრძოლის დამახასიათებელი მისი დეტალების არ მცოდნეთათვის, იყო მონანიების განცხადებათა განუწყვეტელი ნაკადი, ჩვენი პარტიისათვის კარგად ცნობილი ფორმა, — იმ სულმოკლეთა უცებ გამოფხიზლებისა, ფორმა, რომელთაც „შემცირების", „სხვაგან გადასროლის" შიშის გამო ქედი მოიხარეს ან რომელთაც სახელმწ. პოლიტსამმართველომ რკინის ხელი ჩაავლო ყელში. მაგრამ ოპოზიციასთან გასწორების ეს მეთოდები — კეტისა და მატერიალური შევიწროების მეთოდები მაინც ვერ აღწევენ მიზანს".

აი, ციტატა ოპოზიციის ბელადის სიტყვიდან (ხმა ადგილიდან: „ვინაა, ვინ?") ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის უკანასკნელ პლენუმზე: „ხელმძღვანელი ფრაქცია ფიქრობს, რომ ძალადობით შეიძლება მიაღწიოს ყველაფერს. ეს ძირითადი შეცდომაა. ძალადობამ შეიძლება ითამაშოს უდიდეს რევოლიუციონური როლი. მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: თუ ეს ძალადობა ემორჩილება სწორ კლასობრივ პოლიტიკას... გადასახლების, სამუშაოდან მოხსნის და დაპატიმრების საშუალებით მმართველი ფრაქცია მოქმედობს კეტით და მატერიალური შევიწროებით საკუთარი პარტიის წინააღმდეგ" (სიცილი).

ორივე დოკუმენტის ენა სავსებით ერთი და იგივეა, ამავე დროს კი უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ციტატა მოყვანილი იყო დანის წერილიდან, ხოლო მეორე ტროცკის სიტყვიდან (სიცილი).

ან მენშევიკებთან, ან პარტიასთან

ჩვენ ვდგევართ მე-15 ყრილობის წინ. ამ ყრილობამ უნდა დასდოს საზღვარი პარტიისა და ოპოზიციის შორის. პარტიამ უდიდესი მოთმინება და სიფრთხილე გამოიჩინა ოპოზიციის მიმართ, განსაკუთრებით მისი ბელადების მიმართ. ეს აუცილებელი იყო. პარტიას უნდა გამოეცადა ყველა საშუალებანი, რათა დაეხსნა ისინი მენშევიკურ ჭაობაში ჩავარდნისაგან, მაგრამ პარტიას არ შეიძლება ექნეს განუსაზღვრელი მოთმინება გამთიშველების მიმართ. ჩვენ ყველა საშუალებებს მივმართავთ, რომ ყრილობის წინ დისკუსიის დროს კიდევ უფრო მეტად ავხსნათ და განვმარტოთ ოპოზიციის იდეური ჩამოშორება ლენინიზმისაგან, ჩვენ ყოველ საშუალებას მივმართავთ იმისათვის, რომ კრიტიკული თვალით შევამოწმოთ ჩვენი მუშაობა, ნათლად დავსვათ პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის ახალი ამოცანები. მაგრამ გამთიშავი ოპოზიციის მიმართ პარტიამ ეხლა უნდა გამოიჩინოს აბსოლიუტურად აუცილებელი სიმტკიცე. ოპოზიციამ თვითონ უნდა აირჩიოს შემდგომი გზა: ან წავიდეს მენშევიკებისაკენ და მაშინ გასწყვიტოს კავშირი ჩვენს პარტიასთან, ან ყოველგვარი პირობის გარეშე ჩადგეს ბოლშევიკების მტკიცედ დარაზმულ დისციპლინით აღჭურვილ რიგებში. იმის მიხედვით, როგორც ლენინი პარტიის მე-10 ყრილობაზე ლაპარაკობდა ოპოზიციონური ბრძოლის აუცილებლად შეწყვეტის შესახებ, ისე მე-15 ყრილობამ გამთიშავი ოპოზიციის შესახებ უნდა სთქვას: კმარა, ბოლო უნდა მოეღოს! (მხურვალე ტაში). შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, რომ ეს იქნება მე-15 ყრილობის ის გადაწყვეტილება, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს ჩვენი პარტიის ნებისყოფას (მხურვალე, ხანგრძლივი ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ.) ცეკასა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის ოქტომბრის პლენუმის შედეგები

ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება კავკასიის წითელდროშოვან არმიის მე-6 პარტკონფერენციაზე

ხანამ იმ მოხსენებას დავიწყებდე, რომლის გაკეთებაც მე-6 საარმიო პარტკონფერენციაზე დამავალა ჩვენი ლენინური ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ნება მომეცით გადავცე მე-6 საარმიო პარტკონფერენციის სალამი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას (ტაში), ნება მომეცით გადავცე კავკასიის სახელოვან წითელ დროშოვან არმიის სალამი (მქუხარე ტაში).

როგორია ის მთავარი ხაზები, რომლებიც ახასიათებენ დღევანდელ მომენტს, პროლეტარული ცხოვრების განვითარების რომელ ეტაპს მოუახლოვდით ჩვენ ამჟამად?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს უდიდესი მომენტი პროლეტარული რევოლიუციის განვითარების ისტორიაში—ეს არის ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი.

10 წელი შეიძლება ცოტა რამეს ლაპარაკობდეს, 10 წელი,—შეიძლება არც ისე დიდი დროა, მაგრამ სამოქალაქო ომის ათი წელი. სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლის ათი წელი, ბრძოლის 10 წელი კაპიტალისტური სახელმწიფოების გარემოცვის პირობებში, საბჭოების პირველი რესპუბლიკის არსებობის 10 წელი, ეს ათი წელი კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებულ ფაქტს წარმოადგენს.

ჩვენი კლასიური მტრები, როგორც შიგნით, ისე გარეშე, ამ ზეიმისათვის მეტად არასასიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებენ—ისინი გვიმზადებენ ომს. ამავე დროს ჩვენში, შიგნით მზადდებოდა სხვა სიურპრიზი. ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავზე ოპოზიცია შეეცადა ჩვენი პარტიის ლენინური რკინის დისციპლინით შეკავშირებულ რიგების შერყევას და მათ გათიშვას.

ამრიგად, ჩვენ დღევანდელ მდგომარეობას განსაზღვრავს ორი მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი: პირველი—ესაა პროლეტარული დიქტატურის მეათე წლისთავის განხორციელება და მეორე—ჩვენი პარტიის შიგნით შექმნილი სიძნელენი.

ჩვენი მრეწველობის ზრდა

გაუკეთოთ ჯამი ჩვენ მიღწევებს ათი წლის განმავლობაში.

თქვენ იცით, რომ ათი წლის მიღწევების შედეგებს შეიძლება მიუდგეთ სამნაირად; საკითხს შეიძლება მიუდგეთ ასე: აღვნიშნოთ მხოლოდ უარყოფითი მხარეები, როგორც ამას სჩადის ჩვენი ოპოზიცია და როგორც ამას სჩადის მთელი ანტისაბჭოთა პრესა საზღვარგარეთ.

შეიძლება ამ საკითხს მიუდგეთ სხვანაირადაც: შეიძლება ვამოვყოთ მხოლოდ მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს და საკმაო რაოდენობითაც, რაც აგრეთვე არ იქნებოდა სწორი.

მაგრამ თუ ჩვენ მიღწევებთან ერთად აღვნიშნავთ ჩვენ ნაკლსაც, ჩვენ სუსტ მხარეებს, როგორც ამას სჩადიან ჩვენი ცეკა, ჩვენი პარტყრილობები, ჩვენი პარტკონფერენციები,—ჩვენ მივაღწევთ ათი წლის განმავლობაში განვლილი მთელი გზის სწორ ობიექტიურ შეფასებას.

დავიწყოთ ჩვენი მიღწევებიდან, მრეწველობის დარგში: საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით ასეთია:

წლ.	1926—27	1927—28
ქვანახშირი	107,1	124,1
ნავთი	109,7	120,7
თუჯი	70,5	82,3
ლითონი	76,3	85,2
ბამბის ქსოვილები	105,4	112,0
კალოშები	109,6	132,6
მარილი	102,0	114,2

რას გვიჩვენებს ეს ცხრილი? ის გვიჩვენებს, რომ წარმოების მთელ რიგ დარგებში ჩვენ გაუსწარით ომის წინადროის დონეს, სხვა დარგებში—ჩვენ თითქმის მივაღწიეთ ამ დონეს. ჩვენ დავასრულეთ ჩვენი მრეწველობის აღდგენითი პროცესი, ჩვენ ფეხი შევსდგით მისი ხელახალი მოწყობის, სრული რეკონსტრუქციის პერიოდში, ჩვენ დავადექით მანქანათმშენებლობის გზას, ინდუსტრიალიზაციის გზას.

როგორია ინდუსტრიალიზაციის ტემპი? განვიხილოთ ცნობები საცენზო მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის შესახებ უკანასკნელ წლების განმავლობაში.

საერთო პროდუქციის ღირებულება
(სახ. საგეგმო კომისიის ცნობების მიხედვით)

წლები	ომის წინა დროის მილ. მან.	პროც. წინა წელ. შედარ.
1924—25 წ.	3.958	155,0
1925—26 წ.	5.746	145,2
1926—27. წ.	6.611	115,1
1927—28. წ.	7.558	114,3

ამრიგად, მრეწველობის ზრდის ტემპი ჩვენში სჭარბობს ჩრ. ამ. შეერთ. შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალისტური მრეწველობის ზრდის ტემპს. ჩრ. ამერიკის შეერთ. შტატებში 1899 წ.-დან 1912 წლამდე მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური მატება უდრიდა 3,5 პროც. საფრანგეთში 1898 წლიდან 1913 წლამდე—3,35 პროც., ინგლისში 1905 წლიდან 1913 წლამდე—1,16 პროც.

ჩვენი კაპიტალის დაბანდება 1923 წლიდან 1927 წლამდე 398 მილ. მანეთიდან გაიზარდა 1 მილიარდ 253 მილ. მან.

კაპიტალის დაბანდება ელექტრო მშენებლობაში, რომელსაც ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის უმაღლეს ტეხნიკურ საფუძველზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე მეტად დიდ ციფრს უდრის.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენ კოლოსალური მიღწევები გვაქვს. ასე რომ ყველა ის პოლიტიკური და ეკონომიური „მწუხრი", რომელსაც ოპოზიციონერები გვიქადდენ, წარმოადგენს ოპოზიციის ფანტაზიას და ჩვენ ყოველწლიურად ვიზრდებით და წინ მივიწევთ.

ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაცია

განსაკუთრებით ნათლად სჩანს ჩვენი მიღწევები ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დარგში, თუ ჩვენ შევადარებთ იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა ამიერ-კავკასიაში ომამდე მეფის რეჟიმის დროს და მდგომარეობას, რომელიც გვქონდა მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატურ რეჟიმის დროს იმას, რაც გვაქვს ჩვენ ამჟამად—საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს.

როგორი იყო ჩვენი მრეწველობა წინად?—უმნიშვნელო. ჩვენ უმთავრესად გლეხურ ქვეყანას წარმოვადგენდით. რა გვაქვს ჩვენ ეხლა? ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ძლიერი ელექტროსადგურებისა, ჩვენ გვაქვს განვითარების გზაზე შემდგარი მარგანეცის მრეწველობა, ჩვენ გვაქვს ქვანახშირის მრეწველობა, მარილის, სილიკატის მრეწველობა, სამთამადნო მრეწველობის ზოგიერთი დარგი—ბარიტის მრეწველობა; გვაქვს ზეთის სახდელი და ბამბის საწმენდი ქარხნები, ჩაის, თამბაქოს და ტყავის მრეწველობა; განვითარებული სატყეო მრეწველობა; აბრეშუმის სართავი ქარხნები, ჩვენ ვაშენებთ ქაღალდის ფაბრიკას, ფართოდ განვავითარეთ თევზის მრეწველობა, რიონჰესის აშენების შემდეგ განვითარდება ქიმიური მრეწველობა, რომელიც ასე საჭიროა ქვეყნის მტრისაგან დასაცავად. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ელექტროფიკაციის დარგში ჩვენ მნიშვნელოვნად წინ წავიწიეთ. ზაჰესი ყველას თვალწინ აქვს.

თქვენ იცით, რომ, ინგლისის საოკუპაციო ჯარები ამიერ-კავკასიაში შემოვიდენ არა იმიტომ, რომ დახმარებოდენ ამიერ-კავკასიის პატარა ხალხებს. ინგლისელებს ამ ხალხებისათვის არაფერი გაუკეთებიათ, მათ თავისი სტრატეგიული და პოლიტიკური გეგმები ჰქონდათ. მაგრამ ჩვენ ვიცით სხვა რამეც; ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ფედერაციის სისტემის მეოხებით, საბჭოთა კავშირი კოლოსალურ დახმარებას უწევს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირის შემწეობით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კავშირი—ეს სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა ხდება ინდუსტრიალურ ქვეყანად. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უკვე ინდუსტრიალურ ქვეყნად გავხდით, მაგრამ ის 5 წლიანი გეგმა, რომელიც ჩვენ დავისახეთ და რომელსაც გავატარებთ ცხოვრებაში, მნიშვნელოვნად დაგვაახლოვებს იმ მომენტს, როცა ჩვენ ინდუსტრიალურ ქვეყანა ვიქნებით.

კერძო კაპიტალისა და კულაკის შესახებ

ამხანაგებო! ჩვენ ასეთ დიდ შედეგებს მივაღწიეთ არა მარტო მრეწველობის დარგში. მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ აგრეთვე სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორის გაფართოების და კერძო კაპიტალისტურ პოზიციების წართმევის სფეროში.

თქვენ კარგად გახსოვთ, რომ, როცა ლენინის ხელმძღვანელობით შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა მუშურ-გლეხურ ქვეყანაში, ბევრი გამოსთქვამდა შიშს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა დიდ საფრთხეს შეიცავს, რომ მან შეიძლება ჩაჰყლაპოს ჩვენი რევოლიუციაც და სხვ.. თქვენ იცით, რომ ეს ძველი სიმღერა კიდევ გვესმის ჩვენი ოპოზიციის მხრივ, რომელიც გაჰყვირის, რომ კულაკი იზრდება, რომ კულაკი ჩვენ გვაზრჩობს, რომ კერძო კაპიტალი იზრდება და სხვ. ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს, კერძო კაპიტალის ზრდის გარდა არავითარი სხვა პროცესი, არავითარი სხვა მოვლენა არ ხდება ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ეს სრულებით შემცდარი შეხედულებაა. როცა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩვენს ჯამს უკეთებთ ჩვენს მიღწევებს ამ სფეროში, ვხედავთ, რომ კერძო კაპიტალი სისტემატიურათ იდევნებოდა თავის პოზიციებიდან.

ჩვენ არ გვაქვს განზრახვა მივაფუჩეჩოთ კულაკური საფრთხის მნიშვნელობა. პირიქით, როგორც მეთოთხმეტე პარტკონფერენციის ისე პარტიის ცეკას ყველა პლენუმების ყველა რეზოლიუციებში ხაზგასმით აღნიშნულია კულაკური გადახრის საფრთხე და ნათქვამია, რომ კულაკი ჩვენ უნდა შევბოჭოთ ეკონომიური ღონისძიებებით, რომ უნდა გავაძლიეროთ და გავაფართოოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი, მაშინ თანდათანობით გავდევნით კულაკს და ნეპმანს მათ პოზიციიდან, ჩავახრჩობთ კერძო კაპიტალს. მნიშვნელოვანი მიღწევებით კოოპერაციის და ჩვენი სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორის ბრუნვის სფეროში და ამით არარათ ვაქცევთ კულაკის მნიშვნელობას.

და თუ კულაკი სოფლად გამოცოცხლდა, თუ მისი აქტივობა ცოტათ თუ ბევრათ გაიზარდა ომის შესახებ გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით, პარტიის შიგნით უთანხმოების დაწყებასთან დაკავშირებით,—ვიმეორებ, იმ ღონისძიებათა სისტემით, რომლებიც დამუშავებულ იქნა ცაკისა და მეთოთხმეტე პარტკონფერენციის მიერ, ჩვენ მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ კულაკთან ბრძოლის საქმეში. კულაკი ჩვენ მხოლოდ ჰორიზონტზე გვყავს. მას არ შეუძლია მოგვიახლოვდეს ჩვენ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ სოფელს და კოოპერაციის მნიშვნელობას. ჩვენ ვიცნობთ ამხ. ლენინის კოოპერატიულ გეგმას. ამხ. ლენინი სთვლიდა, რომ კოოპერატიულად შეკავშირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს—ის თავისი მნიშვნელობით უდრის სოციალიზმს. კოოპერაციის შენება ნიშნავს სოციალიზმის შენებას, ამბობს ლენინი.

როცა ოპოზიციამ მორთო ყვირილი იმის შესახებ, რომ სოფლად გაიზარდა კულაკური საფრთხე, იმის შესახებ, რომ კულაკური საფრთხე ძლიერ დიდია, როცა ოპოზიციამ დაიწყო პანიკის გავრცელება კულაკის შესახებ,—ჩვენ ვთქვით: კულაკური საფრთხე არსებობს, როგორც საფრთხე, და ამ საფრთხეს ჩვენ მოვსპობთ, დაუპირდაპირებთ რა მას კოოპერატიული მუშაობის გაძლიერებას სოფლად და ამხ. ლენინის კოოპერატიულ გეგმის გატარებას, შევაკავშირებთ რა კოოპერატიულათ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებს. კოოპერატიულათ გაერთიანების სფეროში ჩვენ სოფლად მივაღწიეთ ისეთ მწვერვალებს, რომ კულაკური საფრთხე ჩვენში სრულებითაც არ არის საშიში.

აი ცხრილი, რომელიც ახასიათებს განსაზოგადოებულ სექტორის ზრდას და კერძო წარმოების პროდუქციის მნიშვნელოვნად დაცემას:

საკონტროლო ციფრები 1927-28 წლისათვის.

წლები	მთელი საზოგ. მეურნ. და კოოპერ. (სახელმწიფო) პროდუქცია მილიონ მან.	მთელი კერძო მეურნეობის პროდუქცია მილიონ მანეთებში
1924-25	81,4 პროც.	18,6 პროც.
1925-26	83,7 პროც.	16,3 პროც.
1926-27	86,0 პროც.	14,0 პროც.
1927-28	87,4 პროც.	12,9 პროც.

ამ ცხრილიდან სჩანს სიყალბე ოპოზიციის მტკიცების, თითქოს მასიური მომხმარებელი კერძო ვაჭრისაგან ღებულობდეს საჭირო საქონლის 50 პროცენტს, თითქოს საქონლის ბრუნვის 20 პროცენტი კერძო ვაჭრების ხელში იყოს.

ფასების პოლიტიკა და ოპოზიცია

ავიღოთ ჩვენი პოლიტიკა ფასების დარგში. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ოპოზიცია ყველაზე მეტს ჰყვირის იმის შესახებ, რომ ფასების პოლიტიკის სფეროში დიდ შეცდომას უშვებთ. თქვენ იცით, რომ ცეკას პლენუმმა მოგვცა დირექტივა ფასების დაკლების შესახებ. ჩვენ, ლენინელები, გამოვედით ფასების დაკლების პრაქტიკული პროგრამით.

რას ამბობდა ოპოზიცია? მე მოვიყვან თვით ოპოზიციონერების სიტყვებს. რას ამბობდა პიატაკოვი? ის ამბობდა: „ჩვენ გვაქვს დიდი განსხვავება საბითუმო და საცალო ფასებს შორის. ამიტომ ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს განსხვავება საბითუმო და საცალო ფასებს შორის მოხმარდეს სახელმწიფო მრეწველობას და არ ჩაუვარდეს ხელში კერძო კაპიტალს, რითაც გავაფართოებთ მრეწველობის მუშაობას და ნიადაგს მოუმზადებთ საგასაცემო და საბითუმო ფასების დაკლებას თუ საჭიროა და შესაძლებელია, რატომ არ უნდა ავსწიოთ საგასაცემო ფასები იმ საქონელზე, რომლის ნაკლებობას განვიცდით და რომელიც ეძლევა კერძო ვაჭარს, რატომ არ უნდა მივმართოთ ასეთ ზომას ერთხანს, ხოლო შემდეგ გაფართოებულ წარმოების საშუალებით პარალელურად შევამციროთ საბითუმო და საცალო ფასები".

რას ნიშნავს ეს? ეს არის ფასების აწევის პროპაგანდა. ვისზე იქონიებს გავლენას ფასების აწევა? ის გავლენას იქონიებს გლეხის ჯიბეზე, ვინაიდან ფასების აწევა სამრეწველო საქონელზე და იმ საქონელზე, რომლის ნაკლებობასაც განვიცდით, ე. ი. რომელიც ყველაზე უფრო ესაჭიროება სავლეხო ბაზარს, ეს ნიშნავს გლეხის ჯიბის დაცალიერებას. ამ ჟამად, როცა ლენინურ ცეკას პლენუმი ამბობს, რომ ჩვენ უნდა შევამციროთ საცალო და საგასაცემო ფასები, ამხ. პიატაკოვი—ოპოზიციის ბელადი—გამოდის და ქადაგებს ფასების გადიდებას და ამას ის უწოდებს ქალაქის და სოფლის კავშირის განმტკიცებას.

ავიღოთ ოპოზიციის მეორე ბელადი სმირნოვი, რომელიც ამბობს: „ფასების აწევა ფრთხილად უნდა იქნეს წარმოებული, მაგრამ ამ სიფრთხილემ ხელი არ უნდა შეუშალოს ამ ხაზის მტკიცედ გატარებას, ვინაიდან უამისოდ ჩვენ ჩიხში ვემწყვდევით".

რას ნიშნავს ეს ამხანაგო ოპოზიციონერებო, თუ ასეთები აქ არიან? განა ეს არის ფასების დაკლების პოლიტიკა? ოპოზიცია ცეკას ივლისის და აპრილის პლენუმებზე, სასტიკი კრიტიკის შემდეგ ლენინურ ცეკას წევრების მხრივ, იძულებული შეიქნა ხმა მიეცა ფასების დაკლებისათვის და განეცხადებია, რომ ის ხმას აძლევს ამას, მაგრამ ამა და ამ განმარტებებით, და შენიშვნებით. მიუხედავათ ამისა, ოპოზიციამ ამის შემდეგ წამოაყენა ფასების აწევის მოთხოვნა და გაცხოველებით ქადაგებდა მას.

სამუშაო ხელფასი შეუჩერებლივ იზრდება

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ სამუშაო ხელფასის საკითხი დაკავშირებულია ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელს სისტემასთან და რომ შეუძლებელია მისი განმარტოებით წამოყენება. თუ ჩვენ შევადარებთ, როგორი იყო მუშათა ხელფასი 1924-25 წელს, 1925-26 წ., 1926-27 წელს, დავინახავთ რეალურ სამუშაო ხელფასის სისტემატიურ ზრდას.

ავიღოთ მეორე მაგალითი: შევადაროთ მოსკოვის მუშის და საფრანგეთის, ან გერმანიის მუშის სამუშაო ხელფასი. მე მაქვს შემდეგი ციფრები: 1925-26 წ. მოსკოვის მუშა პარიზის მუშას რეალურ სამუშაო ხელფასში ჩამორჩებოდა 10 პროცენტით, ხოლო ბერლინის მუშას 20 პროცენტით. ომამდე გერმანიის მუშა ღებულობდა ორჯერ მეტ რეალურ ხელფასს, ვინემ რუსეთის მუშა. ჩვენ ხუთწლიან გეგმაში ნაგულისხმებია რეალურ სამუშაო ხელფასის გადიდება ისე, რომ 1930-31 წ. რუსეთის მუშას ექნება ხელფასი 20 პროცენტით მეტი, ვინემ გერმანელ მუშას.

აი ასეთ ფაქტიურ მდგომარეობის დროს ოპოზიცია გამოდის და ბრალს სდებს პარტიის ცეკას იმაში, რომ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ მუშათა კლასის სამუშაო ხელფასს. ეს ჩვეულებრივი ცილისწამებაა ოპოზიციის მხრიდან.

ამხანაგებო! გვაქვს კიდევ ბევრი სხვა მიღწევებიც, მაგრამ მე მათ არ ჩამოვთვლი—მიღწევები მეტად ბევრია.

ჩვენი სიძნელენი

გადავიდეთ ახლა ზოგიერთ სიძნელეების განხილვაზე, რომლებიც გვხვდება სოციალისტურ აღმშენებლობის მსვლელობაში.

ავიღოთ კონკრეტულად ორი ისეთი მოვლენა, რომლებიც ყველას თვალისწინ გვაქვს,—ეს არის უმუშევრობის საკითხი და საკითხი სასურსათო დაბრკოლებების შესახებ.

თქვენ იცით, რომ უმუშევრობა ისეთი მოვლენაა, რომელიც მწვავე ფორმით ახასიათებს კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაგრამ იქ მას აქვს თავისებური მნიშვნელობა: იქ უმუშევრობა წარმოადგენს მსხვილ და წვრილ მრეწველობის შორის წარმოებულ გააფთრებულ საკონკურენციო ბრძოლის შედეგს, კაპიტალისტური მეურნეობის ანარქიული სისტემის შედეგს.

მართალია ჩვენშიაც არის კერძო მრეწველობა, მაგრამ მისი როლი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მას არ შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს უმუშევრობაზე.

საიდან მოდის უმუშევრობა ჩვენში? ის უმთავრესად მოდის სოფლიდან. სოფლიდან მოსულ მუშა ხელის რაოდენობა სჭარბობს იმ შესაძლებლობას, რომელიც მოგვეპოვება ჩვენ მათ ჩასაბმელად წარმოებებში. ამ წინააღმდეგობიდან წარმოიშობა უმთავრესად უმუშევრობა ჩვენში.

რა გამომდინარეობს აქედან? ჩვენ უნდა გავაათკეცოთ ჩვენი ძალღონე ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენი მრეწველობა სულ უფრო და უფრო სწრაფი ტემპით განვითარდეს, რომ ჩვენ ავაგოთ რაც შეიძლება მეტი წარმოებანი, შევქმნათ წარმოების რაც შეიძლება მეტი საშუალებანი იმისათვის, რომ შევძლოთ საქმე მივცეთ მთელ უმუშევარ მასას. აქედან გამომდინარეობს ის ამოცანა, რომელიც გადასჭრა ჩვენი პარტიის ცეკას ოქტომბრის პლენუმმა, და ის წინადადებანი, რომლებიც შეიქვს ამ პლენუმს პარტიის მე-15 ყრილობაზე, რომელიც დაამტკიცებს სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრებს ხუთწლიან გეგმას. ყრილობა ამით დაამტკიცებს სამრეწველო და ინდუსტრიალური მშენებლობის პროგრამას. ამ მშენებლობამ კი მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს უმუშევრობა ჩვენში.

ლაპარაკობენ ჩვენი სასურსათო სიძნელეების, სხვადასხვა პროდუქტების შესაძენად გამართულ რიგების და „კუდების" შესახებ და სხვ. ეს სიძნელენი უმთავრესად აიხსნება დამატებითი მოთხოვნილების ზრდით, უკანასკნელს კი იწვევს ხმები ომის შესახებ. თვითეულს უნდა ყოველი შემთხვევისათვის ჰქონდეს სახლში ყველაფრის ცოტაოდენი მარაგი, ეს ხმები განსაკუთრებით ზვიადდებოდა ოპოზიციის წინასწარმეტყველებით, თითქოს აუცილებელი იყო ომი გაზაფხულზე, შემდეგ შემოდგომაზე და სხვ.

ასეთია მოკლედ ჩვენი მიღწევანი ათი წლის განმავლობაში და დაბრკოლებანი სახალხო მეურნეობის დარგში.

ცეკას უკანასკნელი პლენუმის მნიშვნელობა

ცეკას ოქტომბრის უკანასკნელ პლენუმს აქვს უდიდესი მნიშვნელობა: ჯერ ერთი მიტომ, რომ ეს არის ყრილობის წინასწარი პლენუმი, მეორე მით, რომ ეს პლენუმი შესდგა საბჭოთა კავშირის ცაკის ისტორიული სესიის შემდეგ. რაში მდგომარეობს ოქტომბრის პლენუმის მნიშვნელობა? ეს მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან გაარჩია პარტიულ ყრილობის დღის წესრიგის მთავარი საკითხები, გაარჩია საკითხი სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ და საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ.

ამას გარდა, ოქტომბრის პლენუმმა განიხილა კიდევ ორი ძლიერ მნიშვნელოვანი საკითხი: ცენტრ. საკონტრ. კომისიის მიერ შეტანილი საკითხი ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ ცეკას შემადგენლობიდან, ვინაიდან მათ ხოლიდარობა განუცხადეს არალეგალურ სტამბის ორგანიზატორებს, და საკითხი საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ მიღებულ ისტორიულ მანიფესტის შესახებ, იმ მანიფესტის შესახებ, რომელმაც გამოაცხადა შვიდი საათის სამუშაო დღე.

რაში მდგომარეობს მანიფესტის ისტორიული მნიშვნელობა? ლოზუნგი „შვიდი საათი სამუშაო დღე"—ეს არის ლოზუნგი, რომელიც არევოლიუციონერებს დასავლეთ ევროპის მუშათა კლასს. ეს არის არა მარტო ჩვენი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიღწევა, ეს არის არა მარტო მისწრაფება რომ 8 საათის სამუშაო დღიდან, რომელიც წარმოადგენდა ჩვენს საპირველმაისო ლოზუნგს, მუშათა საერთაშორისო დღის ლოზუნგს,—გადავიდეთ შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ჩვენ 8 საათის სამუშაო დღიდან უკვე გადავდივართ შვიდი საათის სამუშაო დღეზე, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები ემზადებიან საერთაშორისო პროლეტარიატის 8 საათის სამუშაო დღიდან 9-10 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანას, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატი თავის თვალით ხედავს, რომ მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანას შეუძლია ისეთი დიდი ნაბიჯის გადადგმა, როგორიც შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, ბუნებრივია, რომ ეს აღფრთოვანებს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ახალ ძალებს მატებს მათ ახალი ბრძოლისათვის. ეს არევოლიუციონერებს მას და გამოჰყავს იგი იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ. აი რაშია მანიფესტის ისტორიული მნიშვნელობა.

ჩვენი ოპოზიცია, რომელიც უკიდურეს მემარცხენედ ახაღებს თავს, რომელიც გამოდის უკიდურესად მემარცხენე არხირევოლიუციონური ფრაზებით, რომლების არიდებას ყოველთვის გვირჩევდა ილიჩი—ამ ოპოზიციას ცაკის სესიის ფრაქციაში და ცეკას ოქტომბრის პლენუმზე ეყო უტიფრობა ხმა მიეცა შვიდი საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ, ხმა მიეცა ამ მანიფესტის წინააღმდეგ, რომელიც ბრძოლისთვის აღფრთოვანებს დასავლეთ ევროპის მთელ მოწინავე მუშათა კლასს.

ამ საკითხში ოპოზიციამ საქვეყნოდ გამოააშკარავა თავისი სრული იდეური გაკოტრება.

ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით ოპოზიციონური ბრძოლის განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ოპოზიციამ დაჰკარგა ყველა თავისი იდეური პოზიციები.

მან ვერ შესძლო ვერავითარ კონტრ-თეზისების წამოყენება ვერც ამხ. რიკოვის და ვერც ამხ. მოლოტოვის მოხსენებების წინააღმდეგ. მან მოახდინა მხოლოდ უბადრუკი ცდა, რომ ოქტომბრის პლენუმზე ლეგალიზაცია ეყო იმ დოკუმენტისათვის, რომელიც მთელ პარტიას მიაჩნია ანტიპარტიულ დოკუმენტად,—მოეხდინა ე. წ. ოპოზიციის პლატფორმის ლეგალიზაცია.

ტროცკისტული კუპრი და „ლენინური" თაფლი

რას წარმოადგენს ეს ანტიპარტიული დოკუმენტი? ის შეკოწიწებულია მთელ რიგ ურთიერთ საწინააღმდეგო შეხედულებათა და მიმდინარეობათაგან, ვინაიდან ეს არის გაერთიანებულ ოპოზიციის პლატფორმა. ამ ოპოზიციაში არ არის არაფერი ისეთი, რაც წარმოადგენდეს მთლიან მსოფლმხედველობას, ვინაიდან ოპოზიციაში შედიან სრულიად სხვადასხვა ჯგუფები, ოპოზიციაში, უწინარეს ყოვლისა, შედის ტროცკი; ის წარმოადგენს ოპოზიციაში ერთად-ერთ მთლიან მსოფლმხედველობას—ტროცკიზმს. ეს არის მთელი მსოფლმხედველობა ჩვენი პარტიის ისტორიაში. ტროცკიზმი—ეს ისეთი მსოფლმხედველობაა, ის არის შეხედულებათა ისეთი წვრილ-ბურჟუაზიული სისტემა, რომლის წინააღმდეგ ლენინი იბრძოდა ჩვენი პარტიის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში. ამრიგად ტროცკიზმი არის მთელი თეორიული მიმდინარეობა, მაგრამ ამ მთელ კასრ კუპრს მიუმატეს ორი-სამი კოვზი „ლენინის" თაფლი. ეს „ლენინის" თაფლი წარმოდგენილია ზინოვიევისა და კამენევის მიერ.

„ვერავინ ვერ შესძლებს ვერც ლენინიზმის საფუძვლების ლიკვიდაციის მოხდენას, ვერც ლენინიზმის პრინციპების თუნდაც ნაწილობრივი რევიზიის მოხდენას, ვერც იმას რომ ტროცკიზმი ცნობილ იქნას „კანონიერ მიმდინარეობად" ლენინიზმის შიგნით. ვერავინ ვერ შესძლებს დაარწმუნოს პარტია იმაში, რომ ამჟამად ჩვენ გვესაჭიროება რაღაც „სინთეზი" ლენინიზმსა და ტროცკიზმს შორის. ტროცკიზმი იმდენადვე ვარგა ლენინიზმის შემადგენელ ნაწილად, როგორც ერთი კოვზი კუპრი ერთ კასრ თაფლის „შემადგენელ ნაწილად"—ამბობდა ამხ. ზინოვიევი 1924 წლის ნოემბერში. (იხ. მისი წერილი „ბოლშევიზმი თუ ტროცკიზმი").

თქვენ ხედავთ, რომ ახლა მათ სურს რამოდენიმე კოვზ ლენინის თაფლით შეჰკაზმონ მთელი კასრი ტროცკისტული კუპრი. ამას ზედ დაუმატეს საპრონოვშჩინა, ქართველი უკლონისტები, ვაგანიანოვშჩინა და გამოვიდა „უსუფთავესი" სასენიზაციო კასრი, რომლიდანაც რაც შეიძლება შორს უნდა დავდგეთ.

ოპოზიციის პლატფორმა მთლიანად არის გაჟღენთილი მასში შემავალ თვითეულ ჯგუფის სპეციფიური სუნით.

თქვენ იცით, რომ ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, ჩვენ გვყავნან უკლონისტები. რა ხალხია ეს უკლონისტები? მათ უწოდებდენ ნაციონალებს; ამხ. სტალინმა თავის უკანასკნელ გამოსვლაში განაცხადა, რომ ისინი ნაციონალები კი არ არიან, არამედ ნაციონალისტები. ოპოზიციის ამოცანას შეადგენდა ამ ხმების მიღებაც. მოხდა მორიგება და ოპოზიციის პლატფორმაში გაჩნდა საკითხები ნაციონალურ პოლიტიკის შესახებ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის გადასინჯვის შესახებ და სხვა.

ამ პლატფორმაში ნაციონალური საკითხის შეტანა მოწმობს იმას, რომ ოპოზიცია არ ეთანხმება იმ ნაციონალურ პოლიტიკას, რომელსაც ატარებს პარტიის ცეკა. თქვენ იცით, რომ ნაციონალური საკითხი განიხილა პარტიის მე-12 ყრილობამ და გამოიტანა ამ საკითხზე რეზოლიუცია. ამ საკითხმა გამოიწვია უთანხმოება. გამოვიდენ ტროცკიც, ზინოვიევიც, ბუხარინიც, კალინინიც, სტალინიც. ჩვენმა უკლონისტებმა დაუწყეს კრიტიკა იმ ნაციონალურ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ დღემდე ვატარებდით და რომლის წყალობითაც ჩვენ შევძელით ამიერ-კავკასიის მტკიცე ფედერაციის შექმნა, რომლის წყალობითაც შევძელით ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარება ამიერ-კავკასიაში და უზრუნველვყავით ჩვენი რესპუბლიკების თავისუფალი ნაციონალური განვითარება საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე.

ოპოზიცია ამბობს, რომ მთელი პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური მუშაობა იჟღინთება ნაციონალიზმით. ამის თქმა ძლიერ ადვილია, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ამ ატმოსფეროს სწამავდენ სწორედ უკლონისტები; მათ ავიწყდებათ, რომ მხოლოდ ჩვენი ორგანიზაციების სიმტკიცის წყალობით შევძელით ჩვენ ამ გადახრის დაძლევა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში, მხოლოდ ამით მივაღწიეთ იმ დიდ შედეგებს კულტურულ მშენებლობის დარგში და იმ ძმურ ურთიერთობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის, რომელსაც ადგილი აქვს დღეს.

გაიხსენეთ, იყო თუ არა ისეთი დრო რომ თურქს მეფის ან დაშნაკების რეჟიმის დროს ჰქონოდა საშუალება დამშვიდებულად ეცხოვრნა და ემუშავნა სომხეთში; განა იყო ისეთი დრო, როდესაც სომეხს შესძლებოდა დამშვიდებულად ეცხოვრნა აზერბეიჯანში მეფის ან მუსავატისტების რეჟიმის დროს. ასეთი დრო არ ყოფილა. რა მიღწევები გვაქვს ამ ათ წელში? ფედერაციის არსებობის წყალობით, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წყალობით, ამ რესპუბლიკებში ჩვენ ვხედავთ როგორც მშრომელ სომხების, ისე მშრომელ თურქების დამშვიდებულ ნორმალურ შრომას. ეს არის ოქტომბრის რევოლიუციის კოლოსალური გამარჯვება.

ფედერაციის საკითხის გადასინჯვა იქნებოდა სწორედ ის ფაქტორი, რომელიც ხელფეხს გაუხსნიდა ნაციონალისტების შოვინისტურ მისწრაფებებს. აი „ინტერნაციონალისტები"!

ტროცკიზმი—ოპოზიციის იდეური ჰეგემონი

რაში მდგომარეობს ოპოზიციის ბუნება? მე ვიმეორებ, რომ ამ გაერთიანებულ ოპოზიციაში მთავარ მომენტს წარმოადგენს ტროცკიზმი. ოქტომბრის პლენუმზე ეს განსაკუთრებით ნათლად სჩანდა. აქ ჩვენ ვერ ვხედავდით ვერც ზინოვიევს და ვერც კამენევს. ოქტომბრის პლენუმზე ცენტრალურ ფიგურას ოპოზიციაში წარმოადგენს ტროცკი. ტროცკი იყო ოპოზიციის ღმერთი, ოპოზიციის გენიოსი. ზინოვიევი და კამენევი მხოლოდ ხანდახან მოსჩანდენ, მხოლოდ ფეხებში ებანდებოდენ მას, ტროცკი კი ამ პლენუმზე ებრძოდა პარტიის ცეკას ისე, როგორც ბოლშევიზმის მთელ ისტორიაში ებრძოდა ლენინიზმს.,

რაში მდგომარეობს ტროცკიზმის ბუნება? ნება მიბოძეთ მე თქვენ წაგიკითხოთ ციტატა, მხოლოდ სტალინიდან კი არა. ოპოზიციას უყვარს ლაპარაკი, რომ ყველაფერში დამნაშავეა სტალინი. ზინოვიევი და კამენევი ამბობენ, რომ ყველაფერი ეს არის სტალინის საქმე.

მე მოგითხრობთ თქვენ ტროცკის შესახებ, მაგრამ ზინოვიევისა და კამენევის სიტყვებით. აი რას ამბობდენ ზინოვიევი და კამენევი ტროცკის შესახებ, როდესაც ისინი იყვენ ლენინელები. ახლა ისინი უკვე აღარ არიან ლენინელები, ვინაიდან ისინი ახლა ემხრობიან ტროცკის და არიან ტროცკისტები.

ოპორტუნიზმისა, გადაგვარებისა და მემარჯვენე გადახრის შესახებ 1924 წელში ამხ. ზინოვიევი ამბობდა: „ამხ. ლენინს მენშევიკებთან ბრძოლის დროს არაერთხელ და ორჯერ მიმართავდენ საყვედურით გადაგვარების შესახებ... ამ ხაზით ბრძოლა სწარმოებდა დიდხანს, როდესაც მენშევიკები ბრალსა სდებდენ ბოლშევიკებს, თითქოს ისინი განიცდიან ოპორტუნისტულ გადახრას წვრილი ბურჟუაზიის მხარეზე... მათი ნაწერებიდან იმავე დროს სიამოვნებით მოჰყავდა ციტატები სწორედ იმ ამხანაგებს (ტროცკის), რომელმაც ამჟამად ჩვენს ცეკას წამოუყენა ბრალდება გადაგვარებაში".

კიდევ.—„აქედან გამომდინარეობს ნამდვილი ჩვენს პარტიაში მემარჯვენე ფრთის შექმნის საშიშროება", ამბობდა ზინოვიევი იმავე 1924 წ. „ცდილობენ ასეთი ფრთის შექმნას საკავშირო კომპარტიაში და კომინტერნში. მთავარ ფიგურას ამ საქმეში წარმოადგენს ამხ. ტროცკი... ვისაც სურს დარჩეს ლენინიზმის პრინციპების ერთგული, მან მთელი თავისი ძალღონე უნდა შესწიროს პარტიას რათა პარტიამ შესძლოს ამ ტენდენციის დაძლევა... ისინი კი, ვინც ამხ. ტროცკის მსგავსად, არა თუ არ ეწინააღმდეგება ამ ტენდენციას, არამედ ხდება მის გამომხატველად... ისინი არიან ლენინიზმის მტრები".

კიდევ. „ამ ხაზით ბრძოლა სწარმოებდა დიდხანს, როდესაც მენშევიკები ჯერ კიდევ ორტოდოქსალურ მარქსისტების სამოსელში გამოდიოდენ და ბრალსა სდებდენ ბოლშევიზმს, თითქოს ის განიცდიდა წვრილბურჟუაზიულ გადახრას წვრილი ბურჟუაზიის მხარეზე. აი რატომ წარმოადგენდა ეს ბრალდება,—რამდენადაც მას ჰქონდა რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა,—მენშევიზმის რეციდივს: ის იმეორებდა იმ ძირითად ბრალდებებს ბოლშევიკების მიმართ, რომლებიც ჩვენ გვესმოდა ბოლშევიზმის ჩასახვის მომენტიდან". (ზინოვიევი, 1924 წ.).

მისი თანამებრძოლი ამხ. კამენევი კი 1924 წელში ამბობდა შემდეგს:

„ვლადიმერ ილიჩი თავის უკანასკნელ წერილებში, სწორედ იმ წერილებში, სადაც მან პირველად ახსენა ეს საძაგელი სიტყვა გათიშვის შესახებ, ამბობდა: მკურნალობა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიის ხელმძღვანელ ფენებს შემოვარტყათ ისეთი ნაცადი პროლეტარული კადრები, შემოვარტყათ ისეთი სალტე, რომელმაც საშუალება არ უნდა მისცეს ამ ხელმძღვანელ ფენებს ჰქონდეს რაიმე უცხო ტენდენციები. ამაზე იყო აგებული ვლადიმერ ილიჩის გეგმა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ".

ამჟამად კი ახალი ოპოზიცია ცენტრალურ საკონტროლო კომისიას უწოდებს „ფრაქციულ კეტს".

„ამხ. ტროცკი მთელ ამ წლების განმავლობაში იყო ჩვენს პარტიაში ყოველივე იმის გამომხატველი, რაც არ არის მტკიცე ბოლშევიკური. ამხ. ტროცკი, როგორც არაბოლშევიკურ განწყობილებათა გამომხატველი ვიწროდ გრძნობს თავს ძველი ლენინური ტაქტიკის ფარგლებში". (ზინოვიევი, 1924 წ.)

„ტროცკის არ ესმოდა რევოლიუციის კონკრეტული გზა ჩვენს ქვეყანაში... გლეხობის ნამდვილი მნიშვნელობა ჩვენს რევოლიუციაში მას ეს არ ესმის არც ახლა"... (ზინოვიევი). „ჩვენ რომ წავსულიყავით და გვემუშავნა ტროცკის თეორიის მიხედვით, მალე დავღუპავდით რევოლიუციას".(კამენევი).

„ტროცკიზმი იყო მხოლოდ მენშევიზმის აგენტურა, მენშევიზმის საფარი, მენშევიზმის ნიღაბი.

დაწყებული 1903 წლიდან, ე. ი. მენშევიზმის წარმოშობის მომენტიდან, მის საბოლოო გაკოტრებამდე 1917 წ. ტროცკი ასრულებდა მენშევიზმის აგენტის როლს მუშათა კლასის რიგებში. ეს ისეთი ფაქტია, რომლის შეთვისების გარეშე შეუძლებელია იმ როლის გაგება, რომელიც დათმობილი აქვს ტროცკის ლენინის ყველა თხზულებებში უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში". (კამენევი, 1924 წ.).

ეხლა კი კამენევს კავშირი აქვს მენშევიზმის ამ აგენტებთან.

„ისინი, ვინც ამხ. ტროცკის მსგავსად, არამც თუ ებრძვიან ამ ტენდენციას, არამედ ხდებიან მისი გამომხატველი, ვინც ებრძვის ლენინურ ცეკას, რომელიც ნათლად ხედავს საფრთხეს და ერკვევა რთულ პირობებში (როგორც ამხ. ლენინი გვასწავლიდა), ისინი ლენინიზმის მტრებია.

სურთ მათ ეს თუ არა—ეს სულ ერთია, შეგნებული აქვთ მათ ეს ნათლად, თუ არა—ესეც სულ ერთია. ფაქტები ფაქტებად რჩება" (ზინოვიევი—1924 წ.).

ეს ერთად ერთი სწორი და ბრძნული წინასწარმეტყველებაა ყველა თქვენი წინასწარმეტყველებიდან, ამხ. ზინოვიევო!

ნება მიბოძეთ ამხ. ზინოვიევს და კამენევს მივმართო მათივე სიტყვებით: „ფაქტები ფაქტებად რჩება, გსურთ თუ არა, მაგრამ თქვენ ტროცკისთან ერთად წადით ლენინის წინააღმდეგ და მით თქვენ ლენინიზმის მტრების რიგებში ჩადექით" (მქუხარე ტაში).

შეიძლებოდა ბევრი ასეთი ციტატების მოყვანა. მე მოვიყვანე ციტატები ზინოვიევისა და კამენევის ნაწერებიდან, შეიძლებოდა მათი დაუსრულებლად გაგრძელება.

ლენინი ტროცკის შესახებ

ამხ. ლენინი, ეკამათებოდა რა ტროცკის სხვადასხვა საკითხების შესახებ, ამბობდა:

„საკითხის ასე დაყენების შესაძლებლობაც კი იმის მაჩვენებელია, რომ არის რაღაც არაპარტიული ჩვენს პარტიაში".

„ტროცკი აწარმოებს ანტიპარტიულ პოლიტიკას, ის არღვევს პარტიულ ლეგალობას, ადგება ავანტიურისა და გათიშვის გზას".

„ადამიანებს, რომლებსაც, როგორც ტროცკის თავისი ბრჭყვიალა ფრაზებით სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შესახებ და თავისი მლიქვნელობით ლიკვიდატორების წინაშე, არაფერი აქვთ საერთო სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან, წარმოადგენენ „თანამედროვე ავადმყოფობას".

„ყველა, ვინც მხარს უჭერს ტროცკის ჯგუფს,—მხარს უჭერს სიცრუისა და მუშათა მოტყუების პოლიტიკას".

„მეტად დაბალი ხარისხის დიპლომატები".

„გაუგონარი ტრაბახობისა და შელამაზებული სიყალბის ასეთი თაიგული".

„მუშათა ახალგაზრდა თაობამ კარგად უნდა იცოდეს, ვისთანაც აქვს საქმე, როცა ადამიანები, რომლებიც ოდნავადაც არ უწევენ ანგარიშს არც პარტიის გადაწყვეტილებებს... არც რუსეთის ეხლანდელი მუშათა მოძრაობის გამოცდილებას საერთოდ,—გამოდიან მის წინაშე გაუგონარი მოთხოვნილებებით".

ამხ. ლენინის მიერ ტროცკის ასეთი შეფასების შემდეგ, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ტროცკი მივიდა ლენინთან და რომ ლენინი მხარს უჭერდა ტროცკის—სრული სიყალბე და ცილისწამებაა. თქვენ იცით, რომ ბრძოლა ლენინსა და ტროცკის შორის იწყება თვით ბოლშევიკური პარტიის აღმოცენების მომენტიდან. აიღეთ 1918 წ., აიღეთ 1920 წ., დისკუსია პროფკავშირების შესახებ 1923 წ., „ახალი კურსი", აიღეთ „ოქტომბრის გაკვეთილები"—და თქვენ დაინახავთ, რომ როგორც ოქტომბრის რევოლიუციამდე, ისე ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, ტროცკი გამოდის თავისი ტროცკიზმით ლენინიზმის წინააღმდეგ. ის ცდილობს შესცვალოს ლენინიზმი ტროცკიზმით.

ტროცკის არ მოსწონს ბოლშევიკური დისციპლინა

მაგრამ, რასაკვირველია, პარტიამ იცოდა რა მთელი ეს ისტორია, იცოდა რა ტროცკის ფასი, ითმენდა და ითმენს იქამდის, სანამ ახსოვს მისი დაპირება, რომ რახან პარტიამ უთხრა მას, რომ ის სცდება, ის მზად არის დაემორჩილოს პარტიას. მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ, ტროცკის არ სურს დაემორჩილოს პარტიას. მიუხედავათ იმისა, რომ მთელ რიგ ყრილობებმა კატეგორიული გადაწყვეტილება გამოიტანეს ამ საკითხზე, ტროცკი არ ემორჩილება პარტიას, არ ემორჩილება ლენინურ რკინის დისციპლინას, არ ემორჩილება პარტიის გადაწყვეტილებებს. მას სურს დისციპლინის შერყევა, ხოლო რას ნიშნავს დისციპლინის შერყევა, თქვენ მშვენივრათ იცით. თქვენ, წითელარმიელებს, გესმით, რომ ლენინური პარტიის არსებობა უდისციპლინოთ წარმოუდგენელია ისევე, როგორც წარმოუდგენელია წითელი არმიის და საერთოდ ყოველი არმიის არსებობა უდისციპლინოთ. ჩვენ წითელ არმიაში გვაქვს არა ჯოხის დისციპლინა, არამედ შეგნებული დისციპლინა. წითელ არმიელს ესმის, რომ ის უნდა დაემორჩილოს დისციპლინას, რომ ამაშია წითელი არმიის ძალა, ეს არის თავდები წითელი არმიის ძლიერების, თავდები ჩვენი კავშირის წარმატებით დაცვისა მტრებისაგან. ამ დისციპლინაზე არის დაფუძნებული წითელი არმიის მთელი ძალა. უდისციპლინოთ წარმოუდგენელია წითელი არმიის არსებობა, არც ერთი პატიოსანი და შეგნებული წითელ არმიელი არასოდეს არ გაილაშქრებს დისციპლინის წინააღმდეგ იმიტომ, რომ დისციპლინა მტკიცედ აკავშირებს ერთის მხრივ წითელ არმიელებს უფშემადგენლობასთან, ხოლო მეორეს მხრივ უფშემადგენლობას უფპოლიტშემადგენლობასთან. ეს არის ისეთი კავშირი, რომელიც მთლიანად, მონოლიტურათ და ურყევლათ ხდის ჩვენ წითელ არმიას.

სწორედ ასევე ჩვენს პარტიაში უნდა იქნეს დისციპლინა. თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტია შესდგება სხვადასხვა ფენებისაგან, მუშებისგან, მოსამსახურეებისგან, გლეხებისგან და სხვ., 4 კატეგორიისგან. თუ პარტიაში არ იქნება მტკიცე დისციპლინა, ჩვენი პარტია გადაიქცევა მოლაყბეთა პარტიათ, ისეთ პარტიათ, როგორიც იყო მენშევიკების და ესერების პარტიები. ასეთი პარტია პროლეტარიატის დიქტატურის დროს ვერ შეინარჩუნებს ძალა-უფლებას თავის ხელში. ჩვენი პარტია არასოდეს არ იქნება ასეთი. ჩვენ არ დაუშვებთ ჩვენი პარტიის რიგების დისციპლინარული შეკავშირების დარღვევას იმიტომ, რომ ეს იქნება ჩვენი აღსასრული.

ტყე, იაროსლავის სადგური და არალეგალური სტამბა—გვიჩვენებენ, რომ ოპოზიცია მზადაა დაარღვიოს არა მარტო პარტიული ლეგალობის ფარგლები, არამედ საბჭოთა ლეგალობის ფარგლებიც.

ოპოზიციის, ტროცკის მთელი ლაყბობა შინაპარტიულ დემოკრატიის ფეხ-ქვეშ გათელვის შესახებ, „აპარატჩიკების" და ბიუროკრატიზმის შესახებ მიმართულია იმისკენ, რომ შეარყიონ ლენინურ პარტიის დისციპლინა, განხეთქილება შეიტანონ პარტიაში, შექმნან ახალი, მეორე ტროცკისტული პარტია. ლენინური პარტია ამის უფლებას არავის მისცემს.

ეხლა მე შევეხები ეგრედწოდებულ ოპოზიციონურ წინასწარმეტყველებას და ოპოზიციონურ ცილისწამებას.

ოპოზიციონერთა წინასწარმეტყველება

ოპოზიცია ყოყოჩობს იმით, რომ, თითქოს, მას ესმის ისტორიის ნაბიჯები, ამხ. ზინოვიევმა ყური დაადო მიწას და გაიგონა, რომ კულაკი იზრდება. ამისთვის არ იყო საჭირო მიწაზე ყურის დადება, არამედ საჭირო იყო გადათვალიერება უბრალო ციფრების, თუ როგორ მიმდინარეობს ფენებათ დაყოფა სოფლად, როგორ ნაწილდება ნაციონალური შემოსავალი და ნაციონალური სიმდიდრე, როგორ იზრდება კულაკი, რა წონა აქვს მას და ის დაინახავდა, რომ კულაკის რამოდენიმეთ ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდება გლეხურ მეურნეობათა კოოპერაცია და კოლექტივიზაცია. ამისთვის სრულებით არ იყო საჭირო თავის შეწუხება და მიწაზე ყურის დადება.

ან ავიღოთ მეორე წინასწარმეტყველება ომის შესახებ. ზინოვიევი ამბობს: „გაზაფხულზე აუცილებლათ დაიწყება ომი". შემდეგ მან გაიგონა მიწიდან ჩურჩული: გაზაფხულზე, შეიძლება, ომი არ იქნეს, მაგრამ შემოდგომაზე აუცილებლად იქნება, იმიტომ, რომ ცეკას მთელი პოლიტიკა აჩქარებს ომის მოახლოვების პროცესს. გამოდის ასე, რომ ლენინურ ცეკას პოლიტიკა აჩქარებს ომის მოახლოვებას. მადლობა ღმერთს, კომუნისტურს, რასაკვირველია, (სიცილი), ეხლა ჩვენ უკვე უახლოვდებით ოქტომბრის 10 წლის თავს და ომი არა გვაქვს, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ომი არ იქნება? რასაკვირველია, არა. ომის საფრთხე არის ფაქტი, რომელიც მოწმობს, რომ ჩვენ ვიმყოფებით ეკონომიურ და ფინანსიურ გარემოცვაში იმპერიალისტურ სახელმწიფოების მხრივ. ფაქტია, რომ ჩინეთის რევოლიუციის დროებით დამარცხების შემდეგ ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტების აგრესიული მოქმედება საბჭოთა კავშირის მიმართ მნიშვნელოვნათ გაძლიერდა. ეს ფაქტია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჩვენ არავითარ პროვოკაციის ანკესზე არ ვეგებით.

ამგვარათ ოპოზიციის წინასწარმეტყველება ომისა და ყველა სხვა საგნების შესახებ არ გამართლდა; უკეთესი იქნებოდა, რომ მათ ამ საქმისათვის თავი დაენებებიათ, იმიტომ, რომ სერიოზული პოლიტიკოსები მისნობას არ ეწევიან, ისინი შეისწავლიან, ანალიზს გაუკეთებენ მდგომარეობას და ყველა პირობების გათვალისწინებით აკეთებენ ამა თუ იმ პოლიტიკურ და პრაქტიკულ დასკვნებს. სერიოზული პოლიტიკოსები ასეთ საქმეებს არასოდეს არ კიდებენ ხელს. ეს წინად ორაკულების საქმე იყო. ომის საკითხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იმიტომ, რომ ომის საკითხთან დაკავშირებულია ქვეყნის თავდაცვის საკითხი.

ტროცკი და კლემანსო

ვნახოთ, როგორი იყო ოპოზიციის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი,

ივლისის პლენუმმა ოპოზიციას პირდაპირ დაუსვა კითხვა: დაიცავთ თუ არა საბჭოთა კავშირს?

ვნახოთ, როგორ იცავენ ისინი საბჭოთა კავშირს; ამ ჩვენი ქვეყნის „საუკეთესო დამცველებმა" განაცხადეს შემდეგი: „მაგრამ ქვეყნის თავდაცვა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გავაკრიტიკოთ ცეკა და მისი შემცდარი პოლიტიკა. რომ ჩვენ არ შეგვიძლია მოვიქცეთ ისე, როგორც მოიქცა საფრანგეთში კლემანსო, როცა გერმანიის ჯარები პარიზიდან 80 ვერსის მანძილზე იმყოფებოდენ". როგორც მოიქცა კლემანსო? იმ დროს, როცა საფრანგეთში იყო უხერხემლო მთავრობა, რომელსაც არ ჰქონდა მტკიცე ხაზი და არ შეეძლო გამარჯვების უზრუნველყოფა, კლემანსო გამოვიდა მტკიცე პროგრამით და განაცხადა, რომ თუ არ ჩამოაგდებენ ამ მთავრობას და არ მიიღებენ მის მიერ წამოყენებულ პოლიტიკას საფრანგეთი დაიღუპება. მან შექმნა ისეთი განწყობილება, რომ მთავრობა შეცვლილ იქნა, თვითონ ის ჩაუდგა ხელისუფლებას სათავეში და საფრანგეთმა გაიმარჯვა.

რას ნიშნავს, როცა ამას ამბობს ტროცკი? ეს ნიშნავს, რომ კლემანსოს დაფნის გვირგვინი მას მოსვენებას არ აძლევს, რომ როცა იმპერიალისტების ჯარები კრემლიდან 80 ვერსის მანძილზე იქნებიან, მაშინ ჩვენ ჩამოგაგდებთ თქვენ და შემდეგ დავიცავთ ქვეყანას, ასეა ეს თუ არა? განა ამაში მდგომარეობს ქვეყნის დაცვა, განა შეიძლება ისეთი ექსპერიმენტების გამოყენება, რომლებსაც მიმართავენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში; განა შესაძლოა ასეთი ექსპერიმენტები ჩვენს ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში. ეს სამარცხვინოა ოპოზიციისათვის, ეს არის არა ლენინიზმის მეგობრების, არამედ მისი მტრების ლოღიკა

გადაგვარების საკითხი

ოპოზიცია შეიკრიბა დაიწყო მკითხაობა და დაინახა, რომ ლენინური ცეკა გადაგვარების გზაზე სდგას, იქცევა ტერმიდორიანული ელემენტათ, რომელიც ჩაახშობს ჩვენი რევოლიუციის რევოლიუციონურ ელემენტებს. საიდან აიღეს ყველაფერი ეს? თურმე ნუ იტყვით, სახალხო მეურნეობის ის ზრდა, რომელსაც ადგილი აქვს ამჟამად, ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს ოქტომბრის ათი წლის თავზე, ის დიადი წითელი არმია, რომელიც იცავს ჩვენს საბჭოთა ქვეყანას იმპერიალისტურ ქვეყნების თავდასხმისაგან,—ყველაფერი ეს, თურმე, არის ტერმიდორიანული გადაგვარების „ფაქტები", და ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩვენ, თურმე, პროლეტარიატის დიქტატურა კი არ გვქონია, არამედ ვყოფილვართ ტერმიდორიანელები და მუშათა კლასის და რევოლიუციის მოღალატენი.

აი როგორია სურათი, რომელსაც გვიხატავენ ოპოზიციონერები.

ამხანაგებო! თუ ჩვენ თავს დავანებებთ მკითხაობას, პირდაპირ შევხედავთ სინამდვილეს, დავინახავთ სრულიად სხვა სურათს, საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერების ზრდის სურათს პროლეტარიატის ენერგიულ შემოქმედებას, ღარიბ და საშუალო გლეხების კოოპერატიულად შეკავშირებას, უდიდეს მიღწევებს მუშაობის ყველა დარგებში. სადღა არის აქ ტერმიდორიანული გადაგვარება?

მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვხედავთ სულ სხვა რამეს: ყველაზე სახიფათო მომენტში, როცა მტერი ჩვენს წინააღმდეგ საომრად ემზადება, ამ დროს ოპოზიცია გვაბრალებს ჩვენ გადაგვარებას და ოქტომბრის ათი წლის თავზე გვიმზადებს განხეთქილებას.

ნება მომეცით ვიკითხო, ვინ გადაგვარდა? გადაგვარდა ოპოზიცია, გადაგვარდა წვრილ ბურჟუათ, რომელიც უკმაყოფილოა ცეკას პროლეტარულ ლენინურ პოლიტიკით და ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

ოპოზიციის სოციალური შემადგენლობა მოწმობს მის ასეთ გადაგვარებას ოპოზიციას ხშირად უყვარს ლაპარაკი პარტიის სოციალურ შემადგენლობის შესახებ და იმაზე, რომ ჩვენს პარტიაში მუშური ელემენტები ნელ-ნელა იზრდება. თუ თქვენ აიღებთ ოპოზიციის სოციალურ შემადგენლობას დაინახავთ, რომ თავის შემადგენლობით ოპოზიცია წარმოადგენს წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიას, რადგან მას 80 პროცენტი ჰყავს მოსამსახურეები და დანარჩენები, ხოლო მუშები მხოლოდ 12 პროცენტი. რას გვიჩვენებს ეს? ვინ გადაგვარდა? ოპოზიცია, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავს მუშების 12 პროცენტი, თუ ჩვენი პარტია, რომლის მთელი შემადგენლობის 57,5 პროცენტს წარმოადგენენ მუშები. ცხადია, რომ გადაგვარდა სწორეთ ჩვენი პარტიის ის ნაწილი, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავს წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების დიდი უმრავლესობა.

ოპოზიციის ცილისწამება სახ. პოლიტ. სამმართველოზე

რას სწერდა ოპოზიცია გაერთიანებულ სახელმწ. პოლიტ. სამმართველოსა და წითელი არმიის შესახებ. მე მოვიყვან ციტატებს ოპოზიციის „თხზულებებიდან". „სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს, საგანგებო კომისიის ამ მემკვიდრეს, კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში ხვდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ამოცანა და მან ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა; მაგრამ ამჟამად, საერთო ბიუროკრატიზაციის პირობებში, მისი მოღვაწეობაც კი სულ უფრო და უფრო სცილდება პროლეტარული რევოლიუციის დაცვის გზას. პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის ნაცვლად მისი მოღვაწეობა სულ უფრო და უფრო ღებულობს მუშების კანონიერ უკმაყოფილების წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათს, ხასიათს ბრძოლისას იმ უკმაყოფილების წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეულია ბიუროკრატიულ წვრილ-ბურჟუაზიულ გადამახინჯებებით; მისი მოღვაწეობა მიმართულია შინაპარტიულ ოპოზიციასთან საბრძოლველადაც კი".

ოპოზიციის აზრით — სახელმწ. პოლიტ. სამმართველო — რევოლიუციის დაცვის ორგანო —იქცევა იარაღად ტროცკისტულ ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად. განა შეიძლება ასეთი ცილისწამება სახელმწ. პოლიტ. სამმართველოზე, რომელსაც ოქტომბრის მეათე წლის თავზე მიუძღვის უდიდესი დამსახურება რევოლიუციის წინაშე; ეს ცილისწამება სასიხარულოა პროლეტარიატის ყველა მტრებისათვის.

განა ღირსეულად აფასებს ოპოზიცია პროლეტარიატის დიქტატურის ფხიზელი თვალის, კონტრ-რევოლიუციის რისხვას, მოღვაწეობას იმ უაღრესად საზეიმო და ამასთანავე მძიმე მომენტში, როდესაც სახელმწ. პოლიტ. სამმართველო არაჩვეულებრივი ერთგულებით, დაუღალავი ენერგიით, უდიდესი თავგანწირვით იცავს დიად პროლეტარულ სახელმწიფოს საზღვრებს კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულებისა, ტერორისტებისა და მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტებისაგან, რომლებიც სცდილობენ უხილავად შემოიპარონ საბჭოების ქვეყნის საზღვრებში

კარგ სიურპრიზს კი უძღვნის ოქტომბრის მეათე წლის თავისათვის ოპოზიცია ჩვენს სახელოვან სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს. არა ძვირფასო ამხანაგებო ოპოზიციიდან, ამ ცილისწამებას სახელმწ. პოლიტ. სამმართველოზე თქვენ არ გაპატიებთ ოქტომბრის ისტორია.

ვის შეიძლება დავდოთ ბრალი იმაში, რომ სამხედრო შეთქმულების აღმოჩენის დროს, კონტრ-რევოლიუციონერების კვალდაკვალ დევნის დროს, სახელმწ. პოლიტ. სამმართველო აწყდება ოპოზიციის არალეგალურ სტამბას.

ყველა იმათთვის, ვინც დაესწრო ოქტომბრის პლენუმს, უდავოდ ნათლად იყო ამხ. მენჟინსკის მიერ გამოქვეყნებულ საბუთებიდან, რომ ოპოზიციის ბრალდებები წარმოადგენს საზიზღარ, გაუგონარ ცილისწამებას სახელმწ. პოლიტ. სამმართველოზე.

ტროცკიზმი—ანტისაბჭოთა ელემენტების მედროშე

აგრეთვე ყველასათვის ნათელია იმ უფსკრულის სურათი, რომელშიაც ეშვება ოპოზიცია თავისი უგზურ ფრაქციული დაბრმავების გამო და ლამობს თან გადაიყოლიოს მთელი ჩვენი პარტიაც.

ტროცკიზმი როგორც ცეკას წინააღმდეგ წარმოებულ ოპოზიციონურ ბრძოლის დროშა, სცილდება საბჭ. ლეგალობის ფარგლებს და სდგას იმის საზღვარზე, რომ გადაიქცეს ყველა ანტისაბჭოთა ელემენტების, პროლეტარიატის ყველა მტრების, დროშად.

ასეთია ფრაქციულ ბრძოლის ლოღიკა; აქ არაფერს არ ნიშნავს ესა თუ ის სუბიექტიური სურვილები. ტროცკიზმი გარდაიქმნება წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის აჯანყებად ლენინიზმის წინააღმდეგ.

დღეს მე ამხ. მირზოიანმა მაცნობა ბაქოდან, რომ იქ ახლა აღმოჩენილია არალეგალური სტამბა, რომელშიაც იბეჭდებოდა ოპოზიციის არალეგალური დოკუმენტები. ორგანიზატორებმა—ოპოზიციონერებმა ეს საქმე მიანდვეს სამ უპარტიოს, კერძო დაწესებულებაში. როგორ ფიქრობთ თქვენ, შეიძლება თუ არა დამშვიდებით უცქიროთ, თუ როგორ ეხმარებიან უპარტიო ანტისაბჭოთა ელემენტები ჩვენს ოპოზიციონერებს ლენინის საქმის, პროლეტარიატის საქმის, კომუნიზმის საქმის დანგრევაში.

განა ადგილი აქვს პარტიის ასეთ წევრებს ლენინის პარტიის რიგებში, განა ადგილი აქვს საბჭოთა ქვეყანაში იმ ბურჟუაზიულ უპარტიო ინტელიგენტებს, რომლებიც გარს ეხვევიან ჩვენს ოპოზიციას?

ამხ. ა. ნაზარეტიანი

ოპოზიციის „საჩუქარი" წითელარმიას

არა ნაკლებ საზიზღარია, ამხანაგებო ოპოზიციის ცილისწამება წითელ არმიაზე „... განსაკუთრებით საშიშარი მდგომარეობა იქმნება წითელ არმიაში. მისი მეთაურთა შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი შესდგება ძველი ოფიცრებისა და გლეხობის კულაკურ ელემენტებისაგან. ეს ხდება მიუხედავათ იმისა, რომ პარტიული პროგრამა მოითხოვს სამხედრო ნაწილების „კლასიურ შეკავშირებას", „სამხედრო ნაწილების მჭიდრო კავშირს ფაბრიკებსა და ქარხნებთან, პროფესიონალურ კავშირებთან, სოფლის ღარიბ გლეხობის ორგანიზაციებთან" და „მეთაურთა შემადგენლობას, პირველ ხანებში მაინც უმცროს მეთაურთა შედგენას შეგნებულ მუშებისა და გლეხებისაგან". არამშრომელ ელემენტების მონაწილეობის შეზღუდვა ჯარში თან და თან უქმდება. ტერიტორიალურ ნაწილებში, განსაკუთრებით ცხენოსან ნაწილების შემადგენლობაში სჭარბობს შეძლებული გლეხობა, ქვედა საფეხურის მეთაურთა შემადგენლობაში კი, უმთავრესად — კულაკობა. რაც შეეხება პარტიულ —წითელ მეთაურებს, მათზე არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს პარტიის ბიუროკრატიზაციამ და მისი კავშირის შესუსტებამ მუშებთან. პროლეტარიატის გავლენა ჯარში სუსტდება. ასეთ პირობებში იბადება საფრთხე, რომ წითელი არმია შეიძლება გადაიქცეს მოხერხებულ იარაღად ბონაპარტისტული ყაიდის ავანტიურისათვის".

წითელ არმიაში ჩვენ ბევრი გვყავს გლეხები. მათ იციან, კულაკური ელემენტები არიან ისინი თუ არა. ასეთი ცილისწამება მუშურ - გლეხურ წითელ არმიაზე სცილდება მოთმინების ყოველგვარ ფარგლებს. ასეთი განცხადებებით წითელ არმიაში შუღლისა და არევ - დარევის შეტანა, წითელი არმიის ცალკე ნაწილებს შორის მტრობის დათესვა, წარმოადგენს რევოლიუციის გამცემლობას, ვინაიდან ასეთი მუშაობა მიმართულია წითელ არმის შიგნით დისციპლინის დარღვევისაკენ.

ამხ. ტროცკი არ გაემიჯნა საპრონოვის ჯგუფის ამ ცილისწამებიდან წითელ არმიის მიმართ. როდესაც ივლისის და ოქტომბრის პლენუმზე ოპოზიციას პირისპირ დაუსვეს კითხვა, იმიჯნება თუ არა ის საპრონოვშჩინისაგან, იმიჯნება თუ არა წითელი არმიისა და სახელმწ. პოლიტ-სამმართველოს წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამებისაგან მათი გადაგვარების შესახებ, —ოპოზიცია სდუმდა. პირიქით, უკანასკნელ პლენუმზე ოპოზიციამ გაიმეორა საპრონოვის ჯგუფის ყველა ცილისწამებები და ბრალდებები. ოქტომბრის რევოლიუციის სიამაყემ—წითელმა არმიამ ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავზე აგრეთვე მიიღო საჩუქარი ოპოზიციისაგან—მას ბრალი დასდეს ბონაპარტისტულ გადაგვარებაში.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხი

ცილისწამება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ. დაიწყეს ხმების გავრცელება იმის შესახებ, თითქოს ჩვენ წინააღმდეგი ვართ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის. რას უზამ ამ ხალხს,—თუნდაც ათასჯერ გამოდი და ილაპარაკე, რომ ჩვენ ვიცავთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ურყევ საფუძველს; ოპოზიციას არ შეუძლია მოიყვანოს არც ერთი ფაქტი, რომელიც ამტკიცებდეს ამ პრინციპის დარღვევას.

ამხ. ბუხარინმა პროფკავშირთა მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე განაცხადა, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია არის ერთ-ერთი ვეშაპი, რომელზედაც ეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება. ყოველგვარი ლაპარაკი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესუსტების ან ჩაშლის შესახებ შეიძლება აწარმოოს მხოლოდ მტერმა. აქედან დასკვნა:—აშკარაა, რომ ოპოზიცია იმნაირადვე სტყუის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში, როგორც სტყუის ის წითელი არმიისა და სახელმწიფო პოლიტ. სამმართველოს შესახებ.

ორი პარტიის არსებობას არ დავუშვებთ

ორიოდე სიტყვა ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის და მეორე პარტიის ჩანასახის შესახებ.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ გვქონდა საკმარისი ფაქტები, საბუთები და მასალები, რომელნიც მოწმობენ, რომ ოპოზიციის მუშაობა ორგანიზაციულად და პოლიტიკურად მიმართულია იქითკენ, რომ იგი აყალიბებს ახალ პარტიას.

ამ პარტიის ჩანასახი უკვე აშკარადა გვაქვს. ოპოზიციას აქვს თავისი ტეხნიკური აპარატი, რომელიც ამრავლებს და ავრცელებს ადგილებზე ანტიპარტიულ დოკუმენტებს, მას აქვს თავისი რაიონული და ადგილობრივი ორგანიზაციები, თავისი შინა-ფრაქ. დისციპლინა, თავისი კონსპირატიული კავშირი და სხვა. ეს არის ელემენტები არა მარტო ფრაქციულობის, არამედ ისეთი ელემენტებიც, რომელნიც აყალიბებენ ახალ პარტიას.

მაშასადამე, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შესახებ და, მათ შორის, ფრაქციულობის ელემენტების შესახებ, ჩვენ ამით აღვნიშნავთ არსებობას დამოუკიდებელი ორგანიზმისა, რომელიც ჩვენი პარტიის შიგნით მუშაობს, მუშაობს ჩვენი პარტიის ნებადაურთველად ჩვენი პარტიის ზურგს უკან, ჩვენი პარტიისაგან კონსპირატიულად, ჩვენი პარტიის გარეშე.

აქედან დასკვნა: ოპოზიცია უკვე თავის ჩანასახში წარმოადგენს ახალ პარტიას. რას ნიშნავს ახალი პარტია ჩვენს პირობებში?.. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ილიჩი სცნობდა მხოლოდ ერთად-ერთ პარტიას, კომუნისტურ პარტიას, ლენინის პარტიას. ყოველი სხვა პარტია იქნებოდა ლენინის პარტიასთან მებრძოლი პარტია. რა საჭიროა მეორე პარტია, თუ კი იგი არ იბრძოლებს ჩვენი ქვეყნის ძირითად, მთავარ პარტიასთან.

ყოველი მეორე პარტია ჩვენს ქვეყანაში აუცილებლად უნდა იქნეს მტრულად განწყობილი პარტია, რომელიც ებრძვის ლენინის პარტიას. აქედან დასკვნა: ოპოზიცია, რომელიც ახალ პარტიად ყალიბდება, წარმოადგენს ლენინის პარტიისადმი,—საკ. კომპარტიისადმი მტრულად განწყობილ პარტიას.

როგორია დასკვნა? ჩვენ მეორე პარტიის ორგანიზაციას არ დავუშვებთ. ლენინის პარტიისადმი მტრულად განწყობილ ყოველგვარ პარტიას ჩვენ შევებრძოლებით ყოველგვარი საშუალებებით, რომელიც ჩვენს პარტიას მოეპოება. (ტაში).

არავის შეუძლია ირიცხებოდეს ერთ და იმავე დროს ორ პარტიაში. იმ ამხანაგებს, რომელნიც ფიქრობენ, რომ შეიძლება ლენინის პარტიას ოპოზიციაში უდგე და ამავე დროს იმავე პარტიის წევრი იყვე, ასეთ ამხანაგებს ლენინის პარტიის რიგებში ადგილი არა აქვს. (ტაში).

მე-15 პარტიული ყრილობა, უეჭველია, მათ მიუჩენს თავის ადგილს.

როგორ ვეპყრობით ჩვენ ოპოზიციას მთელი ამ ხნის განმავლობაში? თქვენ იცით, რომ პარტიის ცეკას შეიძლება ბრალად დაედოს მეტისმეტი მოთმინება ოპოზიციის მიმართ. (ხმები: მართალია,—მართალია.) უკანასკნელ ხანებში ყველა ორგანიზაციები აღნიშნავდენ ამას და დაჟინებით მოითხოვდენ, რათა ცეკას წესრიგისა და პასუხისმგებლობისაკენ მოეწოდებია ოპოზიციის ბელადები. ცეკამ არა ერთხელ სცადა ჩიხიდან გამოეყვანა წრეგადასული ამხანაგები. რამდენიმეჯერ ოპოზიციამ დაპირება და ფიცი მისცა პარტიას, რომ იგი შეწყვეტდა ფრაქციულ ბრძოლას, მოსპობდა ფრაქციულობის ელემენტებს, დაშლიდა ფრაქციას. მიუხედავათ ამისა, ოპოზიციამ არა თუ შეასრულა დაკისრებული სიტყვა, პირიქით, ყოველი განცხადების შემდეგ, იგი უფრო მეტი ენერგიით და უფრო ფართედ აძლიერებდა ფრაქციულ მუშაობას და ბოლოს ისე დაქანდა, რომ მოაწყო არალეგალური სტამბა ბურჟუაზიული ინტელიგენტების დახმარებით.

თუ კი პარტიის ცეკა აქამდე ითმენდა ოპოზიციის ასეთ მუშაობას, ოქტომბრის პლენუმზე იგი ვალდებული იყო კიდევ ერთხელ ეცადა გონზე მოეყვანა ოპოზიცია—ცეკას შემადგენლობიდან ოპოზიციის ორი ბელადის ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვით. ეს გამორიცხვა, ვიმეორებ, წარმოადგენს პარტიის ცეკას უკანასკნელ ცდას გადაარჩინოს გზააბნეული ამხანაგები, მოიყვანოს ისინი გონზე და ნათლად შეაგნებინოს, რომ გზა, რომელზედაც ისინი შესდგენ, არის გზა განხეთქილებისა და მუშათა კლასის ღალატისა რომ თუ ისინი ამ გზას არ აცდებიან, ყრილობა ეტყვს მათ: „თქვენ ადგილი არა გაქვთ ლენინელებს შორის, მიდით მათთან, ვინც სამხედრო სიურპრიზებს გვიმზადებს ოქტომბრის ათი წლის თავისათვის, მიდით ჩვენ მტრებთან და მათთან ერად სცადეთ შეტევა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ და მაშინ თქვენ, იგემებთ ჩვენი პროლეტარიატის ძალასა და სიმტკიცეს, ჩვენი პარტიის, ჩვენი წითელი არმიის ძლიერებას და სიმტკიცეს. (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო, ჩვენ უნდა გავაათკეცოთ ჩვენი ენერგია და ძალა სოციალისტურ მშენებლობის საქმეში, ჩვენ უნდა შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები ფოლადის ერთეულად, არ დავუშვათ არავითარი რყევა ლენინის რიგებში, ხელი შევუწყოთ ჩვენი რიგების ფოლადის დისციპლინას, მუდამ გვახსოვდეს, რომ დისციპლინასა და გამძლეობაშია ჩვენი საბოლოო გამარჯვების საწინდარი. (მქუხარე ტაში).

კავკ. წ. დ. არმიის მეექვსე პარტკონფერენცია

მეშვიდე სხდომა

პირველ ნოემბერს საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა კავკ. წითელ დროშოვან არმიის პარტკომისიის ანგარიში. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. გუბინმა.

ჩვენი არმიის მეხუთე პარტკონფერენციაზე,—ამბობს მომხსენებელი, ჩვენ დავისახეთ განსაზღვრული ამოცანები ს. კ. პ. (ბ) მე-14-ე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით—სახელდობრ: პარტიაში პროლეტარული ბირთვის გადიდება, დეტალური შერჩევა ყველა სოციალურ ფენებიდან პარტიაში შემსვლელთა და დიფერენციული მიდგომა გლეხებისადმი.

საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, თუ როგორი სოციალური შემადგენლობის იყო წ. არმია მაშინ, როდესაც დავისახეთ ეს ამოცანები. მთელ არმიაში მაშინ გვყავდა მუშების დაახლოვებით 16,1 პროცენტი, გლეხების 76 პროცენტი, მოსამსახურეთა და სხვების 7,9 პროცენტი. საანგარიშო წლის განმავლობაში პარტიაში მიღებულია არმიაში მყოფ მუშების 5 პროცენტი, გლეხები—2,5 პროცენტი, მოსამსახურეები და სხ.—3 პროცენტი. ამრიგათ ჩვენ ვხედავთ, რომ მიღებულთა შორის მუშათა პროცენტი სჭარბობს. ცალკე დივიზიების ციფრები მოწმობენ, რომ ჩვენ ამ ხაზს მტკიცეთ და ურყევათ ვატარებთ. ეხლა, როდესაც 1904 წ. დაბადებულ ახალწვეულებმა გაატარეს ყაზარმაში ერთი წელი, ეს შემადგენლობა იწყებს აქტიურ მუშაობას და იკრიბება ჩვენი უჯრედების გარშემო. ზოგჯერ აქვს ადგილი არანორმალურ შემთხვევებსაც. პარტიაში ღებულობენ იმათ, ვინც კი „მოადგება" უჯრედის კარებს. თვით წითელ არმიელთა საუკეთესო ნაწილის დაახლოვებას კი ნაკლები ყურადღება ექცევა. ჩვენმა პარტორგანიზაციებმა ამ გარემოებას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო შინაპარტიულ მდგომარეობაზე არმიის ორგანიზაციებში. ოპოზიციონერები ჩვენ გვყავს მხოლოდ 4 კაცი. ჩვენი პარტორგანიზაციები ოპოზიციის ანტიპარტიულ გამოსვლებს გადაწყვეტით უპასუხებენ. ოპოზიციის მომხრეთა ცდები, გაავრცელებიათ თავიანთი შეხედულებანი წითელ არმიელთა შორის მიუღწეველია. მე ვფიქრობ, რომ მართალი არიან ის ამხანაგები, რომლებიც გამოვიდენ ამხ. ნაზარეტიანის მოხსენების გარშემო და მოითხოვდენ ოპოზიციის სრულ იზოლიაციას ჩვენს რიგებიდან. ჩვენი პარტკომისიის უკანასკნელი პლენუმიც ამავე დასკვნამდი მივიდა.

მერვე სხდომა

2 ნოემბერს დილის სხდომაზე იწყება კამათი ამხ. გუბინის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. უსიპოვმა, ზიმინსა, ანტონოვმა, ტროცკიმ, გურგენიანმა, ანთაძემ და სხვებმა. ამხანაგები უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ: პარტიაში მისაღებთა კანდიდატების ჯეროვან შესწავლას, პარტიაში შემსვლელთა რეკომენდაციას, კომკავშირიდან პარტიაში გადარიცხვას, კანდიდატთა რიცხვის შემცირებას, პარტდავალებათა სწორ განაწილებას, კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაძლიერებას, პარტკრებების დღის წესრიგების მომზადების აუცილებლობას და სხვა. ზემოაღნიშნულ საკითხებზე ამხანაგები სახავდენ სათანადო გზებს. კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. გუბინი, რომელმაც სხვათა შორის ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „მომავალში პარტკომისია თავის მუშაობას სარჩულათ დაუდებს ყველა იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომელიც წამოაყენა კონფერენციამ".

პარტკომისიის მუშაობა კონფერენციამ ერთხმად მოიწონა. პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლათ კონფერენციამ აირჩია 7 კაცის შემადგენლობით სპეციალური კომისია. ამხ. გუბინის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ლევანდოვსკის მოხსენება, რომლის გამოსვლას კონფერენცია მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

მეცხრე სხდომა

2 ნოემბერს საღამოს სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. ვასილიევი.

იწყება კამათი ამხ. ლევანდოვსკის მოხსენების გარშემო. გამოდიან ამხ. ელიჩევი, ქურიძე, აფაკიანი, პავერმანი, საკიბი, ფუნტოვი, ბაგინი, ტროცკი, ხლოვსკი და სხვები.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ლევანდოვსკი შეეხო იმ საკითხებზე, რომელნიც წამოყენებულ იქნა ადგილებზე მომუშავე ამხანაგების მიერ. შეეხო ნაციონალურ ნაწილების უზრუნველყოფას ენების მცოდნე მეთაურთა შემადგენლობით, ეს შესაძლებელია დაძლეულ იქნეს ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლის და ამიერ-კავკასიის მოსამზადებელი სკოლის საშუალებით სადაც იზრდებიან ყველა ეროვნებათა წარმომადგენლები

გაუკეთა, რა ყველა ზემოხსენებულს ჯამი, ამხ. ლევანდოვსკი ამბობს: ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენი ბრძოლის უნარიანობის ზრდას და წითელი არმიის პოლიტიკური შეგნების განმტკიცებას, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენი არმიის წინმსვლელობისა.

საბოლოო სიტყვის შემდეგ —კონფერენციამ ამხ. ლევანდოვსკის მოხსენება მიიღო ცნობათ და აირჩია კომისია 11 კაცის შემადგენლობით; პრაქტიკულ წინადადებათა შესამუშავებლად. ამით დამთავრდა მე-9-ე სხდომა.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მასები გმობენ პარტიის გამთიშველებს

ამხ. ტროცკის სახელობის ქარხნის მუშების ხმა

მოსკოვი, 2 ნოემბერი. ბაუმანის რაიონის კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სწორად სთვლის ცეკას პოლიტიკურ ხაზს და სავსებით იწონებს მის მუშაობას.

ზამოსკვორეჩიეს რაიონის კონფერენციაზე დიდი სიტყვით გამოვიდა მუშა ქალი იანსონი.

„ოპოზიცია დარწმუნებულია — განაცხადა მან,—რომ თუ ის მასას აუხსნის საქმის გარემოებას და გადაგვიყვანს „სიმართლეს", მუშები მხარს დაუჭერენ მას. ვიტყვი ჩვენ ფაბრიკის შესახებ. ის ატარებს ოპოზიციის ბელადის ტროცკის სახელს. ფაბრიკის მუშები ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს აუცილებლად სთვლიან. უპარტიო მუშები საკუთარი ინიციატივით აყენებენ საკითხს ფაბრიკისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ".

მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც კონფერენცია სავსებით იწონებს ცეკას პოლიტიკურ და საორგანიზაციო მუშაობას. (ადს).

ცეკას ხაზის დასაცავად

მოსკოვი, 2 ნოემბერი. სტალინოში, დონის როსტოვში, ნიკოლაევში, ხარკოვში, მინსკში, ხაბაროვსკში და სიმფეროპოლში შემდგარი პარტკონფერენციები სავსებით იწონებენ ცეკას და ცენტრ. საკონტ. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებას ცეკას შემადგენლობიდან ზინოვიევისა და ტროცკის გამორიცხვის შესახებ და ერთსულოვნად გმობენ ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას (ადს).

რაიონული პარტკონფერენციები

ლენინგრადის სამხედრო ოლქის კონფერენცია

ლენინგრადი, 2 ნოემბერი. 1 ნოემბერს წითელი არმიის და ფლოტის სახლში გაიხსნა ლენინგრადის სამხედრო ოლქის ნაწილების და ბალტიის ზღვის საზღვაო ძალების პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ ერთხმად მიიღო მისალმება საკავშირო კომპარტიის ცეკას, გუბკომის, „პრავდა"-ს და ამხ. ვოროშილოვისადმი.

„დიდი კმაყოფილებით—ნათქვამია ცეკასადმი მისალმებაში—აღვნიშნავთ, რომ მეთოთხმეტე ყრილობის შემდეგ ცეკას ლენინურ ხელმძღვანელობის ქვეშ განმტკიცდა მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, განმტკიცდა პროლეტარიატის დიქტატურა და გაძლიერდა სოციალისტური აღმშენებლობა. ვესალმებით ბრძოლას ლიკვიდატორთა, პარტდისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეხუთმეტე ყრილობაზე პარტია მივა მთლიანი, გააძევებს რა თავის რიგებიდან ოპოზიციონერ გამთიშველებს". (ადს).

რაიონული პარტკონფ. მოსკოვში

მოსკოვი, 2 ნოემბერი. რაიონული პარტკონფერენციები კვლავ გრძელდება. კრასნოპრესნის პარტკონფერენციაზე ამხ. **უგლანოვმა** თავის მოხსენებაში დაახასიათა სახალხო მეურნეობის განვითარება. მან ციფრებით დაამტკიცა სოციალისტური სექტორის ზრდა. მოხსენება მოსკოვის საკონტრ. კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. **მოროზმა,** რომელმაც განაცხადა, რომ ოპოზიცია მოსკოვის საკონტრ. კომისიას უსაყვედურებს, რომ მან პარტიიდან გამორიცხა ბევრი წევრები. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ერთ წლის განმავლობაში სულ გამორიცხულ იქნა 41 კაცი, რაიც მოსკოვის ორგანიზაციის 130.000 წევრზე უმნიშვნელო რაოდენობას წარმოადგენს. (ადს).

პარტიიდან გამორიცხვა

აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრ. სა-კონტ. კომისიის დადგენილება პარტიიდან სამოტოევის გამორიცხვის შესახებ

ბაქო, 2 ნოემბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა, განიხილა ამხ. სამოტოევის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ იგი ინახავდა და ავრცელებდა აკრძალულ ოპოზიციონურ ლიტერატურას და ამასთანავე სარგებლობდა უპარტიოთა დახმარებით. აზერბეიჯანის კომპარტიის საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა გამოარკვია, რომ პარტიის წევრი ამხ. სამოტოევი იღებდა ოპოზიციონურ ლიტერატურას და აწვდიდა მას გასავრცელებლად უპარტიო ბალასანოვს, ქვაბების სახელოსნოს ყოფილ მეპატრონეს — შინა-მრეწველ - მელითონეთა კომიტეტის საერთო განყოფილების გამგეს. ამხ. სამოტოევის მიერ მიღებულ მასალებს ბეჭდავდა უპარტიო მემანქანე ქალი კოზაჩკოვა - სარქისოვა. ყველიფე ეს კეთდებოდა შინამრეწველთა კომიტეტის ადგილკომის თავმჯდომარის ჯევანშიროვის (ყოფილი მესაკუთრე, ეხლა მექანიკური ქარხნის მოიჯარადე) ნებართვით, რომლის საწერ მაგიდის უჯრაში ინახებოდა დაბეჭდილი ლიტერატურის ეგზემპლიარები, და აგრეთვე შინამრეწველთა კომიტეტის გამგეობის მდივნის ვიტელსის (მექანიკური სახელოსნოს პატრონი) ნებართვით. დაბეჭდილი მასალის შინაარსს იცნობდენ ძველი რიგი უპარტიო თანამშრომლები — შინამრეწველთა კომიტეტის წევრები.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა: **ნიკოლოზ ივანეს ძე სამოტოევი,** აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრი 1917 წლიდან, მელითონეთა კავშირის ქარხკომის თავმჯდომარე, უპარტიოებთან ერთად დეზორგანიზატორული ფრაქციული მუშაობისათვის გამორიცხულ იქნას აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) რიგებიდან.

ახალციხის პარტორგანიზაცია ოპოზიციის შესახებ

ახალციხე, 1 ნოემბერი. 29 ოქტომბერს ახალციხეში შესდგა საერთო საქალაქო პარტიული კრება № ლეგიონის, სანაპირო რაზმის და სამოსწავლო ლეგიონის პარტორგანიზაციებთან ერთად.

სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ცხაძემ გააცნო კრებას საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილება ამხ. ტროცკის და ზინოვიევის ცეკადან გამორიცხვის შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრ. საკ. კომისიის დადგენილება ხუთი ოპოზიციონერის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

კრებამ მოისმინა აგრეთვე ცენტრ. საკონტრ. კომისიის რწმუნებულის ამხ. კოშკინის მოკლე მოხსენება ახალციხის ოპოზიციონერების კიკაჩეიშვილის, ნუცუბიძის, ხარაბაძის და მაჭარაძის ფრაქციონულ მუშაობის შესახებ. კრებაზე გამოსულმა კიკაჩეიშვილმა და მაჭარაძემ მიმართეს უხეშ დემაგოგიას, რის გამო მათ კრებამ სიტყვა წაართვა.

მიღებულ რეზოლუციაში კრება მთლიანად და სავსებით იწონებს გადაწყვეტილებას ამხ. ტროცკის და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ და საქ. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისიის დადგენილებას. ქართულ ოპოზიციის 5 „ბელადის" პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. კრება მოითხოვს კიკაჩეიშვილის, ნუცუბიძის, ხარაბაძის და მაჭარაძის გამორიცხვას პარტიიდან.

ბაქოს მე-17-ე პარტკონფერენცია

1-ლი ნოემბრის საღამოს სხდომა

პოლიტიკურ ჟულიკობის კიდევ ერთი ფაქტი

კონფერენციის საღამოს სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია კონკრეტიულ ღონისძიებათა შესამუშავებლად ბაქოს კომიტეტის ანგარიშის გამო.

შემდეგ დელეგატების სახელით წარმოდგენილ იქნა რეზოლუცია საკავშირო კომპარტიის ცეკას ანგარიშის გამო.

რეზოლუციის პროექტის ტექსტის წაკითხვის შემდეგ კონფერენციას მოულოდნელად უდგინენ კონტრ - რეზოლუციას. ეს კონტრ - რეზოლუცია შემოაქვს ხანბუდაგოვს, რომელიც კონფერენციის დელეგატი გახდა მოტყუებით. კონფერენცია უდიდესი აღშფოთებით შეხვდა ამ გამოსვლას. ხანბუდაგოვს, რომელიც კონფერენციაზე და უჯრედების კრებებზე ყოველთვის გამოდიოდა ოპოზიციის წინააღმდეგ, და პარტიისაგან მალავდა თავის ნამდვილ შეხედულებებს, კონფერენციამ სამართლიანად უწოდა მას პოლიტიკური ჟულიკი და მატყუარა. მის რეზოლუციას ხმა მისცა მხოლოდ თვითონ მან.

კონფერენციამ, ხანბუდაგოვის გამოკლებით, ერთხმად მოიწონა საკავშ. კომპ. (ბ) ცეკას მუშაობა.

კონფერენციაზე კვლავ მოდიან უპარტიო მუშათა დელეგატები; ამასთანავე უკანასკნელ დღეებში დელეგაციების მოსვლა კონფერენციაზე მასიურ ხასიათს იღებს. დელეგაციები მოდიან ყველა რაიონებიდან და ქარხნებიდან.

კონფერენციის დაესწრო უპარტიო მუშათა 16 დელეგაცია. დღეს მათი რიცხვი გაიზარდა. ყველა დელეგაციები აცხადებენ, რომ ოპოზიციის ფრაქციული მუშაობით აღშფოთებულია არა მარტო პარტია, არამედ უპარტიო მასებიც. უპარტიო მუშები ყოველთვის მზად არიან პარტიის პირველი მოწოდებისთანავე დადგენ ლენინიზმის დასაცავად პარტიის ყველა მტრებისაგან (ადს).

სოხუმის პარტკონფერენცია

სოხუმი, 2 ნოემბერი. თანამოხსენებით კომკავშირის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ კონფერენციაზე გამოვიდა აფხაზეთის ორგანიზაციის მდივანი ამხ. **ვარდანია.**

ერთი წლის განმავლობაში—როგორც ითქვა მოხსენებაში—ორგანიზაცია გაიზარდა 837 კაცით. ეს ზრდა ხდებოდა უმეტესად ღარიბების ხარჯზე. აქტივი იზრდება, მაგრამ ზრდის ტემპი 7 პროცენტით ჩამორჩება კომკავშირელების და პარტიულ კადრის მოთხოვნილებებს. პარტიული ხელმძღვანელობა მაზრებში ნაკლებ შენიშნავია, ქალაქებში—დამაკმაყოფილებელია. სასოფლო საბჭოებში ითვლება 400 კომკავშირელი, შარშან კი ითვლებოდა 160. კომკავშირლები კოლექტიურად ხნავენ მიწებს, აკეთებენ ხიდებს, გზებს, აწარმოებენ სკოლების შეკეთებას. ჯავშნი ყოველგან გატარებულია. ქალაქელ კომკავშირლების 60 პროცენტი ჩაბმულია ქიმიურ მრეწველობისა და თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოებებში. სოხუმში არსებობს 500 კომკავშირლებისაგან შემდგარი ბატალიონი. კომკავშირლების რიგებში ოპოზიციამ ვერ ჰპოვა გამოძახილი. კომკავშირის საოლქო კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა სოხუმის აქტივის მონაწილეობით ერთხმად გაკიცხა ოპოზიცია. (ადს).

ლენრაიონის პარტაქტივის კრებაზე

2 ნოემბერს, პლეხანოვის სახელობის კლუბში—შეიკრიბა ლენრაიონის პარტაქტივი. ცეკასა და ცენ. საკ. კომ. ოქტომბრის პლენუმის შედეგებზე და ამხ. რიკოვის და მოლოტოვის მოხსენებათა თეზისების შესახებ—მოხსენებით გამოვიდა ამხ. მ. ელიავა. მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

ამხ. არ. ოქუაშვილი

პირველათ გამოვიდა ამხ. არ. ოქუაშვილი, რომელმაც გაიმეორა ოპოზიციის ჩვეულებრივი წვრილ-ბაჭილი და გაილაშქრა საკავშირო ცეკას მანიფესტის წინააღმდეგ. ოქუაშვილს, რომელიც გაიძახოდა, ოპოზიციას არ აძლევენ ლაპარაკის უფლებასო, დრო კიდევ გაუგრძელეს. მაგრამ რაკი სალაპარაკო არაფერი ჰქონდა მთელი აუდიტორიის სიცილის ქვეშ მიატოვა ტრიბუნა.

ამხ. ზაზაბუიკო

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენი ოპოზიცია შინაპარტიულ საკითხებს ანდობს თავის მუშაობას მნიშვნელოვან დროის. ამხ. ელიავაც დღეს მხოლოდ ამ საკითხებზე გველაპარაკება. კმარა ამდენი უსაქმო ლაპარაკი და დროის დაკარგვა. მუშებს კარგათ ესმით ოპოზიციის „შემარცხენე" ჩხირ-კედლობის ფასი. მუშები მათ პროვოკაციაზე არ წამოეგებიან.

ამხ. განიმანი

ოპოზიცია ათასგვარ ჭორებს ავრცელებს და ცდილობს მოატყუოს მუშები, მაგრამ ის ვერ მოახერხებს ამას. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ მე-15 პარტყრილობისაგან—ძირშივე აღკვეთოს ოპოზიცია—ბოლო მოუღოს მათ გამთიშველ მუშაობას.

ამხ. რუხაძე

პროლეტარიატმა დიდი ბრძოლების შემდეგ მოიპოვა ხელისუფლება. რას ნიშნავს ოპოზიციის დეზორგანიზატორული მოქმედება? ის ძირს უთხრის საბჭოთა ხელისუფლებას. მისი ბრძოლა არაფრით განსხვავდება ჩვენი საერთო მტრების ბრძოლიდან. ასეთ პარტიის წევრებს არა აქვთ ადგილი ჩვენს პარტიაში.

ამხ. ფარლამოვი

მე დელეგატათ ვიყავი თბილისის პარტკონფერენციაზე და მოვისმინე ადგილობრივ ოპოზიციას, რომელთაც კონკრეტიულად არაფერი სთქვეს. წინათ მე თვითონ ვიყავ ოპოზიციაში, მაგრამ, როდესაც დავინახე, რომ მე ავადმყოფ წრეში ვიმყოფებოდი—გამოვედი პარტიის უმრავლესობის რიგებში (ტაში). ამხ. არაქელი გამოვიდა და შეეცადა ოპოზიციის მოქმედების გამართლებას, ჩვენ უნდა უთხრათ ამხ. არაქელს, რომ მასაც და ბევრ სხვა პარტიის წევრებს, ვიტყვით მადლობას წარსული მოღვაწეობისათვის, მხოლოდ პასუხს მოვთხოვთ ახალი შეცდომებისათვის.

ამხ. ჩიხრაძე

აღნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს, და ამბობს, ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობას უნდა ბოლო მოუღოს მე-15 პარტყრილობამ.

ამხ. ლელაშვილი

მოითხოვს მე-15 პარტყრილობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები ტროცკისტულ ოპოზიციის მოსასპობად, რომ მოგვეცეს საშუალება—დრო არ დავკარგოთ ერთ და იმავე საკითხებზე განხილვაზე და შევუდგეთ საქმიან მუშაობას. შემდეგ ილაპარაკეს: ამხ. არეშიძემ, მეჩიტაიშვილმა, ბურცევმა, არაბიძემ და ხუბულურმა. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდენ ოპოზიციის გამთიშველ მუშაობის დაუშვებლობას და ყველა ერთხმად მოითხოვდა მე-15 პარტ. ყრილობის მიერ ოპოზიციის ძირში აღმოფხვრას. ამხ. ელიავას საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობის გამკიცხავი რეზოლუცია.

მე-2-ე რაიონის პარტაქტივის თათბირი

გუშინ, საღამოს 6 საათზე შესდგა მეორე რაიონის პარტ-აქტივის თათბირი, რომელზედაც დაესწრენ უჯრედების ბიუროს წევრები, პარტ-ორგანიზატორები, აგიტ-პროპორგანიზატორები და საუჯრედო კომისიის წევრები.

თათბირმა მოისმინა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. საკ. კომ. ოქტომბრის პლენუმის შედეგებზე

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში გამოვიდენ ამხ. ამხ. კორნიევი, ფარჯანაძე, კვანტალიანი, ევსტიგნეევი, გრიგორიანი, ნასარიძე და ჩიხლაძე. მოკამათენი აღნიშნავდენ, რომ პლენუმის მიერ ამხ. ზინოვიევის და ტროცკის გამორიცხვა ცეკას შემადგენლობიდან, სავსებით სწორია და მოითხოვდენ უმაღლეს პარტ. ორგანიზაციების მიერ მომავალშიც უსასტიკეს ზომების მიღებას ოპოზიციონერ-დეზორგანიზატორების მოქმედების წინააღმდეგ.

დასასრულს ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც დაგმობილია ოპოზიციის მუშაობა და გამოთქმულია კრების სურვილი, რომ პარტიამ დაუზოგავი ბრძოლა აწარმოოს ლენინური გვარდიის გამთიშველთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

თავდაცვისათვის—ოქტომბრის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის

(კავალერიის ინსპექტორის და სამხედ.-რევ. საბჭოს წევრის ამხ. ს. ბუდიონის წერილი)

საერთაშორისო მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში თანდათან რთულდება. ომის საშიშროება გვიახლოვდება მძიმე, შავი ღრუბლებივით და ჩვენც მზად უნდა ვიყუვეთ ყოველ წამს პასუხი გავსცეთ მათ, ვინც მოისურვებს დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა.

უმთავრესი ამოცანა, რომლისკენაც უნდა იქნეს მიმართული ყურადღება ყველა მშრომელების, ყველა მშენებლების. უდიდესი, სოციალისტური ციხე - სიმაგრის — საბჭოთა კავშირისა — არის წითელ არმიის და ფლოტის განმტკიცება. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა აღმოფხვრილ იქნეს ყოველგვარი „პსიქოლოგიური გულგრილობა", იმედი, რომ „ყველაფერი თავისთავად მოგვარდება". არ შეიძლება დამყარება იმაზე, რომ „აბა გაბედონ! კუდით ქვას ვასროლიებთ", ან „ბურჟუაზიას ხელები მოკლე აქვს".

ჩვენ გარსშემორტყმული ვართ მტრებით. ეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ. ვლადიმერ ილიჩი ყოველთვის ამბობდა, რომ კაპიტალისტებისათვის ხელსაყრელია თავდასხმა არა პირდაპირ, არამედ მალულად. ლენინი ამბობდა: „ეხლა წამოჭრილია ჩვენს წინაშე ახალი საფრთხე, რომელიც ჯერ მთლიანად არ სჩანს, რომელსაც მალულად ამზადებენ ინგლის - საფრანგეთის იმპერიალისტები, რომელიც ჩვენ უნდა შევითვისოთ, ნათლად, რომ ამით მოვამზადოთ მასები, რადგან ინგლისელებს და ფრანგებს არც ციმბირში, არც არხანგელსკში არ უსარგებლიათ წარმატებით, არამედ ისინი აქ დამარცხდენ. მაგრამ ეხლა ისინი ემზადებიან იმისთვის, რომ თავს დაგვესხან სამხრეთიდან, ან შავი ზღვით, ან დარდანელით, ან კიდევ ბულგარეთის და რუმინეთის მხრით". შემდეგ: „რადგან ეს ხალხი მოქმედებს სამხედრო საიდუმლოებათა დაცვით, ჩვენ არ შეგვიძლიან ვიცოდეთ, თუ რამდენათ მომზადებულია მათი ლაშქრობა და რომელი გეგმით იხელმძღვანელებენ. შეიძლება მათ ჰქონდეთ მესამე გეგმაც, საფრთხე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ ვიცით, არაფერი დანამდვილებით. მაგრამ, ჩვენ დანამდვილებით, სრული სისწორით ვიცით, რომ თავდასხმა მზადდება".

აი რატომ, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის ზეიმზე, ორგანიზაციულად შეკავშირებულმა მშრომელთა რიგებმა თავის დროშებზე უნდა მოქარგონ ლოზუნგები: „ყველა მშრომელი საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის". „გავაძლიეროთ წითელი არმია — ოქტომბრის დამცველი".

უეჭველია, წითელი არმიის გაძლიერებასთან ერთად ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რამდენათაც ძლიერი იქნება ჩვენი მეურნეობა, რამდენათაც იგი იქნება ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული, იმდენათ გაუძნელდებათ იმპერიალისტებს თავისი ზრახვების განხორციელება. აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ფაბრიკა - ქარხნებში წარმოებულ უნდა იქნეს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლათ, განმტკიცებულ უნდა იქნეს სასოფლო მეურნეობა, მშრომელთ უნდა მიეცეს იაფი საქონელი, გაძლიერებულ უნდა იქნეს კოოპერაცია.

მეტადრე ეხლა, როდესაც იმპერიალისტური სახელმწიფოები სცდილობენ ჩვენი ვაჭრობის ჩაშლას, როდესაც ინგლისელი შუბლმაგრები სცდილობენ ფინანსიურ ბლოკადის შექმნას, ეხლა, როგორც არასოდეს, ჩვენ უნდა ვეცადოთ შევამციროთ ყოველი მეტი, ზედნადები ხარჯები, ვაწარმოოთ ბრძოლა უსასტიკეს მომჭირნეობის რეჟიმისთვის.

პასუხად იმპერიალისტების მზადებაზე თავდასხმისათვის ჩვენ უნდა ფრთხილად ვიდგეთ სადარაჯოზე. ჩვენ უნდა გავაასკეცოთ აქტიობა სამეურნეო ფრონტზე.

დეე დაიხსომოს ბურჟუაზიამ და მისმა დამქაშებმა, მათ რიცხვში სოციალისტ - გამცემლებმა, რომ ფართე მშრომელთა მასები არ დაუშვებენ, რომ ძველ ადგილებზე დაბრუნდხენ მემამულეები და კაპიტალისტები, რომ „განათლებულმა" იმპერიალისტებმა აღადგინონ ჩვენში ძველი, ბურჟუაზიული წესწყობილება.

ინტერვენციის წინააღმდეგ, ახალი ომის წინააღმდეგ, საბჭოთა სოციალისტურ კავშირის დასაცავათ, სოციალისტურ აღმშენებლობის გასამტკიცებლად — აი მთავარი ლოზუნგები, რომლებიც დღეს წამოყენებული არიან თვით ცხოვრების მიერ.

С. Буденный

ქიმიური ომი

„ქიმიური ომის" დასაწყისი ითვლება 1915 წლის 22 აპრილიდან, როდესაც გერმანელებმა დასავლეთ ფრონტზე პირველად გამოიყენეს გაზების იერიში, გაუშვეს რა ბალონებიდან მოწამლულ გაზის ქლორის ტალღები, რომლებიც ქარმა წაიღო ფრანგების სანგრებისაკენ.

შემდეგ, სხვადასხვა ხასიათის მოწამლულ გაზების გამოგონებით, ქიმიამ დაიკავა საპატიო ადგილი სამხედრო ხელოვნებაში და დღეს იგი ითვლება ერთ-ერთ ძლიერ ძალად ბრძოლის დროს.

ავიაციის განვითარებამ თავისი მხრივ ძლიერ წასწია წინ ქიმის როლი, ვინაიდან ავიაციის საშუალებით შეიძლება დაზიანება მოწამლული გაზებით როგორც მებრძოლ და მაშველ ჯარის, ისე მშვიდობიან მოსახლეობისა.

ქიმიური თავდასხმა მრავალ გვარია:

არტილერიით ქიმიური ჭუმბარების სროლა ხდება ისევე, როგორც ჩვეულებრივი ჭუმბარების გასროლა, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ქიმიური ჭუმბარა სავსეა საწამლავი ნივთიერებით, ქიმიური ომის ეს სახე გამოიყენება მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დასახიანებლად.

გაზის ღრუბელი

[illegible] თავდასხმა წარმოადგენს ყველაზე უფრო ნაცად საშუალებას „ქიმიური ომის" დროს. ავიაციის საშუალებით შესაძლებელია გადატანილ იქნენ საწამლავ ნივთიერებათ სავსე ჭუმბარები იმ მიზნებზე, რომლებიც წარმოადგენენ მოწინააღმდეგისათვის საყურადღებო ნიშანს, ასეთებია: რკინის გზები, სამრეწველო რაიონები და საერთოდ ისეთი ადგილები, რომლების დაზიანებითაც შესაძლებელია შეფერხდეს სახელმწიფოს ნორმალური ცხოვრება. ავიაქიმიური თავდასხმის დროს თვითმფრინავები დაეშვებიან რა თავს რომელიმე ადგილს, დაუშვებენ ზევიდან ჭუმბარებს, რომლებშიაც მოთავსებულია მოწამლული გაზები, ავიაქიმიური თავდასხმა გამოიყენება ცოცხალი ძალის დასაზიანებლად, მიდამოების მოსაწამლავად, რითაც შეიძლება შეფერხებულ იქნეს ჯარების მოძრაობა და გადაყვან-გადმოყვანა.

აირბალონიანი იერიში გამოიყენება როგორც პოზიციურ, ისე აღლუმიან ომის დროს. ამ იერიშის მიზანია რაც შეიძლება ვრცელი მიდამოს მოწამვლა, იგი ხდება შემდეგნაირად დაახლოებით ერთ კილომეტრის მანძილზე ეწყობა 2000—5000 ბალონი. ამ ბალონებიდან გამოიშვება მოწამლული გაზი, რომელსაც შეუძლია შეიჭრას 30 კილომეტრზე. აირბალონიან იერიშს აქვს უპირატესობა იმ მხრივ, რომ სწამლავს დიდ მიდამოს, მაგრამ იგი ამავე დროს სავსებით დამოკიდებულია ამინდზე და ადგილმდებარეობაზე, რაც ზღუდავს მის წარმატებით გამოყენებას.



ბალონი და „ქიმიური სათქელი"

იერიშისათვის გამოიყენებიან აგრეთვე ე. წ. „ხანთლები", რომლებიც წარმოადგენენ დიდი ზომის ქილებს და სკომლებში დაცულია მოწამლული ბოლი.

აირმფრქვევი წარმატებით გამოიყენება ცოცხალი მიზნის დასაზიანებლად. იგი მდგომარეობს იმაში, რომ განსაკუთრებულ ქიმიურ მტყორცნელების საშუალებით სწრაფად შეიძლება გავსულ იქნეს მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ ან პოზიციისაკენ მოწამლული გაზების დიდი რაოდენობა. სროლა ხდება ელექტრონის საშუალებით, რაც ანიჭებს აირმფრქვევებს დიდ ძალას.

ხელით და თოფით სასროლი ქიმიური ჭუმბარები გამოიყენებიან ახლო მანძილზე ცოცხალი ძალის დასაზიანებლად. ასეთი ჭუმბარების წონა არ აღემატება 1 კილოგრამს. მათი წარმატებით გამოყენება შეიძლება დასახლებულ ადგილის იერიშის დროს.



აირმფრქვევთა ბატარეა

აქ ჩამოთვლილ საშუალებებს გარდა არის კიდევ სხვა მრავალი თავდასხმის საშუალებები. ქიმიურ თავდასხმის საშუალებებს აქვთ თავისი ხმარების ტაქტიკა და პირობები. ქიმიურ თავდასხმისათვის მნიშვნელობას წარმოადგენს მეტეოროლოგიური პირობები, სახელდობრ: ქარის მიმართულება და მისი ძალა, ღრუბლიანობა, წვიმა, სინესტე და სხვა. ქიმიურ თავდასხმისათვის საუკეთესო პირობად ითვლება კარგი ამინდი, ქარის მიმართულება მტრისაკენ, გათენების ხანა და ქარის ძალა ორიდან ოთხ მეტრამდე წუთში.

ნ. გამრეკლიძე.

წითელი არმიის სახლი

ქუთაისის გარნიზონში

ქუთაისის გარნიზონი არა ნაკლებ მნიშვნელოვან გარნიზონს წარმოადგენს სხვებთან შედარებით თავის სამხედრო ნაწილების რაოდენობით. მიუხედავათ ამისა, გარნიზონის მასშტაბით არ არსებობს ისეთი კლუბი, რომელიც გააერთიანებს ნაწილების უფპოლიტ და წითელ-არმიელთა შემადგენლობას და დაეხმარება მას კულტურულ პოლიტიკურ დონის ამაღლებაში.

წელს დაისვა საკითხი წითელი არმიის სახლის დაარსების შესახებ. ამ საქმისათვის ფულადი დახმარება გაიღო არმიამ და ადგილობრივი ხელისუფლებაც ძლიერ გვეხმარება ბინის მოწყობის მხრივ. წითელი არმიის სახლის მოწყობა ძლიერ დიდი ინტერესს იწვევს გარნიზონის უფპოლიტ და წითელ-არმიელთა შემადგენლობაში.

წითელი არმიის სახლთან მოეწყობა თეატრი და კინო, პოლიტმუშავის კაბინეტი, წრეების სამეცნიერო ოთახები, დასასვენებელი ოთახი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საჩვენებელი ლენინის ოთახი, გასართობი და დასასვენებელი ოთახები: ბილიარდით, ჭადრაკით, ნარდით, დომინოთი და სამხედრო პოლიტიკურ სათამაშოებით; სასპორტო დარბაზი, სადაც იქნება ტირი, დაიდგმება სავარჯიშო იარაღები და კალათ-ბურთის შტანგები; თვითმოქმედ ორგანიზაციების კუთხეები და სხვა.

ყოველივე ზემოდაღნიშნული დარგები წითელ-არმიის სახლში უზრუნველჰყოფს ფართე მასების მიზიდვას არა მარტო სამხედრო ნაწილებიდან, არამედ მუშათა ორგანიზაციებიდანაც, ამით ჩვენ გვექნება საშუალება ვაწარმოოთ გაცხოველებული მუშაობა მოქალაქეთა გასამხედროების დარგში.

ხ. გეგია.

სამხედრო ქრონიკა

ახალი შევსება

წითელი ჯარის ნაწილები მიიღებენ ახალწვეულ წითელ არმიელებს მიმდინარე წლის ნოემბრის 15-დან. პირველ ხანებში ახალწვეულნი მოთავსებულ იქნებიან კარანტინში, შემდეგ გადავლენ საცხოვრებლად ყაზარმაში.

წვევამდე მზადება

მიმდინარე წელს წვევამდე სამხედრო მზადებაზე გაწვეული იქნებიან მხოლოდ 1906 წელს დაბადებული ახალგაზრდები.

რადიო. ყაზარმაში.

№ ქართ. მსრ. დივიზიების ყველა ნაწილებში ოქტომბრის დღესასწაულისათვის ეწყობა რადიო-მიმღებები.

ახალი სამხედრო კუთხე

ძიმითის თემში (გურია) გრძელვადიან შვებულებაში მყოფ წითელ არმიელმა გ. მორჩილაძემ თავისი ინიციატივით ქოხ-სამკითხველოსთან მოაწყო სამხედრო კუთხე, კუთხის საზეიმო გახსნა მოხდება ოქტომბრის დღეებში.

წვევამდე უმაღლესი მზადება

განათლების სახ. კომისარიატმა და სამხედრო სასწავლებლების სამმართველომ დაუგზავნეს ყველა უმაღლეს სასწავლებლებს მიმართვა წვევამდე უმაღლესი მზადების საქმის მოგვარების შესახებ.

წვევამდე მზადება უკვე შეტანილია სასწავლებლების სამეცადინო პროგრამაში. მზადებისათვის გამოყოფილ არიან სამხედრო ხელმძღვანელები. მზადების დროს მთავარი ყურადღება მიქცეული იქნება სტუდენტების ფიზიკურად გაკაჟებას.

საბჭოთა საქართველო

მესაქონლეთა კოოპერატივი „მეჯოგე"

ქ. ახალსენაკი

დასავლეთ საქართველოს მესაქონლეთა კოოპერატიულ ამხ. „მეჯოგემ" ა. წ. იანვრიდან გააფართოვა თავისი მოქმედება. გამგეობას პირველ ხანებში ძნელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ მისმა ინტენსიურმა მუშაობამ სასურველი შედეგები მოგვცა: ორგანიზაცია ჩამოყალიბდა წმინდა კოოპერატიულად, მიღებულ იქნა წევრად „სოფლის კავშირში", ხოლო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მისცა 5.000 მანეთი გრძელვადიანი სესხი საბრუნავ საშუალებათა გასაძლიერებლად.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში „მეჯოგემ" გახსნა ხორცით სავაჭრო, სადაც კარგი ღირსების ხორცი იყიდება გირვანქა 22 კაპ. ამით „მეჯოგემ" ხელთ იგდო ინიციატივა ხორცზე ფასის დაკლების და მოწესრიგების.

მეორეს მხრივ ის დიდ სამსახურს გაუწევს მესაქონლეთ საკლავი საქონლის რეალიზაციის საქმეში, სადაც ისინი დაზღვეულნი არიან საქონლის გაყიდვის დროს კერძო პირის ყოველგვარ მახინაციებისაგან. „მეჯოგე" ზაფხულში აწარმოებდა აგრეთვე ყველის ოპერაციებს და სათანადოთ შეკვეცა ფრთები კერძო ჩარჩების სპეკულიაციას.

აღსანიშნავია, რომ „მეჯოგეს" გამგეობამ თავის მოქმედებაში თავიდანვე სწორი ხაზი აიღო: მიუხედავად უსახსრობისა პირველი იერიში მან მიიტანა ათეულ წლობით დამკვიდრებულ სპეკულიანტებზე და ამ ბრძოლიდან ის გამარჯვებული გამოვიდა.

ამის შემდეგ კი საჭიროა „მეჯოგეს" სერიოზული ყურადღება მიაქციოს ხელისუფლებამ და სასოფლო სამეურნეო ბანკმა, მისთვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენით. არ კმარა მარტო 5.000 მანეთი. საჭიროა მას მიეცეს მოზრდილი სესხები მესაქონლეობის დარგში ფართოდ სამუშაოდ.

ა. ლ.

ს. შინდისი, თბილისის მაზრა

მეტი ყურადღება სწავლის საქმეს

მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისიდან შინდისის შრომის სკოლაში (კოჯრის თემი) გავხსენით მეოთხე ჯგუფი, რომელიც შესდგება ოცი კაცისაგან. ცნობა ჯგუფის დამტკიცების შესახებ ეცნობა განათლების განყოფილებას თემ-სკოლების გამგის საშუალებით, ხოლო განათლების განყოფილებამ თავის მხრივ დააყენა კითხვა საბიუჯეტო სექციაში.

როგორც გამოირკვა საბიუჯეტო სექციას უარი უყვია მეოთხე ჯგუფის დასაფარავი ხარჯების ბიუჯეტში შეტანაზე, რაც არასასურველი მოვლენაა.

დიდ ბელადის ლენინის ანდერძი იყო: „მეტი ყურადღება სწავლასო" და როგორც სჩანს ერთი ჯგუფის ხარჯების გადადება საძნელოდ გახდომია საბიუჯეტო სექციას და ისიც ისეთ სოფელში, რომელიც ძალზე ჩამორჩენილია. დღემდის შინდისის გლეხობა გაურბოდა სკოლაში ბავშვების გამოგზავნას, მაგრამ მასწავლებელთა დიდი მეცადინეობის გამო გლეხობას სასწავლებელი შევაყვარეთ. წელს IV ჯგუფში მოგროვდა 72 მოწაფე. მოვინდომეთ პარალელური ჯგუფის გახსნა, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, პარალელურ ჯგუფს კი არა, მეოთხე ჯგუფის ხარჯების შეტანაც გასაჭირი ყოფილა ბიუჯეტში. რადგან დავრწმუნდით პარალელური ჯგუფის გაუხსნელობაში, იძულებული გავხდით სკოლის გარეთ დაგვეტოვებია 40 მოწაფეზე მეტი. რაც შეეხება მეოთხე ჯგუფს, ამაში მაინც სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ აუცილებლად გაიხსნებოდა. რადგან თბილისის მაზრის არც ერთ სკოლაში არ მოიპოვებოდა იმდენი მოწაფე რამდენიც აქ.

ამიტომ ამ საქმეს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერარს და შინდისში გაიხსნას მეოთხე ჯგუფი. რადგან ეს არ გამოიწვევს დიდ ხარჯებს.

ბ. წყლისპირელი.

მორწყვის საქმე გარე-კახეთში

გარე-კახეთი [illegible] არ არის მდინარეებით, თუ [illegible] არ მივიღებთ ზოგიერთ სოფლებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს მხარე მაინც განიცდის სარწყავი არხების ნაკლებობას.

რა არის ამის მიზეზი? გაყვანილი არხები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, გარდა ამისა ზოგიერთ ადგილებში წყლით სარგებლობა დღესაც მოუწესრიგებელია და არხებიც უმწეო მდგომარეობაშია. არ არის სულ აღნუსხული მიწის რაოდენობა, რომელიც უნდა მოირწყას ამა თუ იმ არხის საშუალებით, არხებში გროვდება ნალექი. რის გამოც ეს უკანასკნელნი ვიწროვდებიან.

ზოგიერთი ნაკლი ადგილებზე სამელიორაციო საზოგადოებებმა უკვე გამოასწორეს, მაგრამ ამ დარგში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

საჭიროა სამელიორაციო საკითხების მოსაგვარებლად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ გაიღოს გრძელვადიანი სესხი.

გიგა.

წერილებიდან

ფოცხოს თემი, სენაკის მაზრა

ზომები სიმშილობის ასაცილებლად

წელს ფოცხოს თემში მოსავლის ძალიან ნაკლებობაა. თემის მოსავალს შეადგენს მხოლოდ სიმინდი. მართალია, აქ მევენახეობაც ასე თუ ისე გავრცელებულია, მაგრამ მცხოვრებთა უმთავრესი წყარო სიმინდია. სიმინდი კი წელს ძალიან ნაკლებია, ასევეა ღვინის მოსავალიც, რასაკ თემ-აღმასკომმა მიაქცია ყურადღება და გადასწყვიტა მცხოვრებთა მიერ დათესილ იქნეს ხორბლეულობა, ხორბლეულობის თესლი კი მცხოვრებთ უნდა მიაწოდოს აღმასკომმა ხელსაყრელ ფასებში.

ეს ნაბიჯი საუკეთესოა და მცხოვრებნიც შეასრულებენ მას, მხოლოდ საჭიროა რაიაგრონომმა ნიადაგის დამუშავების და ხორბლეულის დათესვის წინ მისცეს გლეხობას ახსნა - განმარტება, ვინაიდან ხორბლეულის მეურნეობას ჩვენში გლეხობა ნაკლებადაა გაცნობილი.

ალ. მოხაშელი.

ბაბუშერის თემი, აფხაზეთი

ვაშენებთ სკოლის შენობას

ბაბუშერის თემის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება ქართული შვიდწლედის შენობის ასაგებად. ამისათვის თემმა მიმართა დრანდის მეთამბაქოეთა კავშირს მიეცათ თემისათვის სესხი სკოლის ასაშენებლად, სანამ მიმდინარე წლის თამბაქოს მოსავალი იქნებოდა შეტანილი გასანაღდებლად კავშირში.

კავშირის გამგეობამ დაუთმო ბაბუშერის საზოგადოებას 9 ათასი მანეთი, რითაც შეძენილ იქნა საშენი მასალა და დაიქირავეს მშენებლები. შენობის აგება დამთავრდება ახლო ხანში.

ვ. ლიპარტია.

სოფლის ქრონიკა

— **კლუბი.** სოფ. ყვიშში (თელავის მაზრა) შეუდგენ ახალი კლუბის აგებას.

— **ავიაქიმის** საზოგადოებამ ახალციხეში მოაწყო სხვადასხვა სახის სასროლო სავარჯიშოები.

— **კურორტი.** ჯავაში შეუდგენ კურორტის აშენებას, რომელიც მზად იქნება მომავალი წლისათვის.

— **მანდარინა.** ბათომში შემოვიდა ახალი მანდარინი. ყუთი ფასობს 8 მან.

— **ხე-ტყის ქარხანა.** თელავში ახლო ხანში გაიხსნება ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

— **ქოხ-სამკითხველო.** გარეთ უბანში (გორის მაზრა) ნოემბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება ქოხ-სამკითხველო.

— **სესხი.** ლეჩხუმის მაზრაში დღემდე გასაღდა ინდუსტრიალიზაციის სესხის 10,000 მან. ობლიგაცია.

— **ხიდი.** შორაპნის აღმასკომი შეუდგა მდ. ძირულაზე ხიდის აგებას.

მუშათა ცხოვრება

საყურადღებო ნაკლი

ფაბრიკა-ქარხნების სამუშაო ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფა, ერთი მთავარი საშუალებათაგანია სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისა. თუ ქარხანა უზრუნველყოფილია საწარმოო იარაღით, თუ იგი აკმაყოფილებს სამუშაოს მოთხოვნილებას, მაშინ მუშა უფრო ხალისიანად და ინტენსიურად მუშაობს და სცდილობს რაც შეიძლება მეტი და საუკეთესო ხარისხის მასალა დამზადოს.

ამ მხრივ ჩვენი საწარმოო დარგები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. ფაბრიკა-ქარხნებში აწყობენ ახალ დაზგებს, აფართოებენ სამუშაო მოედნებს და ასეთი საშუალებით აუმჯობესებენ მუშების სამუშაო პირობებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა ისეთი ხელსაწყო-იარაღები, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება ჩვენ და რომლის მოწყობაც ქარხანაში დამოკიდებულია საერთოდ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, არამედ ისეთი იარაღები, რომლებიც მოგვეპოვება მაგრამ ზოგიერთ წარმოებას მაინც არა აქვს, რის გამო ფერხდება წარმოების საქმიანობა.

საქმე იმაშია, რომ ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში ამჟამად ყოველგვარი მუშაობა ნაჭრის მიხედვით მიმდინარეობს. მუშა დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მასალა დაამზადოს და მეტი ხელფასი აიღოს, მაგრამ მასალის დროზე დამზადებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ზოგიერთ ქარხანაში და განსაკუთრებით კი ლითონტრესტის ქარხნებში, ყველა მუშას არ მოეპოვება თავისი საკუთარი დაზგა. ამიტომ ხშირად ერთ რომელიმე დაზგასთან [illegible] იარიან მუშები და საათობით ელოდებიან დაზგის განთავისუფლებას. ასეთივე მდგომარეობაა რკინისგზის მთავარ სახელოსნოს სხვადასხვა საამქროებში და ტყავის მრეწველობის ტრესტის ქარხნებში. ეს გარემოება ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას და ჰქმნის აუარებელ ზედმეტ ხარჯებს.

ფაბრიკა-ქარხნებში უმთავრესათ სახერხი მანქანებითა და დაზგებით განიცდიან ნაკლებობას. ასეთები კი ჩვენ აუარებელი მოგვეპოვება.

სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მას და მიიღონ ზომები ფაბრიკა-ქარხნების სამუშაო ხელსაწყო იარაღებით უზრუნველსაყოფად.

ნ.

ცუღლუტი თანამშრომელი

(აღმასკომის საყურადღებოდ)

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების ბუხჰალტერიაში მსახურობს ახალგაზრდა ქალი ვინმე ანდრიევა; რომელიც ცუღლუტობის მეტს არაფერს აკეთებს. სამუშაო დროს ის კერძო ლაპარაკში და სიცილში ატარებს. ამას წინად მასთან შევიდა უქსის ინსპექტორი ამხ. ოგანოვი, ცნობის მისაღებად. ამ დროს ანდრიევა ემასლაათებოდა ერთ ახალგაზრდა ვაჟს და იყო ერთ სიცილ-ხარხარში. ამხ. ოგანოვი იძულებული იყო მოეცადა 10—15 წუთი, სანამ ანდრიევა გაათავებდა კერძო ლაპარაკს თავს და მისცემდა მას საჭირო ცნობებს.

გარდა ამისა მოქ. ანდრიევა ხშირად ტელეფონითაც აწარმოებს ხანგრძლივ და კერძო ხასიათის ლაპარაკს. 26 ოქტომბერს მოქ. ანდრიევა, ადგილკომიდან მთელი ერთი საათი არშიყობდა ტელეფონით, რის გამო გარდა იმისა, რომ თითონ სცდებოდა სამუშაოს, აცდენდა მასთან მოლაპარაკესაც და ადგილკომის მდივანსაც ხელს უშლიდა მუშაობაში. ეს ხდება მაშინ, როდესაც პატიოსანი და ერთგული მომუშავენი თვეობით უცდიან სამუშაოს. ანდრიევებისთანა ცუღლუტები კი ტყუილ უბრალოდ აცდენენ ადგილს და ხელსაც უშლიან დაწესებულების საქმიანობის წესიერ მსვლელობას.

ვინ მოსთხოვს პასუხს ანდრიევას.

თანამშრომელი.

საქართველოს სახ. მეურნეობის დინამიკა

II. მრეწველობა

საქართველო არაა სამრეწველო ქვეყანა. აქ მხოლოდ ეხლა ეყრება საძირკველი მრეწველობას. მეფის მთავრობა გაურბოდა განაპირა ქვეყნებში მრეწველობის განვითარებას. ის ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა ორი მოსაზრებით. პირველი მოსაზრება იყო ეკონომიური ხასიათის: დამუშავებითი მრეწველობის განვითარება განაპირა ქვეყნებში დაუკარგავდა ბაზარს რუსეთის ბურჟუაზიას, რომელსაც მფარველობდა მეფის მთავრობა. მეორე მოსაზრება იყო პოლიტიკური ხასიათის: სამრეწველო კერები კიდევ უფრო გააძლიერებდა რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელიც ძლიერი იყო განაპირა ქვეყნებში, ვინაიდან უკანასკნელები საერთო ჩაგვრასთან ერთად განიცდიდენ აგრეთვე ეროვნულ ჩაგვრასაც.

აქედან, რუსეთის ბურჟუაზიას წინეთ გაჰქონდა უმთავრესად ნედლეული და ამოღებითი მრეწველობის პროდუქცია. სამაგიეროთ შემოჰქონდა ფაბრიკატები.

მრეწველობის განვითარება მტკიცე საფუძველი ეყრება ჩვენში მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

ცენზიანი მრეწველობის მთავარი მაჩვენებლები ამ უკანასკნელ წლებში ასეთ სურათს იძლევიან:

საერთო პროდუქციის ღირებულება (ათას. მან.)

მრეწველობის კატეგორიები	1924—25 წ.	1925—26 წ.	1926—27 წ. (9 თვე)
1 ამოღებითი მრეწველობა.			
სახელმწიფო	3.186	4.839	3.923
კოოპერატიული	—	—	—
კერძო და საკონცესიო	4.272	5.496	2.046
სულ	7.458	10.335	5.969
2. დამუშავებითი მრეწვ.			
სახელმწიფო	26.137	32.839	29.595
კოოპერატიული	3.161	3.677	2.893
კერძო	1.081	1.564	991
სულ	30.379	44.080	33.479

მრეწველობის კატეგორიები	1924—25 წ.	1925—26 წ.	1926—27 წ. (9 თვე)
მთლიანი ცენზიანი მრეწველობა			
სახელმწიფოებრივი	29.323	43.678	33.518
კოოპერატიული	3.161	3.677	2.893
კერძო და საკონცესიო	5.353	7.060	3.037
სულ	37.837	54.415	39.448
მათ შორის:			
განსაზ. სექტორი	32.484	47.355	36.411
არა განსაზოგ. სექტორი	5.353	7.060	3.037

მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მასში ჩაბმული მუშა-ხელის რიცხვიც. განსაზოგადოებულ სექტორში მუშა-ხელის რაოდენობა უდრიდა:

1924—25 წ. — 9.909, 1925—26 წ. —10.583, ხოლო 1926—27 წ.—11.244. არა - განსაზოგადოებულ სექტორში აღნიშნულ წლებში მუშა - ხელის დინამიკა იყო ასეთი: 2.653, 3.574, 2.500.

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე საინტერესოა ვიცოდეთ, აქვს თუ არა სასიცოცხლო ძალები მრეწველობის განსაზოგადოებულ სექტორს? იყვნენ თუ არა მართალნი ოქტომბრის რევოლუციის მოწინააღმდეგენი, როცა ამბობდენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა დაღუპავს სახალხო მეურნეობასო?

განსაზოგადოებულ მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდა აშკარა მაჩვენებელია ჩვენი მტრების მტკიცების უნიადაგობისა. როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან სჩანს, განსაზოგადოებული მრეწველობას ეკავა მთელ ცენზიან მრეწველობაში პროდუქციის რაოდენობის მიხედვით:

1924—25 წ. — 85.8 პროც., 1925—26 წ. — 87,1 პროც., 1926—27 წ.—92,3 პროც., მაშინ, როცა კერძო მრეწველობის ხვედრითი წონა თან და თან ეცემა: 1924—25 წ. — 14,2 პროც., 1925—26 წ. — 12,9 პროც, 1926—27 წ.—7,7 პროც.

საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ ჩვენი მრეწველობის ერთ დიდ დარგზე, მარგანეცზე, რომელიც ამჟამად კონცესიონერის ხელშია.

შავიქვის ამოღებისა და ექსპორტის ზრდის სურათს შემდეგი ცხრილი იძლევა (ათას. ტონ.)

	ამოღება	ექსპორტი
1913 წ.	970,9	1.079,1
1918 წ.	25,9	32,5
1919 წ.	54,8	5,4
1920 წ.	120,7	175,9
1921 წ.	92,0	25,4
1922 წ.	53,2	168.5
1923—24 წ.	364,7	480,8
1924—25 წ.	594,6	381,0
1925—26 წ.	769,5	466,2

1924—25 წ. მეორე ნახევარში შავიქვის მრეწველობა საკონცესიო აქც. საზ. „საქართველოს შავი ქვა"-ს ხელში იმყოფება. მენშევიკების ბატონობის დროს (1918—1920 წ. წ.) შავიქვის როგორც ამოღება, ისე ექსპორტი მნიშვნელოვნად დაეცა. მენშევიკურ მთავრობას, რომელიც დასავლეთ ევროპის ორიენტაციის მომხრე იყო, საზღვარგარეთთან თითქოს მტკიცე სავაჭრო კავშირი უნდა ჰქონოდა. მაგრამ მენშევიკური ბატონობის აყვავების პერიოდში (1919 წ.) შავიქვის ამოღება ომის წინა დროის პერიოდთან შედარებით (1913 წ.) — 5,5 პროც. დაეცა, ხოლო ექსპორტი — 0,5 პროც., საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში (1921 და 1922 წ. წ.), რასაკვირველია, ძნელი იყო დანგრეული შავიქვის მრეწველობის ერთბაშათ აღდგენა და დაკარგულ ბაზრების დაბრუნება. 1922 წლის ბოლოდან უკვე იწყება შავიქვის ამოღებისა და ექსპორტის აღდგენა ისე, რომ 1925—26 წ. შედარებით 1913 წელთან ჩვენ უკვე გვქონდა 79,3 პროც. ამოღებისა და 43,2 პროც. ექსპორტისა.

შავიქვის მრეწველობის ყრილობის საბჭოს მიერ გამოცემულ შრომიდან „შავიქვის სტატისტიკა 1918—1923 წ." აშკარათ სჩანს, თუ როგორ დაუკარგავს ბაზარი შავიქვის მრეწველობას 1919 წ. საქართველოს, ბრიტანეთის, ინდოეთის და ბრაზილის მონაწილეობა შავიქვის მიწოდებაში მსოფლიო ბაზარზე პროცენტებში უდრიდა:

წ. წ.	საქ.	ბრ. ინდ.	ბრაზ.
1913	39,6	28,0	6,8
1918	1,6	32,3	24,2
1919	4,5	44,5	26,0

აქედან მკითხველი დაინახავს, თუ როგორ დაუკარგავს ბაზარი შავიქვის მრეწველობისათვის მენშევიკურ მთავრობას: 39,6 პროცენტიდან საქართველოს მონაწილეობა შავიქვის გატანაში დაცემულა 1.5 პროცენტამდე.

რა მდგომარეობა გვაქვს საერთოდ საბჭოთა კავშირის მრეწველობაში?

საფაბრიკო - საქარხნო მრეწველობაში ჩაბმულ იყო 1925—26 წ. 2.347.907 პირი, აქედან მუშა იყო 2.233.428. კაც-დღეთა ნამუშევარი უდრიდა (დამხმარე მოსამსახურეთა გამოკლებით) 589.739.44 ათასს, საერთო პროდუქცია კი 9.955.6 მილ. ჩერვ. მან. 1913 წ. ყოფ. რუსეთის იმპერიის (არსებული ტერიტორიის მიხედვით) სამრეწველო (ცენზიან) პროდუქციის ღირებულება უდრიდა 6.291 მილ. მანეთს, 1926 — 27 წ. კი, თანახმად ამხ. რიკოვის მოხსენებისა, ომის წინა მანეთებში პროდუქცია ღირს — 6.637 მილ. მანეთი. ამნაირათ ომის წინა დონეს აქაც გავუსწარით.

1923 — 24 წელთან შედარებით 1925 — 26 წ. გადიდებულია მუშების რიცხვი 113,4 პროც., პროდუქცია 188 პროც., 1927 წ. მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი ავიდა 2.469.000 (ომის წინ კი იყო — 400 ათ.).

ხვედრითი წონა განსაზღვრული სექტორისა იძლევა ასეთ დინამიკას მთელს კავშირში*).

მუშების რაოდენობა (%%-ში)

	მთელი მრეწველობა	სახელმწ.	კოოპ.	კერძო	საკონც.
1923—24	100,00	94,40	2,92	2,68	—
1924—25	100,00	94,10	3.83	1,82	0,25
1925—26	100,00	93,30	4.34	1,76	0,60

მუშების რაოდენობის მხრით მცირდება ხვედრითი წონა როგორც სახელმწიფო ისე კერძო მრეწველობის და მათ ხარჯზე იზრდება ხვედრითი წონა კოოპერაციის და საკონცესიო მრეწველობის.

თუ ავიღებთ ცალკე განსაზოგადოებულ სექტორს, მაშინ დავინახავთ, რომ განსაზოგადოებული სექტორი (სახელმწ., კოოპერატ.) იძლევა საერთოდ მუდმივ ზრდას, კერძო მრეწველობის ხვედრითი წონის თანდათანი დაკლების ხარჯზე.

რა მდგომარეობა გვაქვს მსხვილ მრეწველობაში პროდუქციის მიხედვით?

	სულ მთელ მრეწვ.	სახელმწ.	კოოპ.	კერძო	საკონც.
1923—24	100,00	90,89	4,74	4,37	—
1924—25	100,00	90,46	5,67	3,70	0,17
1925—26	100,00	89,61	6,44	3,62	0,33

აქედანაც აშკარაა რომ განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა პროდუქციის მხრით აწეულია 95,63 პროც.-დან 95,05 პროცენტამდე, ხოლო კერძო დაცემულა 4,37 პროც.-დან 3,62 პროც.-მდე.

ინტერესს მოკლებული არ იქნება გადავავლოთ თვალი მრეწველობის ზოგიერთ დარგის დინამიკას უცხო ქვეყნებში.

თუჯის პროდუქცია (ათას მეტრ ტონებში)

	1913	1926
გერმანია	16,764	9,648
ინგლისი	10,428	2,484
საფრანგეთი	5.208	9,396
შვეცია	732	445,8

აქ ჩამოთვლილ ქვეყნებიდან მხოლოდ საფრანგეთი იძლევა მატებას. დანარჩენი ქვეყნები კი გვაჩვენებენ დაკლებას ომის წინა დონესთან შედარებით თითქმის ასეთი სურათია ფოლადის გამომუშავებაშიაც.

ფოლადის პროდუქცია (ათას მეტრ. ტონებში)

	1913	1926
გერმანია	16944	12336
ინგლისი	7788	3612
საფრანგეთი	4692	8388
შვეცია	744	518,9

ომის ჭრილობებიდან ჯერ კიდევ ვერ განკურნებულან მთელი რიგი სახელმწიფოები.

საბჭოთა კავშირმა კი, რომელიც ეკონომიურათ გაცილებით სუსტი არის აქ ჩამოთვლილ სახელმწიფოებთან შედარებით, უკვე შესძლო აღდგენა ომის წინა დონე და გადასულიყო ახალ ფაზისში—რეკონსტრუქციის პერიოდში.

ახალი აღმშენებლობა, რომელიც დიდი ტემპით მიმდინარეობს მთელს კავშირში და კერძოთ ჩვენშიც, მიმართულია იქითკენ, რომ საბჭოთა კავშირი არ იქნეს კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან დამოკიდებული თავის ზრდა-განვითარებაში და შეიქნეს ჩვენში მტკიცე ბაზა სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

მრეწველობის დარგში დღეს ჩვენი ამოცანაა—მაქსიმალურად გადიდებულ იქნეს სამრეწველო პროდუქცია. მთავარი ლოზუნგი აქ უნდა იყოს მიმართული პროდუქციის ღირსების, ღირებულების და ასორტიმენტას პრობლემის გადაჭრისაკენ. პროდუქციის ღირებულების შემცირებასთან და გაიაფებასთან ერთად უნდა იქნეს ზომები მიღებული მისი ღირსების, ხარისხის მაღლა აწევისათვის.

უნდა მიექცეს ყურადღება მსხვილ მრეწველობის, მასში ჩაბმულ მუშა-ხელის, შრომის ნაყოფიერების და ამ უკანასკნელთან შეფარდებით ხელფასის შემდეგი გადიდების საკითხს. ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქცია, წარმოების და მმართველობის ტეხნიკის რაციონალიზაცია, ზომების მიღება შინა-სამრეწველო დაგროვებისათვის, მომზადება კვალიფიციური მუშა-ხელის, რაც გამოწვეულია ჩვენი მრეწველობის ფართე რეკონსტრუქციით, აი ის მთავარი კითხვები, რომლებიც სდგანან ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის დღის წესრიგში და რომელთა სწორი გადაჭრა უზრუნველჰყოფს პარტიისა და ხელისუფლების კურსს სოციალისტურ აღმშენებლობის სფეროში.

ა. რუხაძე.

---

*) იხ. «Нар. Хоз. С.С.С.Р. 1927 г.»

რა მოგვცა ოქტომბრის რევოლუციამ

ჩვენი მიღწევები

(თბილისის საყუდი)

1921 წლიდან 1922 წლამდე თბილისის საყუდის სახელოსნო წარმოადგენდა გაძარცულ ფარეხს, ამიტომ აქ არავითარი მასალის დამზადება არ შეიძლებოდა. ყოველგვარი შეკეთები და სხვადასხვა მასალის დამზადება სწარმოებდა მთავარ სახელოსნოებში, რის გამო ფერხდებოდა საყუდის საქმიანობა.

სულ სხვა მდგომარეობაა დღეს. საბჭოთა ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება მიაქცია რკინის გზას და მიიღო ყოველგვარი ზომები მის აღსადგენად. საყუდის სახელოსნო დაემგზავსა ნამდვილ საწარმოო ადგილს. აქ არსებობს: სახარატო, სამჭედლო, სალითონე, საქვაბე, სათუნუქე და საიარაღო საამქროები. ისე, რომ ყოველივე შეკეთები, რომელიც წინად სხვაგან მზადდებოდა, დღეს საყუდის სახელოსნოში მზადდება, რამაც საგრძნობლად შეამცირა ზედმეტი ხარჯები.

წინათ ორთქლმავლის შეკეთება გრძელდებოდა რამდენიმე კვირას, დღეს კი ისე სწრაფად კეთდება, რომ ერთ დღესაც არ აცდენენ ორთქლმავალს.

ამასთან დაკავშირებით, ორთქლმავალთა მოთხოვნილებაც გაიზარდა. დღეს ყოველდღიურად საყუდში 140 ორთქლმავალი მოდის და გადის.

რაც შეეხება სამგზავრო მატარებლების რონოდებს, უნდა ითქვას, რომ მის შეკეთების საქმეშიც თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. თუ წარსულ წლებში იყო რონოდები გაძარცული, დასვრილი, მინები ჩამტვრეული და სხვა დღეს ეს აღარ არის, არამედ სამგზავრო რონოდები სუფთად არის მოწყობილი და განათებული ელექტრონით. ისე, რომ წინად რონოდების სიმცირით გამოწვეული დაბრკოლებები დღეს გადალახულია და მატარებელთა მოძრაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

ასეთივე მიღწევები გვაქვს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივაც. საყუდში ამჟამად ითვლება 2.500 მუშა-მოსამსახურე. უმრავლესობა მათგანი ჩაბმულია სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში. განსაკუთრებით მუშა-ხელოსნების მდგომარეობა შედარებით წარსულ წლებთან საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მათი ხელფასი თითქმის 50—60 პროცენტით გაზარდა.

საყუდში დაცულია სისუფთავე და დისციპლინა. ადგილკომი დიდის ყურადღებით ეკიდება მუშების მოთხოვნილებებს და ადმინისტრაციასთან ერთად უმტკივნოდ სწყვეტს და აწესრიგებს ყოველგვარ გაუგებრობას.

ასეთია თბილისის საყუდისა და აქ მომუშავე მუშების მდგომარეობა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე.

ძია-ლევან.

წინედ და ეხლა

(რკ. გზის სამასალო საწყობი)

რკ. გზ. მთავ. სამასალო საწყობის მუშები, სხვა დარგების მუშებთან შედარებით, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურადაც წინად ძალიან ჩამორჩენილები იყვნენ. მუშები ხელფასს იღებდენ სეზონობით. ზამთარში დღეში ეძლეოდათ 60 კაპ. ზაფხულში კი 70 კაპ. მუშაობა დამოკიდებული იყო მზის ამოსვლა-ჩასვლაზე. მრავალი ბრძოლისა და წვალების შემდეგ, როგორც იქნა აღნიშნულ მუშებმა მოიპოვეს მთავარ სახელოსნოებში მომუშავე მუშების უფლებები და დღიური ხელფასი დაენიშნათ 80 კაპ. ასეთ მდგომარეობაში იყვნენ მუშები 1917 წ. ოქტომბრის რევოლიუციამდე.

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თანდათანობით უმჯობესდება მუშების მდგომარეობა როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურადაც.

დღეს საწყობში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის — 247 კაცს.—1924 წლამდე მუშას ეძლეოდა თვიური ხელფასი 22 მან. 50 კაპ. რაოდენობით. დღეს იგი იღებს საშუალოდ 70 მანეთს. მასალების მოთხოვნილებაც ეხლა ორჯერ მეტია წინანდელზე. ამის გამო საწყობს მოუმატეს რამოდენიმე დესეტინა ადგილი, სადაც ამ დღეებში დააწყობენ მასალას.

მუშებისათვის ააშენეს სასადილო შენობა, რომელიც საუცხოოდ არის მოწყობილი, გაშენებულია აგრეთვე პატარა ბაღი. გახსნილია სამკითხველო, სადაც მუშები სარგებლობენ წიგნებით და სხვადასხვა ჟურნალებით. მუშების 100 პროც. იწერს გაზეთებს და სხ. გარდა ამისა გამოდის კედლის გაზეთი „მუშის ხმა", რომელშიც შუქდება ადგილობრივი მუშების ყოფა-ცხოვრება.

ყველა ეს, ისე როგორც სხვა დარგის მუშებმაც სამასალო საწყობის მუშებმა მოიპოვეს ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით. ამიტომ ამ. რკ. გზის სამასალო საწყობის მუშებიც სიხარულით ეგებებიან ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს.

დ. გვაზაურელი.

ვემზადებით ოქტომბრის დღესასწაულისათვის

(სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ოთხშაბათს, 2 ნოემბერს, სახელმწ. უნივერსიტეტში შესდგა ახლად მიღებულ სტუდენტთა საერთო კრება. ამხ. გეგენავამ კრებას გააცნო თუ როგორ უნდა ჩატარდეს ოქტომბრის დღესასწაული უნივერსიტეტში. მომხსენებლის სიტყვით 5 ნოემბერს, მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბის საზეიმო გახსნა. 6 ნოემბერს დილის ცხრა საათზე ყველა სტუდენტები იყრიან თავს უნივერსიტეტის ეზოში და თავიანთ სამხედრო ორკესტრით წავლენ დანიშნულ ადგილზე.

დასასრულს ამხ. გეგენავა შეეხო სტუდენ. მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩვენს ღარიბ სტუდენტობას დაურიგდება 5 მ. ფულად და სახელმძღვანელო წიგნები. შემდეგ კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ოქტომბრის ზეიმის ჩატარება.

კოტე ქვენობანელი.

ათი წლის წინად

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

3 ნოემბერი

აჯანყების საკითხი

პეტროგრადში ბოლშევიკების დახურულ კრებაზე ლენინის მონაწილეობით ირჩეოდა აჯანყების საკითხი. ლენინი ამბობდა: „6 ნოემბერს (24 ოქტომბერს) ძლიერ ადრე იქნება მოქმედების დაწყება: აჯანყებისათვის საჭიროა სრულიად რუსეთის დასაყრდენი, ყრილობისათვის კი ყველა დელეგატები ვერ მოასწრებენ ჩამოსვლას. მეორე მხრივ, 8 ნოემბერს (26 ოქტომბერს) ძლიერ გვიანი იქნება მოქმედება: ამ დროისათვის ყრილობა უკვე ჩამოყალიბდება და დიდ კრებისათვის ძნელი იქნება სწრაფ და ვადამჭრელ ღონისძიებების მიღება. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ 7-ს ყრილობის გახსნის დღეს, ისე რომ ჩვენ შევძლოთ უთხრათ მას: „აი ძალა-უფლება, როგორ მოექცევით თქვენ მას?“ (ჯონ რიდი, „ათი დღე, რომლებმაც შესძრეს ქვეყანიერება“).

პეტროგრადის გარნიზონის წარმომადგენელთა კრება

პეტროგრადის გარნიზონის პოლკების კომიტეტების სასწრაფო კრებამ ტროცკის მოხსენების შემდეგ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ესალმება სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის შექმნას და აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას.

— რეზოლუციაში საბჭოთა ყრილობის შესახებ ნათქვამია: „უეროდება რა პეტროგრადის საბჭოს ყველა დადგენილებებს, პეტროგრადის გარნიზონი აცხადებს: სიტყვების დრო წავიდა. ქვეყანა დაღუპვის კარზეა. არმია მოითხოვს ზავს, გლეხები მოითხოვენ მიწას, მუშები—სამუშაოსა და პურს. კოალიციონური მთავრობა ხალხის წინააღმდეგ მოქმედობს. იგი იარაღია ხალხის მტრების ხელში. სიტყვების დრო გავიდა. საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობამ უნდა აიღოს თავის ხელში ძალაუფლება და უზრუნველყოს ხალხისათვის ზავი, პური და თავისუფლება. ამას მოითხოვს ხალხისა და რევოლუციის ხსნა. მთელი ძალა-უფლება—საბჭოებს. საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა ყველა ფრონტებზე. მიწა—გლეხებს. პეტროგრადის გარნიზონი აღუთქვამს საბჭოთა ყრილობას ბრძოლას უკანასკნელ კაცამდე ამ მოთხოვნილებების განხორციელებისათვის“.

სამხედრო-რევოლუციონურ კომიტეტში

კომიტეტის სხდომაზე შედგენილ იქნა ბიურო: ლაზიმირის, ანტონოვ-ოვსეენკოს, პოდვოისკის, სადოესკის და სუხარკოვის შემადგენლობით.

— სამხედრო ოლქის შტაბში გაგზავნილი კომისრები არ დაუშვეს შტაბში სამუშაოთ. გაგზავნილ კომისრების დაბრუნების და მათი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სამხედრო-რევოლუციონურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ „ამიერიდან მთელი ძალა-უფლება პეტერბურგში გადადის სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს ხელში“. გარნიზონს წინადადება მიეცა შეასრულოს მხოლოდ ის ბრძანებები, რომლებიც იძლეოდა სამხ.-რევ. კომიტეტი.

საბჭოთა ყრილობის დელეგატები

რეგისტრაციაში გატარებულ 302 დელეგატიდან უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდა.

შეთანხმებლები პეტროგრადის საბჭოს წინააღმდეგ

— ესერ-მენშევიკური ცაკის ბიურომ პეტროგრადის საბჭოს მიერ სამხედრო შტაბში და ნაწილებში კომისრების დანიშვნის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ზედმეტად თვლის კომისრების დანიშვნას სამხედრო ნაწილებში და პასუხისგებაში მიცემით ემუქრება სამხ. რევოლუციონური კომიტეტის და პეტროგრადის საბჭოს კომისრებს, თუ ისინი ჩაერევიან სამხედრო სარდლობის საქმეებში ან შესცვლიან მათი ბრძანებები.

— ესერების საბჭომ მოსკოვში გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიც დამღუპველად თვლის ყოველგვარ გამოსვლებს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად და მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს ებრძოლონ ასეთ ცდებს.

გენ. ვერხოვსკი მდგომარეობას უიმედოთ თვლის

გაზეთების ცნობებიდან ირკვევა, რომ რესპ. საბჭოს თავდაცვის კომისიის დახურულ სხდომაზე გენ. ვერხოვსკიმ უიმედოთ სცნო ბრძოლის გაგრძელება ფრონტის სრული დემორალიზაციის პირობებში და მოითხოვა, რათა დრ. მთავრობამ მიიღოს ენერგიული ზომები ზავის ჩამოსაგდებათ.

ბურჟუების ისტერიკა. გენ. ვერხოვსკის განცხადებასთან (საბჭოს თავდაცვის კომისიის სხდომაზე) დაკავშირებით ბურჟუებმა „ობშჩეე დელო“-ში გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ „გენ. ვერხოვსკიმ უღალატა რუსეთს“. ბურჟუები ასე ათავებს თავის მოწოდებას: „მოქალაქენო, ფეხზე დადექით. იხსენით რუსეთი!“

კერენსკის განკარგულებით გაზეთი „ობშჩეე დელო“ დაიხურა „საიდუმლო სამხედრო ცნობების გამომჟღავნებისათვის“.

თავდასხმა რევოლუციონერ ჯარზე

ყაზანის სამხ. ოლქის ჯარების უფროსმა გასცა განკარგულება განეიარაღებიათ არტილერისტები, რომლებმაც წინა დღით უარი განაცხადეს ბოლშევიკ-ოფიცერის გაცემაზე. განსაიარაღებლად გაგზავნეს პრაპორშჩიკების სამი სკოლა ჯავშნიანი ავტომობილებით. არტილერისტები მათ სასროლოთ გამზადებულ ზარბაზნებით დახვდენ და პრაპორშჩიკებმა ვერ გაბედეს განკარგულების მოყვანა სისრულეში.

საბჭოთა ხელისუფლება ვლადივოსტოკში

გამოქვეყნდა ცნობა, რომ ვლადივოსტოკის საბჭომ ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება. საბჭომ გამოსცა ბრძანება, რომ არ დამორჩილება საბჭოს ბრძანებებისათვის ჩაითვლება კონტრ-რევოლუციონურ მოქმედებათ.

„მთელი ძალა-უფლება—საბჭოებს“

რეზოლუციები მთელი ძალაუფლების გადაცემის შესახებ საბჭოების ხელში გამოიტანეს: მარიუპოლის საბჭომ, სამხრეთის მეზღვაურთა კონფერენციამ, მთელ რიგმა ფაბრიკა-ქარხნებმა და სამხედრო ნაწილებმა.

ამიერ-კავკასიაში

გლეხთა დეპუტატების ცენტრში

გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცენტრი საბჭოთა ყრილობის მოწვევის საკითხში შეუერთდა მ., ჯ. და გლ. საბჭოების საოლქო ცენტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

მზადება ოქტომბრის რევოლუციის 10 წ. თავისათვის

ცენტრალურ პარტსკოლაში

სერგო ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალურმა პარტსკოლამ ოქტომბრის დღეების ჩასატარებლად გამოიმუშავა შემდეგი გეგმა:

მოხსენებები: მზადება ოქტომბრისათვის და ხელისუფლების დაპყრობა; ლენინი და ოქტომბრის რევოლუცია; საბჭოთა ხელისუფლების კულტურული მიღწევები ათი წლის განმავლობაში, სამეურნეო მიღწევები, საერთაშორისო მდგომარეობა.

კაბინეტები და ბიბლიოთეკა აწყობენ ოქტომბრის ლიტერატურის გამოფენას, დიაგრამებს, კარტოგრამებს და სხვა; გამოშვებულ იქნება სპეციალური კედლის გაზეთი.

5 ნოემბერს გაიმართება საღამო—პირველი ქართულ საარტილერიო დივიზიისთვის. 6 ნოემბერს—მოწყობილ იქნება სკოლაში საღამო შემდეგი პროგრამით: მისალმებანი, ინსცენიროვკა, ცოცხალი დიაგრამები და წარმოდგენა სკოლის ყველა საკლუბო წრეების მონაწილეობით.

5—6 და 7 ნოემბერს მოეწყობა შუქის გაზეთი, რადიო ქოჩში, ამავე დღეებში წასვლა საშეფო სოფელში.

სახ. უნივერსიტეტში

ოქტომბრის რევოლუციის 10 წ. თავის აღსანიშნავ დღესასწაულების ჩასატარებლად სახ. უნივერსიტეტთან დაარსებულია დღესასწაულების ჩამტარებელი კომისია, პროფ. შ. ნუცუბიძის, ის. თალაკვაძის, ხ. გეგეჩავას და ყველა ფაკულტეტების წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისია ოქტომბრის დღესასწაულებისათვის სცემს სპეციალურ კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება ნარკვევები უნივერსიტეტის მუშაობისა და მიღწევების შესახებ.

აგრეთვე კომისია ემზადება რესპუბლიკანურ სადღესასწაულო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებათ.

ამავე დღესასწაულებზე მოხდება სახ. უნივერსიტეტის საზეიმო - საკრებულო დარბაზის გახსნა. ამას გარდა, დღესასწაულებისათვის მზად იქნება უნივერსიტეტის ბალი.

სახელმწიფო ოპერაში

დიდი მზადება წარმოებს ოქტომბრის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად. ოქტომბრის ზეიმის დღეს, ორშაბათს, 7 ნოემბერს საღამოთი, სახელმწიფო ოპერაში პირველად შესრულებული იქნება „კანტატა 10 წელი“ და უვერტიურა „რობესპიერი“ (ლიტოლფისა). საზეიმო საღამოს მეორე განყოფილებაში გაიმართება დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სახ. ოპერის ყველა მსახიობები. კონცერტის შემდეგ შესრულებულ იქნება ბალანჩივაძის—„კანტატა ზაჰესი“. მის შესრულებაში მონაწილეობას მიიღებს სახ. ოპერის მთელი დასი.

წითელი არმიის სახლში

თბილისის წითელ არმიის სახლი ოქტომბრის დღესასწაულს ატარებს შემდეგი გეგმით: 3 ნოემბერს დარბაზში შედგება მოგონებათა საღამო, რომელშიც მიიღებენ მონაწილეობას ოქტომბრის დღეების და სამოქალაქო ომის მონაწილენი; 4 ნოემბერს გაიმართება საღამო, მიძღვნილი ოქტომბრისადმი; 5 ნოემბერს შესდგება საკადრო და სათადარიგო მეთაურთა საზეიმო სხდომა, სადაც გაკეთებულ იქნება მოხსენება ოქტომბრის რევოლუციაზე, 6 ნოემბერს წითელი არმიის სახლის ძალებით გაიმართება „ოქტომბრის ათი წლის“ საღამო; 7 ნოემბერს საღამოთი კონსერვატორიის ძალებით გაიმართება დიდი მხატვრული საღამო მოხსენებით გარნიზონის ნაწილებისათვის; 8 ნოემბერს შესდგება წითელი არმიის და მშრომელთა [illegible] საღამო.

5 ნოემბერს წითელი არმიის სახლში „წითელი არმიის გამოფენა“, რომელიც ნათელ ჰყოფს წითელი არმიის მიღწევებს ათი წლის განმავლობაში.

ოქტომბრის რევოლუციის სახელობის სანერგე

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა, ნოსირის ამერიკულ ვაზის სანერგეს უწოდოს „ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის სახელობის სანერგე“.

ამასთან დაკავშირებით, 7 ნოემბერს სანერგესთან მოეწყობა რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ექსპონატები მევენ., მეღვინ., მებაღეობის, მემინდვრეობის, მეფუტკრეობის და მეცხოველეობის დარგებში.

ახალი საავადმყოფო

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება სოფ. მარტყოფში (თბილისის მაზრა) ხსნის რაიონულ საავადმყოფოს.

გამოფენა

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება აწყობს გამოფენას. გამოფენილი იქნება ახალი დიაგრამა, რომლებშიაც ასახულია ჯანმრთელობის განყოფილების მიღწევები.

ექსკურსიები

ზეიმის პერიოდში მუშათა ექსკურსიებისათვის ღია იქნება და მუშავებენ თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების შემდეგი დაწესებულებები: ფიზიკური მეთოდებით სამკურნალო, ტალახით და გოგირდით სამკურნალო, კბილის საექიმო პოლიკლინიკა, პროფილაქტიური სკოლა, ვენერიული დისპანსერი და სასწრაფო დახმარება.

2.500.000 მან. ა.-კ. სასოფლო მეურნეობისათვის

ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკმა მიიღო მიზნობრივი, გრძელი და მოკლევადიანი კრედიტების გეგმა—1927—28 წლის პირველი მეოთხედისათვის.

თანახმად ამ გეგმისა, მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში ა. კ. სასოფლო მეურნეობა მიიღებს 2.500.000 მანეთი. აქედან 50,0000 მანეთი გრძელვადიანი და ორი მილიონი მანეთი, მოკლევადიანი სესხების სახით.

მეთესლეობისა, ბალახის თესვის, სპეციალურ ტექნიკურ კულტურათა და მესაქონლეობის განვითარებისათვის დაიხარჯება—574.000 მანეთი.

მეხილეობისა, ბრინჯის თესვისა და გამხმარ ხილის დამზადებაზე დაიხარჯება—140.000 მან.

კოლექტიური მეურნეობები მიიღებენ—8.000 მანეთს. ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო სისტემის ძირითად ქსელის საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად დაიხარჯება 130.000 მან.

საერთო თანხა ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების შორის ნაწილდება ასე: საქართველო მიიღებს—960.000 მან., აფხაზეთი—22.500 მან., აჭარისტანი—12.500 მან., აზერბეიჯანი—987.000 მან., ნახიჩევანი—127.500 მან. და სომხეთი—390.000 მან.

საზოგადოებრივი დახმარება სულით ავადმყოფებს

ამ რამოდენიმე ხნის წინად დამტკიცებულ იქნა „სულით ავადმყოფთა“ დამხმარე საზოგადოების წესდება. ამ ახალი საზოგადოების მიზანს წარმოადგენს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში ფართო საზოგადოებრივი წრეების ჩაბმა. ამ დღეებში საქ. ჯანსახკომში უნდა შესდგეს ამ საზოგადოების პირველი საორგანიზაციო კრება.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საზოგადოების ამოცანების შესახებ საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო განყოფილების გამგე ექ. ბოცვაძემ განაცხადა შემდეგი:

— ჩვენში უაღრესად მძიმე მდგომარეობაა სულით ავადმყოფთათვის დახმარების აღმოჩენის დარგში. დაახლოებით თეორიული გამოანგარიშებით სულით ავადმყოფთა რიცხვი საქართველოში უდრის 6.000-ს, ე. ი. თითქმის მიღებულია მთელ მსოფლიოში არსებული „ნორმა“ სულით ავადმყოფებისა — 3 ავადმყოფი ყოველ ათას კაცზე. თეორიულ გამოანგარიშებას ადასტურებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩატარებული გამოკვლევები.

მეცნიერული გამოანგარიშებით სულით ავადმყოფთა ერთ მესამედს ესაჭიროება დახმარება. დასავლეთ ევროპაში არც ერთი სახელმწიფო არ უწევს დახმარებას სულით ავადმყოფთა 70—80 პროცენტზე ნაკლებს, ინგლისი კი დახმარებას უწევს სულით ავადმყოფთა სრულ 100 პროცენტს.

ძველ რუსეთში ამ მხრივ საშინელი მდგომარეობა იყო. საავადმყოფოებში მკურნალობდენ მხოლოდ ისეთ სულით ავადმყოფს, რომლებიც იგზავნებოდენ სასამართლოს განაჩენით. დანარჩენები კი სცხოვრობდენ მოსახლეობის შორის. ამჟამად მოსახლეობის შეგნება გაიზარდა და ყველამ ესმის, რომ შეუძლებელია სულით ავადმყოფთა დატოვება ჯანმრთელებთან ერთად. ჯანსახკომი განუწყვეტლივ იღებს შუამდგომლობებს ავადმყოფთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ჩვენ აღრიცხული გვყავს 850 სულით ავადმყოფი, რომლებსაც აუცილებლად ესაჭიროება სისტემატიური მკურნალობა. იყო შემთხვევა, როცა სულით ავადმყოფები თავს ესხმოდენ ხალხს, ცეცხლს უკიდებდენ სახლებს და სხ. სამილიციო რაიონებმა არ იციან სად გაგზავნონ დაჭერილი სულით ავადმყოფები.

საჭიროა ყურადღების მიქცევა პროფილაქტიურ ზომებისათვისაც. რუსეთში და უკრაინაში თითქმის ყოველ მნიშვნელოვან ქალაქში არსებობს ფსიქიატრიული დისპანსერი. თბილისში მხოლოდ მომავალ წელში ვფიქრობთ სადისპანსერო განყოფილების გახსნას ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან.

რა არის გაკეთებული დღემდე?

თბილისში, სურამში და ქუთაისში გვაქვს სულ 270 საწოლი. წარსულ წელში საქ. მუშ. და გლ. ინსპექციამ საჭიროდ სცნო 500 საწოლის სასწრაფოდ მოწყობა. ეს ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით. საწოლების არსებულ რიცხვს ზევით ჩვენ მოვახერხეთ მხოლოდ 80 საწოლის მოწყობა. რამოდენიმე ავადმყოფს დახმარებას უწევთ სახლ. დაზრდების სახით. შევქმნით განსაკუთრებული ინსტიტუტი დამნაშავის პირობების შესასწავლად. ვაწყობთ ფსიქო - თერაპის კაბინეტებს ყველგან, რაც კი შევეძლოთ, მაგრამ საშუალებები ჩვენი ძლიერ განსაზღვრულია. მდგომარეობას ართულებს აგრეთვე ის, რომ როდესაც ქალაქებს ხარჯთ-აღრიცხვაში შეაქვს თანხები ფსიქიურ ავადმყოფებისათვის, საფინანსო უწყება ამას არ ამტკიცებს იმ საბუთით, რომ ეს შეადგენს სახელმწიფოს მოვალეობას. მაგრამ რუსეთში, მაგალითად დისპანსერები იხსნება ქალაქების ხარჯზე.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ სულით ავადმყოფთა დამხმარე ახალ საზოგადოებაზე. დარწმუნებული ვართ, რომ ამ საზოგადოების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს მოსახლეობის ფართო ფენები, ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენენ ამ საზოგადოებას პროფკავშირთა ორგანიზაციები, პირველ რიგში კი მედსანმშრომის კავშირი. საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი იქნება თბილისში, განყოფილებები კი ყოველ მაზრაში.

საზოგადოების ამოცანები განსაკუთრებით სერიოზულია და მნიშვნელოვანია. მათ წარმატებით გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი ყოფის გაჯანსაღება. თვითეულმა მშრომელმა უნდა აღმოუჩინოს დახმარება ამ დიდ საქმეში.

ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთ

შეიძინეთ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები

ოქტომბრის რევოლუციის მიღწევათა განმტკიცება, იმ რევოლუციის, რომლის ათი წ. თავის სადღესასწაულოდ ჩვენ ვემზადებით, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ეკონომიური ბაზის განმტკიცებას, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა, მისი ინდუსტრიალიზაციის განვითარებას. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს ძველი ფაბრიკა-ქარხნების გაფართოებას და ახლების მოწყობას, ახალ ფაბრიკების, ქარხნების, ელექტრო-სადგურების აგებას, არხების, რკინის გზების გაყვანას, მანქანებისა და სასოფლო - სამეურნეო იარაღების წარმოების გაძლიერებას. ყველაფერი ეს, თავის მხრივ იწვევს უმუშევრობის შემცირებას, რეალური ხელფასის გადიდებას, სასოფლო- მეურნეობის წარმატებას, მოსახლეობის საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმოებით უზრუნველყოფას და სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებას. გასულ სამეურნეო წელს კაპიტალურ მშენებლობას მოხმარდა მილიარდ მანეთზე მეტი. მიმდინარე 1927-28 სამეურნეო წელს ამ მშენებლობას უნდა მოხმარდეს 150 მილიონ მანეთით მეტი შარშანდელთან შედარებით. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში მუშათა სახელმწიფო თავის იმედებს ვერ დაამყარებს უცხოელ კაპიტალისტების კრედიტებზე: იმპერიალისტები ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს სამეურნეო და კულტურულ წარმატებას, სცდილობენ გადააქციონ ჩვენი ქვეყანა ინდოეთის, ჩინეთის მსგავს კოლონიათ, სადაც ისინი წარმოადგენენ უზრუნველყოფილ მებატონეებს და ათასგვარი ხრიკებით აძარცვავენ ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს მოკლებულ მოსახლეობას.

იმპერიალისტების ფინანსიური გარემოცვის საპასუხოდ ამიერ-კავკასიის მშრომელნი მთელ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასასთან ერთად აცხადებენ ფინანსიურ თავდაცვას. ფინანსიური თავდაცვა მოწყობილი უნდა იქნეს, სახსარი ქვეყნის საინდუსტრიალიზაციოთ გამონახულ უნდა იქნეს, პირველყოვლისა, თვით საბჭოთა კავშირის მშრომელთა საკუთარი ძალღონით. საბჭოთა მთავრობა, მშრომელთა მთავრობა უშვებს ინდუსტრიალიზაციის ორას მილიონიან სესხს. თვით ამ სესხის სახელწოდება თავისთავად ლაპარაკობს; იგი ნიშნავს: 200 მილიონ მანეთის გადებას ჩვენი მრეწველობის გასაფართოებლად და ხელახლა მოსაწყობად, ახალი ფაბრიკების, ქარხნების, ელექტრო-სადგურების ასაგებად, გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწარმოებლად, ჩვენი კულტურისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად. ეს თანხა—ორასი მილიონი მანეთი—უნდა შეგროვდეს ობლიგაციებით, რომლებიც უნდა შეიძინოს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელმა ყოველმა შეგნებულმა მუშამ და გლეხმა. ობლიგაცია არის ვალდებულება, რომელსაც კისრულობს სახელმწიფო და რომელიც დაფარულ იქნება დანიშნულ ვადისათვის. ობლიგაციის შეძენა ნიშნავს ფულის სესხებას თავის საკუთარ სახელმწიფოსათვის მეტად ხელსაყრელ პირობებში. ამავე დროს იგი ნიშნავს მონაწილეობის მიღებას ქვეყნის ფინანსიური თავდაცვაში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

ჯერ კიდევ კამპანიის პირველმა პერიოდმა აჩვენა სესხისადმი მშრომელთა მასების დიდი ინტერესი. დღეს, ყოველი პატიოსანი მშრომელი გახდეს არა მარტო ობლიგაციის მქონებელი, არამედ ინდუსტრიალიზაციის სესხის აქტიური აგიტატორიც.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს ა.-კ. ფედერაციის ყველა მშრომელთ, მუშებს, გლეხებს და მოსამსახურეებს ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის სესხს. სესხის განაღდებით მიღებული ყოველი მანეთი მოხმარდება ახალი ქარხნების აგებას, სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოების გაძლიერებას და მშრომელთა მასების ცხოვრების გაუმჯობესებას.

ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა.-კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ტაგიევი.**

1927 წ. 31 ოქტომბერი.
თბილისი—სასახლე.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

როგორ მიმდინარეობს ხელის მოწერა

ბაქოში

ბაქო, 2 ნოემბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერის თანხა შეადგენს 1.300.000 მან., აქედან სამრეწველო - საქარხნო რაიონებში გასაღდა—900.000 მან. ობლიგაცია. ფინსახკომში ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ ბაქოში გასაღდება რამოდენიმე მილიონი მან. ობლიგაცია.

თბილისში

ალმასკომში

ინდუსტრიალიზაციის სესხზე კოლექტიური ხელისმოწერა თბილისის აღმასკომის ორგანოებში 2 ნოემბრისათვის გამოიხატებოდა: კეთილმოწყობის ქ-განყოფ. 4.620 მ., საბჭოთა მუშაკების ადგილკ. 4.585 მ., უძრავ-ქონებათა სამმართველოსა და კომუნალურ მეურნ. განყ. 4000 მ. ჯანმრთელობის განყოფ. 3.550 მ., საადგილმამულო განყოფ. 2.100 მან., საკონტროლო განყოფილებაში 840 მან. და ადმინისტრატიულ განყ. 800 მან. სულ 20.945 მან.

ხელისმოწერა გრძელდება.

ჯ.—ზ.

ცენტრალურ პარტსკოლაში

სერგო ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალურმა პარტსკოლამ ხელი მოაწერა 1.390 მანეთის ობლიგაციებზე.

მოძრაობის დარგში

სად. თბილისის მოძრაობის დარგში ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებზე ხელის მოწერის საქმე წარმატებით ჩატარდა; 1496 მუშა-მოსამსახურემ ხელი მოაწერა 22,976 მან. ობლიგაციაზე.

დამატებითი ხელის მოწერა კიდევ სწარმოებს.

რკ. გზის დამზღვევ სალაროში

31 ოქტომბერს შესდგა რკ. გზის საუბნო დამზღვევ სალაროს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზეც მოხსენება გააკეთა ამხ. ლაშქარაშვილმა; მომხსენებელმა განუმარტა კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და მოუწოდა ყველას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სესხის რეალიზაციაში.

მოხსენების შემდეგ, ჩატარდა ხელის მოწერა, ჯერ-ჯერობით თანამშრომლებმა შეიძინეს 800 მანეთის ობლიგაცია.

მ. სიგლიანი.

საქ. პროფსაბჭოში

საქართველოს პროფსაბჭოს ადგილკომის ცნობებით, ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია 100 პროც. ჩატარდა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის და გაერთიანებულ ადგილკომების წევრთა შორის. სესხზე ხელი მოაწერა 115 კაცმა. შეგროვებული თანხა აღემატება 3000 მანეთს. თვითეულ თანამშრომელზე აქ მოდის 28 მანეთის ობლიგაცია.

მე-20 შრომის სკოლაში

მე-20 შრომის სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა შეიძინოს მასწავლებლებისათვის 100 მანეთის ობლიგაციები.

მუშკოოპში

29 ოქტომბრამდე თბილისის მუშკოოპის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს ინდუსტრიალიზაციის სესხის 15.525 მანეთის ობლიგაციებზე. ხელის მოწერა გრძელდება.

ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველოში

ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველოში გაგრძელდა ერთ თვეს. სულ გასაღდა 2.683 მანეთის ობლიგაცია. აქედან 200 მანეთის ობლიგაცია შეიძინა სამმართველოს თანამშრომელმა ლოსაბერიძემ.

თბილისის ტელეფონის ქსელის თანამშრომლები

თბილისის ტელეფონის ქსელის 190 თანამშრომელმა შეიძინა სესხის 2190 მანეთის ობლიგაცია.

სახელმწიფო ოპერაში

ჩატარდა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ. დაწყებულ კამპანიამ დღემდე გასაღა 2.500 მანეთის ობლიგაცია. კამპანია გრძელდება.

ადგილებზე

სად. მცხეთის ნავთსადენში

თბილისის საუბნო კომიტეტის ინსტრუქტორმა ამხ. ლევან აზრუმელაშვილმა სად. მცხეთის ნავთსადენის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებას ვრცლად გააცნო ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და სესხის ობლიგაციებზე ხელის მოწერის პირობები.

მოხსენების შემდეგ მუშებმა ხელი მოაწერეს 200, ზოგმა 100, 50 და 25 მან. ობლიგაციებზე. ხელის მოწერა გრძელდება.

ი. ჯ.

სად. გრაკალი

სად. გრაკალის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის და მისი მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ბაისონაშვილმა, რომელმაც აღნიშნა სესხის ობლიგაციებზე ხელის მოწერის პირობები.

მოხსენების შემდეგ 15 მუშამ ხელი მოაწერა 200 მან. ობლიგაციაზე. ხელის მოწერა გრძელდება.

ო. რ—ლა.

სად. გარდაბანი

სად. გარდაბანის მუშა - მოსამსახურეებმა შეიძინეს 945 მანეთის ობლიგაციები.

გურია

გურიის დაბა სოფლებს შორის სესხის გავრცელების საქმეში პირველი ადგილი უპყრავს ქ. ოზურგეთს, სადაც ხელისმოწერამ გათვალისწინებულ თანხას 50 პროცენტით გადააჭარბა. მთელს ქალაქში სესხზე ხელი მოაწერა 5000-ზე მეტმა მოქალაქემ. გავრცელებულია 15.155 მანეთის ობლიგაცია.

აქედან ინდივიდუალური ხელისმოწერით გასაღებულია 10.150 მანეთის ობლიგაცია, კოლექტიური ხელის მოწერით—5005 მანეთის. 15 ნოემბრისათვის მთელს მაზრაში დანიშნული ობლიგაციები სავსებით განაწილებული იქნება.

გორის მაზრაში

(კამპანია მედსანშრომის კავშირის წევრთა შორის)

1 ნოემბრამდი ქ. გორში მედმუშაკებმა რიცხვით 100 კაცმა ხელი მოაწერეს 1500 მანეთის ობლიგაციებს. გორის რაიონში კავშირის 7 წევრმა შეიძინა 200 მანეთის ობლიგაცია. ხშირია შემთხვევები, როცა დაბალი მედპერსონალი (სანიტარები) კუპონების ნაცვლად ხელს აწერს მთლიან ობლიგაციებზე. დამატებითი კამპანიები ტარდება საექიმო და ფარმაცევტიულ სექციებში და მაზრის დანარჩენ რაიონებში.

უძველესი ხელთნაწერები

ქ. გრაცში

საზღვარგარეთ სამეცნიერო მიზნით მივლინებულ პროფ. გ. ჩუბინაშვილს ქალ. გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოუჩენია უძველესი ქართული ხელთნაწერები.

პროფ. აკ. შანიძემ აღძრა შუამდგომლობა სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის წინაშე, რათა პროფ. ჩუბინაშვილს დაევალოს აღნიშნულ ხელთნაწერების ასლების გადმოღება. სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ ყველა ქართულ საყურადღებო ხელთნაწერების შორის ყოფილა იშვიათი უძველესი ხელთნაწერი სახელწოდებით: „ხან მეტი კანონი“.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

სესხის ვადის გაგრძელება

დასავლეთ საქართველოში წყალდიდობისაგან დაზარალებულ სასოფლო მეურნეობათა ფინანსიური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის გამგეობამ დააკმაყოფილა საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკის შუამდგომლობა მისთვის სესხის სახით მიცემულ 2000 მან. გადახდის ვადის გაგრძელების შესახებ.

ვადა გაგრძელებულია 1928 წლის პირველ ოქტომბრამდე.

სასოფ.-სამ. ბანკების ინსპექტორთა თათბირი

20 ნოემბრისათვის თბილისში მოწვეულია ამ.-კავკასიის რესპუბლიკების სასოფ.-სამ. ბანკების ინსპექტორების თათბირი.

თათბირს დაესწრება სულ 15 ინსპექტორი. აქედან: საქართველოდან—6, აფხაზეთიდან—1, აჭარისტანიდან—1, აზერბეიჯანიდან—3, ნახიჩევანიდან—1, მთიან ყარაბახიდან—1 და სომხეთიდან—2.

წყალსადენის ელექტროფიკაცია

ელექტრონის ენერგიის მომწესრიგებელ სამმართველოს ცნობით, ახლო ხანში დამთავრდება თბილისის წყალსადენის გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე.

წყალსადენის ელექტროფიკაციისათვის საზღვარ - გარეთ შეძენილი იქნა საჭირო აპარატები და ხელსაწყოები. მთელი მოწყობილობა მიღებულია და ამჟამად სწარმოებს მათი დადგმა. წყალსადენის ელექტროფიკაცია ხელს შეუწყობს ქალაქისათვის წყალის წესიერად მიწოდებას და აგრეთვე საგრძნობლად გააიაფებს წყალის ღირებულებას. წყალსადენის ელექტროფიკაციისათვის 1927 — 28 წლის ხარჯთ-აღრიცხვით თბ. აღმასკომმა გადადო 63.223 მანეთი. წყალსადენის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით, წელს შეკეთებული იქნება წყალსადენის ქსელი, დაიდგმება ახალი წყალსაზომები, დაიდგმება ცეცხლის მქრობელი ახალი სისტემის ონკანები, გაყვანილი იქნება ახალი მაგისტრალები გარე-უბნებში, კერძო ბანებში და სხ.

საერთოდ წყალსადენის საქმეზე წლეს აღმასკომი დახარჯავს 676,521 მანეთს.

სოფლის მეურნეობის მომარაგება

სოფლის მეურნეობის მომარაგება.

მიმდინარე სოოპერაციო წლის განმავლობაში „სოფლის კავშირი“ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ძირითად ქსელს მიაწოდებს 1.971.491 მან. სამრეწველო საქონელს აღნიშნული თანხა განაწილებულია შემდეგნაირათ: სასოფლო სამეურნეო იარაღი, მანქანები და წვრილი ინვენტარი—283.000 მან.; ტრაქტორები, გუთნები და სხვა—255.261 მან.; მავნებლებთან საბრძოლო მასალები და ხელსაწყო—768.230 მან.; ღვინის სარდაფების, კრამიტ-აგურის და რძის ქარხნების მოწყობილობა—100.000 მან., ბოსტნეულის და სპეციალურ კულტურის თესლეული—15.000 მან.; ხელოვნური სასუქი—5.000 მან.; რკინეული საქონელი (სახურავი მასალა, მავთული და სხ.)—180.000 მან.; ცემენტი—30.000 მან.; მინა—20.000 მან.; ფურგუნები, და სხვა — 10.000 მანეთის, სხვადასხვა საწარმოო ხასიათის საქონელი—105.000 მან. და მარცვლეულობა (ხორბალი, ქერი, სიმინდი)—200.000 მან.

საქონლის შეძენის დროს, ნაღდი ფული საჭირო იქნება ღირებულების 22 პროცენტის რაოდენობით, დანარჩენ 78 პროც. მიღებული იქნება სესხად ბანკებიდან და იარაღ მანქანებით მოვაჭრე ორგანიზაციებიდან. კრედიტების 21,5 პროც. იქნება გრძელ ვადიანი, 78,5 პროც. მოკლე ვადიანი.

დამხმარე საბჭოები

სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესებისა საქმეში სახელმწიფოსათვის დახმარების გასაწევად და სკოლებსა და მშრომელ მასებს შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, პროფგანათლების მთავარ მმართველობამ გადასწყვიტა სოციალურ აღზრდის და პროფტექნიკურ განათლების სასწავლებლებთან მოეწყოს დამხმარე საბჭოები.

პროფგანათლების მთავარ მმართველობამ უკვე შეიმუშავა საბჭოების მოწყობის გეგმა და წესდება, რომლის მიხედვით საბჭოებს ირჩევენ მშრომელთა საზოგადო კრებებზე. საბჭოების მიზანია მიიღონ სათანადო ზომები სკოლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ პედაგოგიურ საბჭოებს სწავლის წესიერად წარმართვის საქმეში. იგივე საბჭოები აარსებენ ფონდებს ღარიბი მოწაფეების დასახმარებლად.

საჭირო თანხებს საბჭოები აგროვებენ მშრომელთა შორის თვითდაბეგვრის გზით და ამავე დროს ღებულობენ დახმარებას სახელმწიფო საზოგადო დაწესებულებებიდან. ამავე მიზნით აწყობენ საქველმოქმედო წარმოდგენებს, კონცერტებს, საღამოებს და კინო-ლოტარეებს [illegible]. საბჭოები იწვევენ მშობლების საზოგადო კრებებს, რომლებზედაც დამხმარე საბჭოების წევრები აკეთებენ მოხსენებებს თავიანთი მუშაობაზე. ამავე კრებას პედაგოგიური საბჭოები აცნობს სკოლის მდგომარეობას და მართავენ ლექციებს მოწაფეების სკოლის შემდეგ შინ აღზრდის შესახებ.

გერმანელ ინჟინერის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა გერმანიის საკონცესიო-საამშენებლო საზოგადოების „ალტებაუაგის“ მთავარი ინჟინერი რუდოლფ შმიდტი. თავისი ჩამოსვლის მიზნის შესახებ შმიდტმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— ჩვენი საზოგადოება წარმოადგენს ყველაზე უძლიერეს საამშენებლო-საინჟინერო საზოგადოებას მთელს გერმანიაში. „ალტებაუაგს“ აღებული აქვს სხვადასხვა კონცესიები ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. უკვე დიდი ხანია „ალტებაუაგს“ და „ოუენსტალს“ შორის მოხდა შეთანხმება ჩვენთვის მთელი რიგ ახალ სამუშაოთა გადაცემის შესახებ. ამჟამად ჩვენ ვაწარმოებთ მუშაობას სამხრეთ რუსეთში 4 ქარხნის მოსაწყობათ.

მე დავალებული მქონდა გამომერკვია თუ რა სამუშაოების შესრულება შეგვეძლო ჩვენ ამ.-კავკასიაში. ამ მიზნით მე გავეცანი „რიონ ჰესის“ სამუშაოთა მდგომარეობას და იმედი გვაქვს, რომ ავიღებთ სადგურისათვის საჭირო ზოგიერთ ნაგებობათა შესრულების საქმეს, მაგრამ საბოლოოთ ეს საკითხი კიდევ არ გამორკვეულა, ვინაიდან ჯერ კიდევ არაა დამტკიცებული რიონჰესის საამშენებლო ტეხნიკური პროექტი.

ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას „აზნევთთან“ ზოგიერთი ახალი ქარხნების ასაგებათ. საბჭოთა კავშირში, „ალტებაუაგის“ ფირმა მუშაობს მხოლოდ მთავარი საკონცესიო კომიტეტის მითითებით.

ახალი ჰიდრო-ელსადგური აბასთუმანში

ინჟ. ბ. ჰუჯინაძემ შეიმუშავა აბასთუმანში ასაგებ ახალი ელსადგურის პროექტი. ამ პროექტით ჰიდრო-ელსადგურის შენება განზრახულია აბასთუმანის და კურცხანის წყლების შესართავთან.

კურცხანის წყლის ხეობაში შესართავიდან ასი მეტრის მანძილზე ზევით აგებულ იქნება საგუბარი ოცი მეტრის სიმაღლით. საგუბრის ასაგებად არჩეული ადგილი გამოსადეგია ისეთი წყალმიმღებ აუზის ასაგებად, რომელიც დაიტევს დღიურ რეგულიაციისათვის საჭირო წყალს. კურცხანის წყლის ვიწრო ხეობა საგუბრის ასაგებ ადგილს ზევით შესამჩნევად ფართოვდება და საშუალებას იძლევა მცირე ხარჯით მოეწყოს ასი ათასი კუბიკური მეტრ წყლის შემცველი აუზი. პროექტით საჭირო აღარ არის მდ. აბასთუმანზე ბრჯენის აგება. უამისოდაც ორივე მდინარის წყალი გამოყენებული იქნება: მდ. აბასთუმანის წყალი სადერევაციო არხით შეუერთდება კურცხანის წყალმიმღებს. წყალმიმღებ აუზიდან წყალი რკინა-ბეტონის მილით ან ერთ კილომეტრიანი არხით გაყვანილ იქნება ელსადგურამდე, სადაც დაიდგმება ორი 250 ცხენის ძალიანი აგრეგატი. ახალი სადგურის ასაგები ხარჯთაღრიცხვა ვარაუდით უდრის 500.000 მანეთს, მაგრამ გათვალისწინებულია ელსადგურის თანდათანობით აგება დატვირთვის ზრდის მიხედვით.

ქრონიკა

„რუსპერსბანკის“ დირექტორის ჩამოსვლა

გუშინ თეირანიდან თბილისში ჩამოვიდა სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ბანკის დირექტორი ა. მერტცი.

მთავრობის ანგარიში

საქ. სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა შეადგინოს საქართველოს მთავრობის 1926—27 საბიუჯეტო წლის მოქმედების ანგარიში. ამის გამო სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ცალკე კომისარიატებს დაჩქარებით წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის ვრცელი მიმოხილვები.

მუშათა უნივერსიტეტები

თბილისის მუშათა უნივერსიტეტებში მისაღები განცხადებების მიღება გრძელდება 15 ნოემბრამდე. პირველი გამოცდები იწარმოებს 10 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე. ქართულ უნივერსიტეტში შესვლის მსურველთათვის—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რუსულ უნივერსიტეტში შემსვლელთათვის—რუსულ მუშფაკში (ბებუთოვის ქ. № 28); მეორეჯერ გამოცდები იწარმოებს 15 ნოემბერს—5 საათზე.

საზეიმო გახსნა მოხდება 8 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მოწვეული არიან ყველა ისინი, ვისაც შეტანილი აქვთ განცხადება. მოწვეული არიან აგრეთვე მსურველებიც.

500 მანეთის მოგება

გუშინ ერთ-ერთმა თავისუფალი პროფესიის პირმა სახელმწიფო ბანკის ა. კ. კანტორაში წარადგინა 1924 წლის მეორე 6 პროცენტიანი სესხის მეშვიდე ტირაჟში გათამაშებული ობლიგაცია—სერია მეოთხე № 504.965, რომელმაც მოიგო 500 მანეთი.

ობლიგაცია მიღებულია გასანაღდებლად.

ექსპედიცია მყინვარწვერზე

პარასკევს, 4 ნოემბერს, ყაზბეგში მიემგზავრება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილების ექსპედიცია მყინვარწვერზე (ყაზბეგის მთაზე) ასასვლელად. ექსპედიციის მიზანია—სცადოს ღრმა შემოდგომას მყინვარწვერზე ასვლა და თუ ეს მოხერხდა, ამით აღნიშნოს: 1) ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი, 2) საბჭოთა საქართველოში კავკასიონის მწვერვალებზე ასვლის ხუთი წლის თავი, 3) საქ. გეოგრ. საზ-ის „მთასვლა-მგზავრობის განყოფილების“ წევრთა მეათე ასვლა კავკასიონის მწვერვალზე, 4) დამთავრება იმ მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა, რომელთაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის ზაფხულს.

ექსპედიციის შემადგენლობა—უფროსები: მკურნალი— ი. ასლანიშვილი და ხ. ჯაფარიძე, ექსპედიციის წევრები: დ. მიქელაძე, ვ. თულაშვილი, ა. ბენაშვილი, შ. მიქელაძე; მეგზურები: გ. წიკლაური, ი. კაზალიკაშვილი და 7 მზიდველი.

ექსპედიციას მატერიალური დახმარება აღმოუჩინა საქართველოს სახკომსაბჭომ.

საექსპორტო თათბირი

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც თავის პროდუქცია გააქვთ საზღვარგარეთ. თათბირმა დაადგინა მიიღოს ზომები მეორეხარისხოვან საექსპორტო საქონლის კონტინგენტის ყოველმხრივ გასაფართოებლად და გასადიდებლად. „ზაკსოიუზს“ და ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დაევალა შეიმუშაოს დამატებითი ღონისძიებები მეორეხარისხოვან საქონლის წარმატებით გასატანად უცხოეთის ბაზარზე.

თათბირმა ამასთანავე დაადგინა არსებულ საექსპორტო ნომენკლატურას დაუმატოს ინფუზორიტი, ლიტოგრაფიული ქვა, გლაუბერის მარილი, ჯიჯიმი და აბრეშუმი აზერბეიჯანიდან.

საპნის დამზადება

საგეგმო კომისიის სამრეწველო სექციამ საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს წარუდგინა მოხსენება ზეთ-საპნის ტრესტის ნედლეულის მომარაგების შესახებ. საგეგმო კომისიამ განიხილა მოხსენება და დაადგინა ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს სთხოვოს, რათა ზეთ-საპნის ტრესტს მიაწოდოს 365.000 ფუთის ბამბის კაკალი.

თბილისის აღმასკომში

- **ყოფ. ჯარისკაცთა ბაზარი** თბ. აღმასკომმა გადაიტანა ვანქის ქუჩის ქვევით, მტკვრის ახლოს. ძველ ადგილას ეწყობა მწვანე ბაზარი.
- **ავტომატიური ტელეფონები.** თბ. აღმასკომი სახ. კავშირის სამმართველოს მეშვეობით შეუდგა ავტომატიურ ტელეფონების მოწყობას ქალაქში.
- **ტრამვაის მუშათა სახლის მოწყობა** სავსებით დამთავრდება ამ წლის ბოლოს. სახლში ჩასახლებული იქნება 1000-მდე სული.
- **ზოოლოგიური ბაღის მოწყობა** უკვე დაიწყო. წინასწარი სამუშაოსათვის თბ. აღმასკომმა დამატებით გადასდო 50.000 მანეთი.
- **ქალ. სასტუმროების** შესაკეთებლად გადაიდო 40.000 მანეთი.
- **ნახშირი.** თბ. აღმასკომმა სატყეო ტრესტს დაავალა დაამზადოს ქალაქისათვის საჭირო ნახშირის რაოდენობა.
- **საავადმყოფოს გაფართოება.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოოს 1-ლ საავადმყოფოს სადოსტაქრო განყოფილება.

სახ. უნივერსიტეტში

- **უნივერსიტეტის ვესტიბიულის** შესაკეთებლად სახ. უნივ. გამგეობამ გადასდო 200 მან.
- **სამხედრო ორკესტრი.** სახ. უნივერსიტეტთან სტუდენტებისაგან ეწყობა სამხედრო ორკესტრი. საჭირო ინსტრუმენტების შესაძენად გადადებულია 500 მან.
- **სტუდენტებისათვის** საექიმო დახმარების საქმის მოსაგვარებლად შესდგა, კომისია პრ. შ. ნუცუბიძის თავმჯდომარეობით.
- **უნივერსიტეტის მუზეუმის** უფრ. ასისტენტად გარდაცვლილ დ. კარიჭაშვილის ნაცვლად დაინიშნა ალ. ბარამიძე.
- **ლაბორატორიებში.** უნივერსიტეტის ლაბორატორიებისათვის საჭირო ნივთების შესაძენად გადაიდო 10.000 მანეთი.
- **პრ. ს. გოგიტიძის შვილები.** სახ. უნ. გამგეობამ დაადგინა უზრუნველყოს სრულწლოვანობამდე პრ. ს. გოგიტიძის ობლები.
- **უნივერსიტეტის** ოპერატიულ-ქირურგიულ კათედრას წითელ-მეთაურთა სკოლის ყოფ. გამგემ გედევანიშვილმა შესწირა ქირურგიული იარაღები.

სხვადასხვა

- „თვითმკვლელობა“. გამოვიდა მელიტონ შარაშიძის წიგნი „თვითმკვლელობა საზოგადოებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით“.

კრებები და მოხსენებები

- **ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა კრება.** 4 ნოემბერს, პარასკევს, საღ. 6 საათზე პლეხანოვის სახელობის სალექციო დარბაზში მოწვეულია თბილისის ყოფ. ახ. მარქსისტთა საერთო კრება. დღის წესრიგში არის ერთი საკითხი: „ოქტომბრის რევოლუცია და მენშევიზმის პოზიცია“. დასწრება ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ №-ში სასამართლოს აღმასრულებელ ჯინჯველაშვილის განცხადებაში აბაშიძის სახლის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ, ბოლოში უნდა იყოს: ვაჭრობა ჩატარდება ს. ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით და სახლის მერვედი ნაწილის გამოკლებით, რომელიც ეკუთვნის სხვას.

—:—

შემთხვევები

- მორგებულ გასაღების საშუალებით ლენინის ქ. № 3 აკაკი დათუაშვილის ბინიდან მოიპარეს 180 მ. ნივთები.
- **შეპყრობა.** ქურდობისათვის დააპატიმრეს ივანე ნიკოლოზის ძე ჩერნეცკი.
- **ფანჯრიდან** გადაპარვის საშუალებით 1 ნოემბერს დავიდოვის ქ. № 2 გაქურდეს ვერა ბრეგვაძის ბინა. წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.
- **თბ. აღმასკომში** სამსახურის დროს გერასიმე კალანდაძეს მოპარეს პალტო.
- „**უზპროფსოჟ**“-ში, საერთო საცხოვრებელ ბინაში ვლადიმერ გოგობერიძეს მოპარეს ჩემოდანი სხვადასხვა ნივთებით.
- **ადუღებული სამოვარი.** 4 ნოემ. სასამართლოს ქ. № 46 მარკოზ ხუბულაშვილის დერეფნიდან მოპარეს ადუღებული სამოვარი.
- **ამავე დღეს** ზავედენიის ქ. № 21 გაქურდეს ვერა ლიუციანის ბინა.

სასამართლო

მოსამართლე ზურნით

მოგითხრობთ ამბავს, თუ როგორ იწვევა სოფელ ტყვიავის გლეხობა სასამართლოს სესია ზურნით მეჯვრისხევიდან (გორის მაზრაში). ჯერ გაგაცნობთ სახალხო მოსამართლეს, რომელიც თავმჯდომარეობდა სესიას. ეს გახლავთ მიხეილ იოსებისძე სადალაშვილი. კაცი ფრიად დიდი ნიჭით აღჭურვილი, რომლის ხელში ბევრი გლეხის ბედ-იღბალი ყოფილა, რომლის წინაშე ბევრ ბრალდებულს შიშით და კანკალით გაუვლია. როგორი იყო ის, როგორც მოსამართლე, ამაზე ლაპარაკს არ ვაგრძელებთ, მხოლოდ ვიტყვით, რომ საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით, მიხეილ სადალაშვილი ნამდვილი [illegible] თამადა გახლდათ. რომ ასე არ ყოფილიყო, ვინ აირჩევდა მას თამადათ მეჯვრისხევის წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ მოწყობილ ნადიმზე?

რა კი ლაპარაკი ჩამოვარდა წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა ნადიმზე ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ ერთ შესანიშნავ მომენტს ჩვენი „მოსამართლის“ დასახასიათებლად. ჩვენ არ ვიცით რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ ვიცით, რომ ამ ნადიმზე „მოსამართლემ“ ძალიან აითვალწუნა თბილისიდან ჩასული მილიციელი ბორისაშვილი. სიმთვრალეს ბევრი საწყენი მოსდევს. ბორისაშვილმა იწყინა ასეთი ათვალწუნება, მიხეილ სადალაშვილს სამაგიერო გადაუხადა და უთხრა: „შენ მიკიტანი ხარ და არა მოსამართლე“.

ზეიმი გათავდა. ბორისაშვილმა კი მეჯვრისხევის მილიციის საპატიმროში გამოიფხიზლა სხვათა შორის.

ჩვენ გვაინტერესებს ამბავი, თუ როგორ ჩავიდა სასამართლოს სესია სოფელ ტყვიავში ზურნით. ეს ამბავი მოხდა გასული წლის სექტემბერში. სოფელ ტყვიავის გლეხობა მოუთმენლად მოელის მოსამართლეს. „ქორუმს“, „სასამართლო მოდის“, „ვაშაო“, გაიძახიან გლეხები.

საინტერესოა როგორ გაიგეს გლეხებმა მოსამართლის ჩასვლა.

ღამეა. ირგვლივ სრული სიჩუმეა. სოფელს სძინავს ტკბილი ძილით. უეცრად ჩიხლაძის სახლიდან ისმის მრავალჟამიერი. გავიდა ცოტა ხანი და ზურნის და დოლის გრიალმა მთელი მოსახლეობა ფეხზე დააყენა. ისმის ქალების კივილი. რაშია საქმე? (ზურნის მოყვარე გლეხები გარს შემორტყმენ ჩიხლაძის სახლს. [illegible] ქალების [illegible] სიტყვები. გლეხები იბრძოდენ ფანჯრებში, ჭუჭრუტანებში და რას ხედავდენ? ეს ჩვენი „მოსამართლე“ სადალაშვილი თავის ამქრებით რაიმე არ ჩადის მეტად საცოდავ ყოფა - ქცევის ქალებთან. აზრიალდა ზურნა და „მოსამართლემ“ დაუარა ფერხული. ქეიფი როგორ გათავდა, არავინ იცის. „მოსამართლე“ სადალაშვილი და [illegible] იქვე [illegible] ბაღში მძინარე. ასე „დამშვენებული“ ჩავიდა ტყვიავში სასამართლოს სესია მოსამართლე სადალაშვილის თავმჯდომარეობით.

რომ სავსებით ნათლად წარმოგვიდგეს „მოსამართლე“ სადალაშვილის სახე, დაუმატებთ, რომ მან „ხელის მონაცვლეობაც“ ხშირად იცოდა გლეხებისაგან. სიყალბეებსაც არ გაურბოდა, თუ ჯიბეს ბარაქას მოუმატებდა ეს.

ეხლა კი „მოსამართლე“ ზის არა სასამართლოს სავარძელში, არამედ იქ, სადაც მას თავისი განაჩენით ბევრი გაუგზავნია.

გერ.

„ვატმან“ ოგანეზოვის საქმე

(პროცესის მესამე დღე)

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა მხოლოდ ერთი მოწმე, რომელსაც ახალი არაფერი შეუტანია სასამართლო ძიებაში. მოწმეების დაკითხვა დამთავრდა. სასამართლო მთელი შემადგენლობით დაათვალიერებს კატასტროფის ადგილს. ვაგონს გამოუშვებენ ღამის პირველ საათზე ტრამვაის სადგურის ქუჩის მოსახვევიდან, გაატარებენ კატასტროფის ადგილას და ამრიგად შეამოწმებენ, რამდენი მანძილი იყო საჭირო ვაგონის შესაჩერებლად, დაცულია ყველა წესები, რაც ვაგონის წამყვანს მოეთხოვება.

დღეს განახლდება სხდომა. მოისმენენ ექსპერტების დასკვნას და დაიწყება მხარეების კამათი.

მფლანგველები ფოსტა-ტელეგრაფში

(პროცესის მეორე დღე)

გუშინდელ საღამოს სხდომაზე დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. მთავარი ბრალდებული (ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე): კონსტანტინე კუჭუაშვილი ცდილობს თავი იმართლოს ქაოტიური მდგომარეობით, რომელიც კავშირში არსებობდა. ბრალდებული აცხადებს, რომ მოსკოვში მივლინების დროს მიღებულ თანხიდან 550 მანეთიდან მან მხოლოდ 310 მანეთი გაანაღდა, დანარჩენი თანხა კი დარჩა მასზე, რადგან ვერ შესძლო დაფარვა. 250 მანეთი მე მქონდა აიხსნათ, აცხადებს ბრალდებული, ეს ყველამ იცოდა და არ უნდა ჩამეთვალოს გაფლანგვად.

ყველაფერს ფარდას ხდის მეორე ბრალდებული ლეონიდე კოლელიშვილი, სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ, კოლელიშვილი უპასუხებს: „თავს ვსცნობ დამნაშავედ მხოლოდ იმაში, რომ კუჭუაშვილს საშუალება ვაძლევდი ჩაეტანა ყალბი და მიეთვისებინა ფულები. რამოდენიმეჯერ მომიწერია ხელი ყალბ ანგარიშზე. მახსოვს შემთხვევა, როცა 101 მანეთის ანგარიშზე მომიწერია ხელი კუჭუაშვილმა. ეს ფული კი თვალითაც არ მინახავს. კუჭუაშვილი მეუბნებოდა დანაკლისი მაქვს სალაროში და ამ ყალბი ანგარიშებით უნდა დავფარეო“.

პროცესს დიდძალი ხალხი ესწრება.

მკვლელები

დასრულდა მოწმეების დაკითხვა აშუროვის და მხითარიანის მკვლელების კობახიძის და მალაქიანის საქმის გამო. საღამოს 6 საათზე დაიწყო მხარეების კამათი. დღეს გამოტანილი იქნება განაჩენი.

თბილისის პროლეტარიატი

ქუთაისის საპ. მეოთხე აფთიაქის თანამშრ. გამოწვევით შემომაქვს საპქ. მესამე აფთ. თანამშრ. მიერ გადებული ათი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდისათვის.

ქ. ცქიფურიშვილი.

ამხ. თულაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებად და ვიწვევ შემდეგ სამაზრო საპატიმროების უფროსებს: ს. ი. ქავთარაძე (ფოთი) ძ. ზარქუა (ზუგდიდი), ვ. ავალიანი (სიღნაღი) კალანდარიშვილი (თელავი), კოპტონაშვილი (ახალქალაქი), ჩალაბოვი (ახალციხე), მენაბდე (ოზურგეთი) მოდებაძე (შორაპანი), კერესელიძე დომენტი (რაჭა), ძიძიგური (გორი).

მიხეილ ჯანელიძე.

გიგზავნით 19 მანეთს „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად.

სენაკის სამხროფბიუროს კომუჯრედის დავალებით **ხარ. ბესელია.**

რაიადგილკომის სახელით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ ცხრა მანეთი და ვიწვევ ლეჩხუმს მაზრის შემდეგ ადგილკომებს: ნაკურალეშის, ლაილაშის, ჩრებალოს, მექვენის, ცაგერის და ლაშხეთის განათლების მუშაკთა რაიადგილკომებს.

განათლ. მუშ. ზუგ.-ოჯურეშის რაიადგილკომის მდივანი **ა. ჩაკვეტაძე.**

ამხ. კატო მარშანიას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი მიმინოშვილს, ნინო კიზირიას, ილუშა ჩიქობავას, ბაგრატ მარკოზიას, ილა ბედიას, ანტონ ფარცვანიას, სევერიანე კვტიას, ვია კუშელავას, აქვსენტი გაბელიას, ალექსანდრე მოსიას, დომენტი ბალათურიას და კლიმენტი ჯანტურიას.

ლიდა ჯანტურია.

ამხ. ბოჭორიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლავრენტი გედევანიძეს, იულონ მიხ. ხაჭაპურიძეს, პეტრე დავით. კანდელაკს, გრიგოლ ავალიანს, მინადორა ავალიანს, შალვა ქორიძეს, ეკტიმე ასათიანს, ამბროსი გვახალიას, მაქსიმე ხაჭაპურიძეს, შალვა ხიმ. ბალიაშვილს, შალვა ამბაკ. ფარულაშვილს, გრიგოლ ამბაკ. ფარულაშვილს, ლეო ცანავას, მარო ეფრემიძეს, პავლე ჩერქეზიას, ილია ჩიხლაძეს, ლევრ. მაღლაფერიძეს, კუკუშია კვერნაძეს, ბიქტორ ქიოშვილს.

შალვა ჩიხლაძე.

თანახმად სიმონ ბერიძის და აპოლონ ყიფიანის გამოწვევისა თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ შემომაქვს 5 მანეთი.

ეჯ. ბელოვანი.

ამხ. ვ. გოგის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ პირებს: ე. ჯ. კოჩიშვილი (ქარელის „ეპოს“ ბუხჰალტერი), ხ. გონგლიაშვილი (ეპოს თავმჯდომარე), ოქროაშვილი ვარლენ, გოდელაძე ვ., თედიაშვილი, ვ. ჩიქვანი (გორის ეპოს თავმჯდომარე), ვ. თედიაშვილი (ქარელი), ლ. ჩინჩალაძე, ცერცვაძე ს., ჯიოშვილი, ხეთაგური, კვარაცხაძე, ხერშა, სანაძე.

ვ. თიგალაშვილი.

თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად მეექვსე ლეგიონის მეხუთე ასეულის უფ. პოლიტშემადგენლობის სახელით შემომაქვს 11 მანეთი.

შორაპნის ადგილკომთან არსებულ კულტკომისიის შემომაქვს 132 მან. 36 კაპ. შორაპნის მუშათა კლუბში ა. წ. 1-ლ ოქტომბრის მოწყობილ საღამოდან შემოსული და ვიწვევ შემდეგ ადგილკომებთან არსებულ კულტკომისიებს: ოზურგეთის, ბათუმის, სამტრედიის, ზესტაფონის, ქიათურის და ხაშურის.

კულტკომისიის თავმჯდომარე **მ. კვაჭაძე.**

ამხ. აქვსენტი ზვანბაიას და იასონ შენგელაიას გამოწვევის გამო თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სოფ. სიმონეთის კოოპერატივის გამგეს პანტელეიმონ აბესაძეს, ამავე კოოპერატივის ბუხჰალტერს ალექსანდრე ბერძენიშვილს, ნოქარს—მანუელ გვენეტაძეს, ქვედა სიმონეთის აღმასკომის თავმჯდომარეს—ვანო ჩავიძეს, წარმოკავშირის სიმონეთის განყოფილების გამგეს—კოლია ბაქრაძეს, წარმოკავშირის ბუხჰალტერს—ვარლამ ლოლაძეს, სიმონეთის თემის ექიმს ერმი ქართველიშვილს.

აბესალომ ღვინეფაძე.

ამხ. ბ. პ. რაზმაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ზოსიმე კალანდიას, ივანე გოგზალოვს, სამსონ ტომარაძეს, ნესტორ რუხაძეს, მიხეილ ვასილიევს და დათიკო დევდარიანს.

აქვსენტი რაზმაძე.

ვიქტორ ცავას გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს: მიშა და ალი კანკავებს, ვასო ქობულიას, სოლომონ ქუთათელაძეს, აქვსენტი ფარულავას, ლეონიდ გოლეტს, გრიშა ფარულავას, ცირვა და გოგუცა კვარაიებს, გრიგოლ ქოლოკავას, თაშო მიქაშავიძეს, აბესალომ—ინჟ. ალექსანდრე შახოვს, ტეხნიკ—რომან ქელინეს, ვერა ნემსაძეს, თომარ ცხაკაია-გაბუნიას, აქვსენტი წულაიას, დათიკო გოგიავას, ალიოშა ჯანტურიას, ფირა ცომაიას, ელენა ცავას და პეტრე წოწორიას.

ქსენია ლაზარტყავა.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შინა-ვოენვედ-ხელოსანთა კავშირის ამხ. გამგეობის წევრებს და თანამშრომლებს: ამხ. დ. ნახარიძეს, ვასო ჯოხაძეს, ვარლამ იაშვილს, ა. აიგაზოვს, ჰაიკო ფილოსიძეს, გ. ჩუბინიძეს, დოლიძათეგიშვილს, ამავე საზოგადოების საქმის მმართველს მ. დიასამიძეს და კლუბის გამგეს ხოჯაპარიძეს და საზოგადოების თანამშრომლებს.

მ. ჩოდრიშვილი.

შემომაქვს ორი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ პირებს: ქუთაისის სატყეოთ ტყეთა ინსპექტორს ჯამა ლომინაძეს, მიხეილ მინდიაშვილს, გრიშა ქანუკაძეს, გასხაძეს.

ბაღდადიდან: ტყეთა გამგეს სილოვან მახვილაძეს, ჰაათურის სატყეოდან ტყეთა გამგე მიშა სამხარაძეს, დათიკო კოჩიაშვილს, პავლე გამყრელიძეს, მიშა ვეშაძეს.

სერგო ლალიაშვილი.

დღეს შემოვიდა 222—36.
სულ შემოსულია 7.880—60. და ერთი მაჯის ოქროს საათი.

ამიერ-კავკასიის ცაკში

გლეხობის გასვლა სამუშაოზე

ა. კ. ცაკის დადგენილებით, რესპუბლიკანურმა ცაკებმა უნდა დაავალონ სათანადო შრომის სახ. კომისარიატებს—მოახდინონ სოფლის მოსახლეობის სამუშაოზე გასვლის დაწვრილებით გამოკვლევა. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ გამოკვლევის დროს შრომის კომისარიატის ორგანოებს.

ა. კ. ცაკმა გამოყო სპეციალური კომისია მ. ბაგიროვის (თავმჯდომარე), ა. ხაჩიევის, ა. იაშვილის, შეფტელის და აიგაზოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებები სოფლის მცხოვრებლების სამუშაოზე (სამუშაო) არა ორგანიზაციულად გასვლის წინააღმდეგ. კომისიამ თავისი დასკვნები უნდა წარუდგინოს ა. კ. ცაკის პრეზიდიუმს.

მიწათმოქმედების სახ. კომისრების თათბირი

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის საერთო საკითხების შეერთებულათ განხილვის მიზნით და სამეურნეო გეგმების ძირითად საკითხების შესათანხმებლათ, ა.-კ. რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისრების თათბირი, ა.-კ. ცაკის დადგენილებით, მოწვეული იქნება ყოველ წლიურად ორჯერ.

თათბირის დადგენილებები სავალდებულო იქნება მას შემდეგ, როდესაც მათ დამტკიცებს სათანადო რესპუბლიკების სახკომსაბჭო, დადგენილებათა შესრულებაზე მეთვალყურეობა თათბირს შეუძლია დაავალოს ერთ-ერთ მიწათმოქმედების სახ. კომისარს.

უახლოეს თათბირის პროგრამაში შეტანილია საკითხები ამიერ-კავკასიის ნედლეულ მეურნეობის შესახებ, მიწის განოყიერების გავრცელების და სოფლის მეურნეობათა მექანიზაციის შესახებ.

უახლოეს თათბირის მოწვევა დაევალა ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმს.

ახალი მშენებლობა

ახალი წარმოებების აგების დასაჩქარებლად სულ წლის განმავლობაში გაცემულა 872.241 მან. აქედან ოზურგეთის კაკლის სარჩევი ქარხნის მოსაწყობათ—29.947 მან.; შინდისში, მეჯვრისხევში და ახალციხეში ხილის საშრობი ქარხნების ასაგებათ—413.754 მანეთი, ბეჟანში და სიონში რძის ნაწარმოებთა ფაბრიკებისათვის—160.000 მანეთი და ქუთაისის კირის ქარხნის ასაგებათ—250 მანეთი.

სულ წლის განმავლობაში დახარჯულა 1.276.293 მანეთი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„მაზეპა“

აი, პირველი სანიმუშო წარმოდგენა, სადაც სრულიად არ აქვს ადგილი ექსპერიმენტალური დადგმების პრობითობას (რაც ასე მიღებულია რეჟისორთა მიერ მიმდინარე სეზონში) და სადაც მოცემულია მხატვრული მიღწევები. ოპერა დადგმულია ანტონ ეიხენვალდის მხატვრული პრინციპების მიხედვით.

ოპერის სიუჟეტი მთლიანად აღებულია პუშკინის პოემიდან „პოლტავა“, ამავე დროს ოპერის ლიბრეტოში მრავალი ლექსი უცვლელად არის დატოვებული. მთავარ პარტიების შემსრულებელთა შემადგენლობა მთლიანად ახალია, გარდა კოჩუბეის პარტიისა.

ოპერის გმირი ქალის—მარია კოჩუბეის პარტია დაწერილია ჩაიკოვსკის მიერ ლირიულ სოპრანოსათვის. მიუხედავად ამისა, ამ მძიმე პარტიის კარგად შესრულება მაინც შესძლო ნიჭიერმა სლივინსკიამ (დრამატიული სოპრანო), თუმცა მსახიობი მოისუსტებდა დრამატიული ხასიათის ადგილების შესრულებაში (პირველი სცენა ანდრიასთან და სცენები მაზეპასთან და დედასთან მე-3 აქტში). პირველი აქტის მასიურ სცენაში საჭიროა მეტი მონაწილეობის მიღება მოქმედებაში და უფრო მრავალფეროვანი მიმიკა.

ძალიან კარგად ასრულებს მსახიობი ნანას [illegible] სიკვდილის წინ, მაგრამ შემდეგ სცენაში მაზეპასთან, დაუშვებელია ამდენი პოზიროვკა.

მაზეპას პარტია დაწერილია ლირიულ - დრამატიულ ბარიტონისათვის. ამ პარტიის ასრულებს ორლოვი. ის უთუოდ მუსიკალური მომღერალია; მას ლამაზი ლირიული ბარიტონი აქვს, მაგრამ მაზეპას პარტია ყველგან არ უდგება მის ხმას. არა საკმაოდ ნათელი იყო სცენა კოჩუბეისთან პირველ აქტში.

სცენა «Пошли меня, пошли к царю» კარგად იყო მსახიობის მიერ შესრულებული. კარგია სცენა მარიასთან. აქ დიდი ტემპერამენტი ჩანს სიმღერაში. სცენა ბრძოლის ველზე (მე-3-ე აქტი) შეუძლებელია შესრულებულ იქნეს კონცერტულად სიმღერით. მსახიობმა ფრიად მუსიკალურად შეასრულა არია სიკვდილის წინ.

კოჩუბეის პარტია დრამატიულის მხრივ მხატვრულად აქვს დამუშავებული შენიაევს. არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი ზედმეტი ჟესტი. ყველაფერი რეალურია. მაზეპასთან სცენაში (პირველი აქტი) მსახიობის ხმა არ ისმის გარკვევით, მაგრამ სცენა ციხეში მას დიდი ძალა აქვს და მღერის შთაგონებით. დიდი ტემპერამენტი ჩანს აგრეთვე ისკრასთან გამოთხოვების სცენაში.

ვოლჩნენცკაია კარგად ასრულებს ლიუბოვ კოჩუბეის მძიმე პარტიას, მაგრამ სცენიურ მოქმედებაში საჭიროა დრამატიულ მომენტების ხაზგასმა. მასიურ სცენის ფინალი პირველ აქტში და განსაკუთრებით ქალიშვილთან სცენაში უფრო მეტ ექსპრესიას ითხოვს. საუკეთესოთ იყო შესრულებული «Где ты, мое дитятко».

აქ ბევრია ნიუანსები.

ორლიკის დამახასიათებელ და სტილიურ სახეს იძლევა დემიანენკო.

ორკესტრს კარდინალური მნიშვნელობა აქვს ოპერაში. აქ მოცემულია, როგორც დრამის ილიუსტრაცია, ისე ცალკე სიმფონიური პერიოდები. ჯერ-ჯერობით მელიქ-ფაშაევმა შესრულა მხოლოდ საორკესტრო პროგრამა. მეორე აქტის პირველი სურათის ინტროდუქციაში ხაზგასმით არ უნდა იყოს აღნიშნული ფრაზიროვკა. ეს მდგომარეობა მეორდება აგრეთვე მაზეპას სცენის წინ «Тиха украинская ночь».

საერთოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩაიკოვსკის შემოქმედებაში წითელი ხაზით არის გატარებული ორკესტრში მელოდიური სურათის დამოუკიდებლობა ვოკალურისაგან. ეს აუცილებლად უნდა იქნას გამოყოფილი. არ შეიძლება დამამცირებლად ჩავთვალოთ ახალი საბალეტო დადგმა, გარდა მალოროსიული ცეკვისა.

ა. გ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

- **ოქტომბრის რევოლუციის** ათი წლის თავის შესრულების გამო, ჟურნალ „ახალ გზის“ მორიგი 42 ნომერი გამოვა 32 გვერდით.
- **პროლეტარულ მწერალთა შორის.** ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, საღ. 7 საათზე შესდგება საქართ. პრ. მწერალთა ასოციაციის წევრ, ქართველ პროლეტარულ მწერალთა სხდომა, კომკავშირელ მწერალთა და მუშკორთა წრის თანდასწრებით. ამხ. ბენიტო ბუაჩიძის მიერ გაკეთებულ იქნება შემოქმედებითი—საანგარიშო მოხსენება: „პროლეტარული ლიტერატურა, ოქტომბრის ათი წლის თავზე“.
- **„წარსულის ნანგრევებზე“.** პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებული ქართული ცოცხალი გაზეთი „საყვირი“ ოქტომბრისათვის დგამს [illegible] პიესას „წარსულის ნანგრევებზე“. რეჟ. ციციშვილი.
- **„იყავი მზად“!** ნორჩ მაყურებელთა თეატრი 6 ნოემბერს ცირკში გამართავს მასიურ წარმოდგენას: „იყავი მზად“. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს 1000-მდე პიონერი.
- **მ. ნიჟელსკაიას** გამოსათხოვარი კონცერტი, რომელიც უნდა გამართულიყო რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, გუშინ, გაიმართება ხვალ, 4 ნოემბერს კონსერვატორიაში.
- **აკადემიური დრამის** სეზონი გაიხსნება 5 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება „კარმენსიტა“.
- **„ლიუბოვ იაროვაია“.** დღეს მუშათა თეატრის რუსულ დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ლიუბოვ იაროვაია“.
- **კ. ნადირაძის საღამო.** ახლო ხანში ფოთში გაიმართება პოეტ კოლაუ ნადირაძის საღამო.
- **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „სადკო“.
- **პროფ. გიგო გაბაშვილის** სურათების გამოფენა დაიხურება 4 ნოემბერს.
- **ცირკი ბავშვებისათვის.** ყოველ კვირაობით დღისით ცირკში გაიმართება საბავშვო წარმოდგენები.

დღეს კინოებში

— აპოლო—„ალი“.
— არფანტი—„ჰამბურგი“.
— ხოლდი—„ლეონ კუტურიე“.
— დარბაზი—„სახიფათო გზა“.
— პალასი—„მისი სიცოცხლის საშინელება“.
— მინიონი—„ჰამბურგი“.

რკინისგზეზე

მატარებლის დამტვრევა

გუშინ დილას ნავაგი-ალბულალს შუა (აზერბეიჯანის ხაზზე) დაიმტვრა საქონლის მატარებელი № 205. მატარებლის ღერძის გატეხამ, რის გამო ლიანდაგიდან გადავარდა თორმეტი ვაგონი. მათგან ორი—სრულიად დაიმსხვრა, ოთხი საგრძნობლად დაზიანდა და ხუთი—მცირედ. ოთხი ვაგონი გვერდზე გადაბრუნდა.

ხაზი დაზიანდა ოთხასი საჟენის მანძილზე.

თავში დაიჭრა კონდუქტორი კოზლოვი, რომელსაც აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება.

შემთხვევის ადგილზე აჯიკაბულიდან და ბალაჯარიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებლები და შეუდგენ მოშლილ ხაზის ლაგებას, რაც დამთავრდა საღამოს 8 საათისათვის.

მატარებლების მოძრაობა ბაქოსაკენ გუშინ არ სწარმოებდა მთელ დღეს.

შეღავათიანი ბილეთები

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ზეიმის ჩამტარებელ აზერბეიჯანის ცენტრალურმა კომისიამ მიმართა თხოვნით ამიერ-კავკასიის რკ. გზ. გამგეობას, დაუთმოს 250 შეღავათიანი ბილეთი დელეგატებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან მოსკოვში ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

სტიპენდიები

გზათა კომისარიატი იტყობინება, რომ ტეხნიკუმებში და პროფსკოლებში წრევანდელი მოლების მოწაფეები და სტაჟიორები სტიპენდიებს მიიღებენ იმავე რაოდენობით, როგორც წინა წლებში მიღებული სტაჟისტები.

საოჯახო დახმარება

სკოლებში გაგზავნილი რკინის გზელებისათვის ოჯახური მდგომარეობის მიხედვით დანიშნული დახმარების რაოდენობა ოცი პროცენტიდან შემცირებულია 15 პროც.

საწარმოო პროგრამა

ა. კ. რკინის გზის სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზების შეკეთების საწარმოო პროგრამა გასულ წელში, ელექტროტეხნიკური განყოფილების მიერ შესრულებულია 115 პროცენტის რაოდენობით.

შემთხვევების თავიდან აცილებისათვის

აქამდე ამიერ-კავკასიის რკინის გზის უბნებზე მოწყობილია 249 პედალი, რომლებიც ხელს უშლიან მოძრავ მატარებლების ქვეშ ისრების გადაყვანას.

მიმდინარე წელს განზრახულია კიდევ 30 პედალის მოწყობა.

შემთხვევებთან ბრძოლის ადგილობრივ კომისიებს წინადადება აქვთ მიცემული აცნობონ გზის გამგეობას იმ სადგურების სიები, რომლებზედაც საჭიროა გამაფრთხილებელ პედალების მოწყობა.

ბამბის ზეთის გადაზიდვა

ამიერ-კავკასიის რკინის გზამ გამზადა 81 ცისტერნა ბამბის ზეთის გადასაზიდად.

ზეთის გადაზიდვა იწარმოებს საბამბო კომიტეტის დავალების მიხედვით.

მეცნიერება და ტეხნიკა

ავტომატი ფოტოგრაფი

მიმდინარე წლიდან ნიუ-იორკის დიდ ქუჩების კუთხეებში დადგმულია ავტომატიური ფოტოგრაფიული აპარატები, ავტომატიური ფოტო-აპარატი თავისი კონსტრუქციით წააგავს სხვა ავტომატებს, (ავტომატიურ სასწორს, საბილეთო კასას და სხვ.)

საკმაოა ფოტოგრაფიულ აპარატში კაცმა ჩააგდოს ერთი დოლარიანი (ორი მანეთი), რომ ინთება სინათლე, რომელიც ანათებს სურათის გადაღების მსურველის სახეს და მუშაობას იწყებს პატარა ელექტრო-მოტორი, რომელზეც დახვეულია სპეციალური ფოტო-ფირფიტა. წუთის შემდეგ მზად არის 8 ფოტოგრაფია.

ინგლისის ავიაციის სარეკორდო მიღწევა

გაზ. „მატენ" იუწყება, რომ ახლო ხანში ვენეციაში (იტალია) უნდა გაიმართოს გიდროპლანების კონკურსი. მოსამზადებელ ფრენაში, რომელიც ინგლისში მოეწყო, ინგლისელი ავიატორები **კინკედი** და **ვებსტერი** 35 წუთის განმავლობაში ფრენდენ 325 მილის (523 კილომეტრის) სისწრაფით საათში.

დღემდი გიდროპლანით ფრენის სისწრაფეში პირველობა ეკუთვნოდა იტალიელ **მარიო დებერნარდის**, რომელმაც მიაღწია 416 კილომეტრის სისწრაფეს საათში.

დედამიწის გარშემო ცეპპელინით

ფრიდრიხსგაფენში (გერმანია) შენდება ახალი ცეპპელინი „П—127", რომელიც თავისი სიდიდით სჭარბობს დღემდი აგებულ ყველა ცეპპელინებს. მისი აგება განზრახულია დასრულდეს 1928 წ. გაზაფხულზე. ამ ცეპპელინით დ-რ ეკენერს (ცეპპელინების ქარხნის დირექტორს) განზრახული აქვს გადაფრინდეს დედამიწის გარშემო. გარდა თავის რაზმისა და 40 მგზავრისა, ცეპპელინს შეუძლია წაიღოს დიდძალი ტვირთი.

ცხენის მუმია

ძველ ეგვიპტურ საფლავების გათხრის დროს, ქაირის ახლოს, ინგლისელმა არქეოლოგებმა, ადამიანების მუმიებთან ერთად აღმოაჩინეს ცხენის მუმია. იქვე ნაპოვნ წარწერიდან გამოირკვა, რომ ცხენი ეკუთვნოდა ფარაონს, რომელსაც ძლიერ უყვარდა იგი. ცხენის სიკვდილის შემდეგ, ფარაონმა გასცა ბრძანება შეემუმიავთ მისი გვამი და მოეთავსებიათ თვით ფარაონისათვის გამზადებულ სამარხში. ცხენის მუმიის აღმოჩენას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დღემდი სადაოთ მიაჩნდათ საკითხი სარგებლობდენ, თუ არა ეგვიპტელები ცხენებით.

ახალი ვარსკვლავი

„დიდი ქოფაკის" კრებულში აღმოჩენილ იქნა ახალი ვარსკვლავი, რომელსაც სარეკორდო მასა აქვს: იმ დროს, როცა წინათ აღმოჩენილ ყველაზე მძიმე ვარსკვლავების მასა 160-ჯერ სჭარბობს მზის მასას, ამ ახლად აღმოჩენილი ვარსკვლავის მასა [illegible]-ჯერ აღემატება მზის მასას. ეს ვარსკვლავი ოთხმაგია და დედამიწიდან დაშორებულია 500 სინათლის წელიწადის მანძილით (სინათლის წელიწადად მანძილი—მანძილი, რომელსაც სინათლის სხივი გაივლის წლის განმავლობაში).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, დილის 11 საათზე შესდგება ს. კ. პ. (ბ) ც. კ. ბეჭდვითი განყოფილების კოლეგიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

გაზ. „რაბოჩაია პრავდას" რედაქციის მუშაობა მუშკორთა შორის (მომხ. ამხ. ასრიბეკოვი).

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობა (მომხ. ამხ. ბუაჩიძე, მიმდინარე საკითხები.

სავალდებულოა შემდეგი ამხ. დასწრება: **ასრიბეკოვის, სუტირინის, კიკნაძის, მიქაძის, ბიბინეიშვილის, მეგრელიძის, ბუაჩიძის ცხაკაიას, ვოლსკის და/ართმიძის.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის საღრიცხვო-განამანაწილებელ განყოფილებაში ამხ. გოგოლაძესთან.

ირაკლი ჯიქაური, გიორგი კაპანაძე, კირა კლიუმბერგი, გიორგი შავერდოვი, მ. ბერაძე, ისიდორე შალამბერიძე, ივანე პანჯიკაძე, ივანე ფურაია, ვასილ კილოსანიძე, აგრაფინე ჯალალანია, ვლადიმერ ესებუა, ანტონ ვანეთაშვილი, კონსტანტინე ხრამოვსკი, ივანე გურგენიშვილი, პავლე ბრიზნოვი, ალ. ალექსანდროვი, ი. სუროვცევი, მიხეილ ნიცკი, გიორგი ბასილაშვილი, ალ. ივსიანიკოვი, ანტიმონ პოხონელიძე, მ. ალისტრატოვი, კალისტრატე შარაშიძე, ივანე მიქელაძე, ვლადიმერ ისტამბოლი.

თბილისში არ ყოფნის შემთხვევაში ამხანაგებს ვთხოვთ, შეგვატყობინონ მათი მისამართი.

დღეს, 3 ნოემბერს, საღამოს 5ნახ. საათზე აგიტპროპმუშაკის კაბინეტის შენობაში მოწვეულია ყველა ამხანაგების თათბირი, რომლებიც საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ გაგზავნილი იყვენ უჯრედებში მოლოტოვისა და რიკოვის თეზისების დასამუშავებლად მე-15-ტე პარტყრილობისათვის.

მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

ანდრო დოლიძე, იმედაძე, ვოსკანოვი, ტალახაძე, მთვარელიძე, თათარიშვილი, რუბენი, ხაცკევიჩი, ალავერდიანი, ბუკრეევი, ლისოვსკი, მაშკევიჩი, გუმედინი, ნ მახარაძე, ხ. შავერდოვა, ივ. პოლოსოვი, მოლოტნიკოვი, ვინტინი, ვართან ავაქოვი, შირვანსკი, სურხატიანი, ვანციანი, ვარძიელი, პისეცკი, გულოიანი, იონოვი, ვეინგერი, ხოსიანი, ბუდილევი, ადამიანი, რახმანი, მაქსიმოვი, ვაწაძე.

ყველა ის ამხანაგები, რომლებიც სწავლობენ საერთო განათლების კურსებში და ირიცხებიან ამავე სასწავლებლის ახ. ლ. კ. კ. უჯრედში, მოვალენი არიან გამოცხადდენ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ზემო ხსენებულ სასწავლებელში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს, 4 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მე-5-თე პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 166) შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა მე-24 № კომუჯრედის დახურული კრება.

პარასკევს, 4 ნოემბერს საღამოს 7 საათზე აგიტპროპმუშაკის ცენტრ. კაბინეტის შენობაში შესდგება მეთოდ-თათბირი ქალაქის მასშტაბით.

სავალდებულოა დაესწრონ პირველ და მეორე საფეხურის პოლიტსკოლების, უმაღლესი საბჭოთა პარტსკოლის და ახ. ლ. კ. კ. მეორე საფეხურის სკოლის ყველა ხელმძღვანელები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს დილის 9 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიუროს სხდომა ცალკე უჯრედთა ბიუროების მდივნებთან ერთად.

სახ. უნივერს. პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო დღეს, 3 ნოემბერს პირველ საათამდე იწვევს ბიუროს კრებას ა. ლ. კ. კ. ბიუროსთან ერთად. დასწრება სავალდებულოა.

დღეს, სრულ ათ საათზე ამხ. ალექსანდრე რამიშვილი უნდა გამოცხადდეს სახ. უნივერს. აგრონ. ფაკ. კომუჯრედის მდივანთან—ამხ გოგუაძესთან.

საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს პირადი საქმეებისათვის გამოცხადდენ ამხ. ჩანჩიბაძესთან დილის 10 საათზე:

მიხეილ ჩომახიძე; ალექსანდრე ნაზაროვი, აპოლონ ჭანტურია; ილია ლომიძე, ნიკოლოზ ენუქიძე, ალექსანდრე გოგიაშვილი; ვ. სკვარცოვი; ნიკოლოზ კაბერიშვილი; ერ. კალანდაძე; გერასიმე ალბუთაშვილი; ერ. იოსებიძე კალანდაძე, ვასილ ხუბაშვილი; ანა მარგიევა, ლიუსია ბელიანოვა, ფრანჩესკა კირკესალავა; პავლე ბორისოვი; დიმიტრი ლომაძე; სამსონ გერგაია; დიმიტრი ნოვროზაშვილი; ივანე მიქაბერიძე; კორნელი ბახტაძე; ივანე ხუბულური; სიმონ ცინცაძე; ივანე კვიცარიძე; მიხეილ ჩიკვიძე, ხაჭ. ალადაშვილი; გრიგ. კიკვიძე, ვალიკო სიხარულიძე; ევსტ. დზახოვი; ბესარიონ მამულია; მიხეილ მეგრელიძე; მიხეილ იაკობიშვილი, სოლომონ საბაშვილი, დომენტი მელაძე; არტაშეს კალანტაროვი; ივანე ბურდიაშვილი; კონსტანტინე ჯებისაშვილი; სამსონ მარგოშია, ანდრო ლომია; ნიკოლოზ გოგაშვილი, ვასილ გავაშელიშვილი; კონსტანტინე შონიძე; შ. ტაბიძე;

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრს (წიგ. № 8818)
პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიას.

გალაქტიონ დუმბაძეს
პასუხი

კავშირში წევრად ჩარიცხვა ხდება დაქირავებული შრომის პერიოდში. (ე. ი. სამუშაოზე ყოფნის დროს და არა სამუშაოდან გასვლის შემდეგ).

წითელ არმიელ კონსტანტინე ქაჯაიას
პასუხი

სახურავის შეკეთება წარმოადგენს ძირითად შეკეთებას და ასეთი უნდა მოახდინოს სახლის მესაკუთრემ (სახლის პატრონმა) სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 159-ში გათვალისწინებული წესებისამებრ.

გ. გიორგაძეს
პასუხი

წინასწარი სანასყიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მომავალში უნდა დაიდვას შენობის ნასყიდობის გარიგება—ქმნილ უნდა იქნას სანოტარო წესით. (იხ. სამოქ. სამართლის კოდექსის მუხ. 182—1).

განათლ. მუშაკთა კავშ. წევრს (წიგ. № 18,407) მასწავლებელს
პასუხი

თუ კი დამქირავებელმა საღამოს ა. წ. სამი ივნისიდან ჯანმრთელობის გაუარესების გამო, შეგიწყვიტათ დახმარების გაცემა და კვლავ დაგაბრუნათ სამუშაოზე, მაშინ განათლების განყოფილება ვალდებულია მოგცეს თქვენ საზღაური არდადეგების ეკმაგიერი სრულად თუ კი იგი ამას ნებაყოფლობით არ მოგცემს, მიმართეთ სათანადო განცხადებით თქვენ საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას.

დედა ჯარამხანი, მამა ფოკრა, ბაბუა ივანე და ძმა აკაკი ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 31 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მოწაფე

სამსონ გარიჩავა

დაკრძალვა სოფელ ნოჯიხევში 4 ნოემბერს. 311

ექიმი კლიმენტი გიორგის ძე ასათიანი მამით და დებით, და ანა სიმონის ასული და ანტონ თედორეს ძე გალდავაძეები თავის შვილებით და სიძეებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მუდამ დაუვიწყარის და საყვარელ უდროოდ გარდაცვალებულ კბილისის ექიმის

ალექსანდრა (შურა) ანტონის ასულის გალდავაძე-ასათიანის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო, გადახდილ იქნება პანაშვიდი ქ. ოზურგეთში, კვირას, 6 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე. 317

იროდიონ კავჟარაძე გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს დაუვიწყარ გულითად მეგობარ

მარო (ბუთია) კაკაბაძის

უდროოდ გარდაცვალებას ამა წლის 1 ნოემბერს, დილის 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება შაბათს, ა | წ. 5 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 324

უნუგეშო და დატანჯული დედა ნატალია, სამუდამოთ დაჩაგრული და დაობლებული დები კატო, ქსენია და ანიჩკა, ძმები ილიკო, ვოლიკო, კრილე და აკაკი, რძლები საშა, ნინა, ლიდა და ვერა და მისწულები ბორია, დუდიკი, იურა, ალიოშა, ეთერი, თამარა და ლეილა კაკაბაძეები გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს მათთვის მარად დაუვიწყარის და უძვირფასესი

მარო (ბუთია) კაკაბაძის

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას ამა წლის 1 ნოემბერს, დილის 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, (აკაკის ქ. № 9, ყოფ. განოვის). გამოსვენება მოხდება შაბათს ა | წ. 5 ნოემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე. 323

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა ალათი, ცოლი ნინო პატარა თინათი, ძმები ვიქტორ და კოლა ცოლშვილით და ალისა ქმარით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 3 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

ვასილ (ვასო) ნიკოლოზის ძე ფრუიძის

ერთი წლის გარდაცვალების აღსანიშნავათ. 328

ქმარი გრიშა (ბიჭიკო) სილოვანის ძე ორაგველიძე შვილებით მარიკო და ოთარით, ფედოსი სპირდონის ასული ორაგველიძისა, შვილები: ქიფო თალაკვაძისა, ლოლია, კოკოშა და შალიკო სილოვანის ძე ორაგველიძეები, რძალი ბაბო გიორგის ასული ორაგველიძისა, დედა პასიკო გვენეტაძისა, დები: ვერა გოგელიასი, ნინა ხოსიტაშვილისა, და ბაბო ანდრიაშვილისა, ძმა შალიკო ალექსის ძე გვენეტაძე მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავ-ნაცნობთ, რომ ჩვენთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

ნადია ალექსის ასულის ორაგველიძის

გარდაცვალებიდან 40 დღის თავზე ქ. ოზურგეთში მოიდანახის სასაფლაოზე შაბათს, 5 ნოემბერს დღის 3 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. 155

კომუნისტი

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. ხაშურში—კონტრაგენტ ვალოდია კარსანიძესთან.
2. ჭიათურაში—კონტრაგენტ გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—კონტრაგენტ მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. სამტრედია—კონტრაგენტ ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
5. სენაკი—კონტრაგენტ ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. აბაშა—კონტრაგენტ მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. ფოთი—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში.
8. ბათომი—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის
9. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძესთან.
10. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
11. ოზურგეთი—კონტრაგენტ პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
12. თელავი—კონტრაგენტ რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
13. გორი—მაისურაძესთან.
14. სურამი—მჟავანაძესთან.
15. სიღნაღი—კონტრაგენტ ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
16. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
17. სოხუმში—ფოსტა-ტელეგ. კანტორაში
18. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—კონტრაგენტ შიშნიაშვილი ესტატე
19. ბორჯომ-ბალი—მაქაცარია
20. ნავთლუღი—კიოსკი.
21. ხონი—გალდავაძესთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით

0—4 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

„კომუნისტი"

დიდი პოლიტიკური გაზეთი
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
და
თბილისის კომიტეტის
და
სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და
მეზღვაურთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა წლის ბოლომდე

გაზეთი ღირება:

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.
2 „	2 „

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30
2 „	2—60

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.

0—4

აპოლო არფასტო სოლეი დარბაზი

სახკინმრეწვ. კინო-თეატრები

უკრაინის სახკინმრეწვის ახალი სურათი

ალიმ (ყირიმელი მოჯირითე)

პირველად ეკრანზე ღეონ კუტიურიე

მთ. როლში—სოლნცევა (სურათ „აელიტას" გმირი.

გრანდიოზული დადგმა „ჰამბურგი"

რეჟისორი მალიუზეკ.

ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი

„სახიფათო გზა"

0—3 ნ. 1388

ანონსი: მალე ორი რევოლიუც. სურათი „იარე თბილისო" და „ალმართში"

რუსთაველის თეატრი

რუსთაველის თეატრი — სეზონის გახსნა

შაბათს, 5 ნოემბერს პ. ლიპსკეროვის

კარმენსიტა

(არ. მერიმეს რომანით). დრამა 4 მოქ. შ. აფხაიძის დადგმა—ალ. ახმეტელის. მხატვარი—გ. იაკულოვი. მუსიკა—ი. ტუსკიასი.

კვირას, 6 ნოემბერს. დახურული გენერალური რეპეტიცია ოქტომბრის დღესასწაულისათვის მ. ლორთქიფანიძის

ათი დღე (ჯონ-რიდი)

სამხატვრო ხაწ. გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

დასაწ. 8 საათზე. კასა ღია დილის 11—3 საათ-მდე—6—10 სა-დე.

ნ. 153

აპოლო დღეს და ყოველდღე არფასტო

კინო-თეატრებში

უკრაინის ფოტო-კინოს ნაწარმოები

ალიმ

„ყირიმელი მოჯირითე"

ისტორიული ამბავი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან.

რეჟისორი—ტასინ

მხატვარი—უსეინ ბადანსკი

ალიმის როლში

ხაირი ემირ ზადე

სოლნცევა (სურათ „აელიტას" გმირი)

და

შლიხტინგი

მხატვრულ შედევრში

„ღეონ კუტიურიე"

პრესა ალტაცებით შეხვდა ამ ფილმას.

პარტერში ადგილები დანომრილია.

ნ. 154

ცირკი „კოლოს"

სამშაბათს 1-ს; ოთხშაბათს 2-ს და ხუთშაბათს 3 ნოემბერს 1927 წ.

საგასტროლო სანახაობანი

ს. ს. ს. რ. კ. დედა-ქალაქთა ცირკების პროგრამა დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების მონაწ.

უცხოეთის მსახ. 5 ვორტანიო. 7 დონატო—ფრენა. 2 მრეტინი (უცხ. ატრაქციონი). ანატოლი და მიშელ—პოპულიარული კლოუნები და სხვ. №№. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. კასა ღიაა 12—2-მდე და 5 საათიდან.

კვირას, 6 ნოემბერს, დღისით წარმოდგენა ბავშვთათვის. ბავშვები უფასოდ. დასაწყისი 2 საათზე. თვალყური ადევნეთ აფიშებს.

დირექცია—ი. ზ. კუდრიავცევი, რწმუნებული—კ. მ. გროდზიცკი. ადმინისტრატორი მ. ი. ტადე.

ნ. 140 3—1

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტში

ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ელსმენი 10—90

მიიღება ფასიანი ავადმყოფები

წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.

ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში

ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი

25—1 ქვ. 288

ალმასკომის აგურის ქარხ. სამმართველო

ა ც ხ ა დ ე ბ ს, რ ო მ 10 ნოემბერს 1927 წ. დილის 10 საათზე სამმართველოს შენობაში მაჩაბლის ქ. № 1 შესდგება

განმეორებითი შეჯიბრება

შეიდი აგურის ქარხნისთვის დასაყალიბებელ ქვიშის მოწოდებაზე რაოდენობით: 2 990 კუბ. მეტ.

ვაკესთვის—1 820 კ. მ.
ღრმა-ღელე—780 „
ავლაბარი—390 „

საერთო ჯამით დაახლოებით 10.000 მან.

ჩაბარების ვადა 1928 წ. 1-ლ აპრილამდის.

აღნიშნულ სამუშაოს შესრულებაზე მსურველებმა უნდა შემოიტანონ სამმართველოში განცხადება გადახდილი სათანადო საღერბო გადასახადით 10 ნოემბერს დილის 10 საათამდის.

დაწვრილებითი ტეხნიკური პირობების მიღება შეიძლება სამმართველოს კანცელარიაში.

321 აგურ, ქარ. სამმარ. გამგე: ჯაფარიძე.

1927 წ. 30 ოქტომბრიდან წევრთა საზოგადო კრების დადგენილების თანახმად გამოცხადებულია თბილისისა და მისი გარე-უბნის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ—ბა

„მდელოსი"-ს ლიკვიდაცია

კრედიტორებს უფლება ეძლევათ ამა განცხადების გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში წარმოადგინონ თავისი პრეტენზიები აღნიშნული ამხ—ბის მიმართ სალიკვიდაციო კომისიაში (გრაფის ქ. № 9), აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი პრეტენზიები არ იქნება განხილული.

326 სალიკვიდაციო კომისია.

იყიდება

ორი თვალი გამართული

წისქვილი

და

24 ძალიანი მანქანა

ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, ყავის ქარხანა გაბელაშვილი. 322

დაიკარგა

ა. ფ. მიასნიკიანის სახელობის სომხურ პედაგოგიურ ტეხნიკუმის

ბეჭედი

სამ ენაზე—სომხური, ქართული და რუსული. 325

იყიდება

ცხენები

საჯდომი და შესაბმელი

იკითხეთ

სახკინმრეწვში

პლეხანოვის 164, ბნესთან.

2—1 ნ. 148

ხელოვნურ კბილების

მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფების მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს**, და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები

ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

222—13—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწილებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 25—7

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.

ელისაბედის ქუჩა, № 13 | 25.

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ. № 5 მთავარ სავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7, ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი.

დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

სათვალეების მორგება

უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე

როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.

კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ექიმი მეგრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ელჭის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

თმის მკურნალობა

და

სამკურნალო კოსმეტიკა

ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.

ი. გ. კონტოროვიჩი

მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე. კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.

საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინის). 25—15

ექიმი ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი. მოცემული რკ. გზის ტრანსპორტის მიერ № 9079—ვარლამ ქათამაძის სახელზე ჩ. გ. 318

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 123—პენსიონერ ბიქტორ დიმიტრის ძე აბრამიძის სახელზე, ჩ. გ. 312

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი—ილიკო ივანეს ძე კუპარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 313

დაიკარგა ავადმყოფობის ფურცელი № 16519 ლევან მანძულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 319

დაიკარგა დამხლევ სალაროს საანგარიშო წიგნაკი მასწავლებელ გრიგოლ ისიდორეს-ძე შონიას სახელზ № 17, ჩ. გ. 320

დაიკარგა ს. ს. რ. კ. ფ.-ტ. ტელეფონის და რად-ტელ. მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 98991 და რუსთაველის თეატრის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა № 25—კონსტანტინე იაკობის ძე გეჩიას სახელზე, ჩ. გ. 314

დაიკარგა მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 9212—გიორგი მეზვრიშვილის სახელზე, მოცემული საგარეჯოს თემის მიწა-ტყის ადგილკომიდან, ჩ. გ. 310

დაიკარგა ცხენთ აღრიცხვის წიგნაკი № 138, გაცემული კაჯრეთის რაისამხედრო მაგიდიდან—გიგა რამაზის ძე იმერლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 318

დაიკარგა ინვალიდის წიგნაკი გაცემული ქ. გორის სოც. უზრუნვ. კომისარიატის მიერ № 2490—ნიკოლოზ გლახას ძე მამასახლისოვის სახელზე ჩ. გ. 318

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა მოცემული ოზურგეთის ჰუმანიტარულ ტეხნიკუმიდან 1924 წელს სამსონ ვარლამის-ძე ქილიფთარის სახელზე, ჩ. გ. 327

დაიკარგა რკ. გზ. წლიური ბილეთი № 212585, პირადობის მოწმობა № 45, რკ. გზ. პროფკავშირის წიგნაკი № 13938 და პარტბილეთი № 0860231 ესტატე წყალობის-ძე ყაბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 185

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68